ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებული

თბილისი „მერანი“ 1988

სპეც. ეიეი.

84 Гр 7—4
ბ 322

ლოთობა, მემთვრალეობა ოდითგანვე საძრახის ჩვეულებად ითვლებოდა საქართველოში. ბოლო წლებში ამ მავნე სენს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ჩვენმა საზოგადოებამ, მთელმა ხალხმა.

ამ ბრძოლის სულისკვეთებით არის შექმნილი წინამდებარე კრებულში თავმოყრილი ქართველ მწერალთა მოთხრობები.

შემდგენელი დავით მჟედლური

1/53-886

საქ. სსრ ... ...
სახ. სახ. ... სპუბ.
ბიბლ. ...

ბ 47100000—59 / М 604 (08)—88

© გამომცემლობა „მწერალი“.

ნოდარ დუმბაძე

პირველი საუბარი ღმერთთან

საიქიოდან დაბრუნებულს არ ჰგავს,
ეს უბედური?!

ხალხური

ჯერ საშინელი ჭახანი გავიგონე, მერე — მილიციელის სტვენა და ბოლოს — ვიღაცის აღტაცებული შეძახილი: „აუჰ, რა ავარიაა!!!“ მეტი არაფერი. საოპერაციო მაგიდაზე რომ დამდეს, საქმე პირდაპირ ღმერთთან დავიჭირე.

საიქიო თითქმის არაფრით განსხვავდება სააქაოსაგან. ეს კია, საიქიოში ტრანსპორტი არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთადერთ ეტლს, რომლითაც დღე და ღამე ილია წინასწარმეტყველი დახრიგინობს და კაციშვილს არ სვამს შიგ.

— დაჯექი! — მითხრა ღმერთმა. დავჯექი და ამოვიოხრე.

— რა მიიღებს ამის სულს! ნახე, როგორ ყარს „ზუბროვკის“ სუნით? — მიუბრუნდა ღმერთი სანდომიანი სახის, გაურკვეველი ასაკის ანგელოზს და პირი ამარიდა. მერე ანკეტა აიღო.

— გვარი?

— დუმბავა.

— სახელი?

— ჯვებე.

— სქესი?

მე გამეღიმა.

— გახადე შარვალი! — მიუბრუნდა ანგელოზს.

— კაცი ვარ, ბატონო! — შემეშინდა მე.

— ეშმაკი ვერ გაგარჩევთ, რომელი ხართ. ერთმა მომატყუილა უკვე. გახადე შარვალი, რომ გეუბნები! — გაუჯავრდა იგი იმავე ანგელოზს.

— ღმერთი არა გწამს? ჩემით გავიხდი! — ვიკივლე მე.

ს ქ ე ს ი: მამაკაცი, — შეავსო ცოტა ხნის შემდეგ ღმერთმა სათანადო გრაფა.

— ეროვნება?

— ქართველი! — ღმერთმა თავი ასწია და დიდხანს მიყურა.

— რომ არ გავხარ?! — მითხრა ბოლოს.

— რა ვქნა, ბატონო! — მოვისაწყლე თავი.

— საზღვარგარეთ თუ ხარ ნამყოფი?

— როგორ არა!

— სად?

— თითქმის ყველგან.

— რომელიმე უცხო ენა იცი?

— არც ერთი, ბატონო!

— ვაი შენს პატრონს უბედურს!.. საიდანღაც მეცნობა ეს კაცი. — მიუბრუნდა ღმერთი ვიღაცის პირად საქმეში ჩაფლულ ანგელოზს.

— ეს ის არის, მამაზეციერო, ბრმა ნაწლავის ოპერაცია რომ გაუკეთეს ამას წინათ და მაკრატელი ჩაუტოვეს მუცელში, — უპასუხა ანგელოზმა ისე, რომ ჩემკენ არც გამოუხედავს.

— შენ ხარ, აბა, ის, ბეწვზე რომ ეკიდე? — მიცნო ღმერთმა და გამიღიმა.

— კი, ბატონო, მე ვარ, — გავუღიმე მეც. ღმერთმა უცებ წარბი შეიკრა:

— ბევრს სვამ და ჩქარა დადიხარ, მოქალაქევ!

— ფეხბურთზე მაგვიანდებოდა, პატივცემულო!

— ვერ თქვი დროზე, შე უღმერთო, ამდენი რომ ტყუილუბრალოდ

მალაპარაკე? — შემოირტყა შუბლზე ხელი ღმერთმა. მერე თვალები გაუბრწყინდა და სკამი ჩემკენ მოაჩოჩა.

— მოყევი, თუ ძმა ხარ, რას შვრება თქვენი „დინამო". ამ ბოლო დროს ვეღარ ვადევნებ თვალ-ყურს, ტელევიზორი გადამიწვა ამ დეგენერატმა, ორას ოცზე ჩართო. — გადახედა დარცხვენილ ანგელოზს ღმერთმა.

— ჩვენი „დინამო", მამაზეციერო!..

— მოეშვი, თუ კაცი ხარ, მაგ ოფიციალობას. უბრალოდ გიორგი დამიძახე, გეხვეწები! — ლოყაზე ხელი მომითათუნა ღმერთმა.

— ჩვენი „დინამო", გიორგი ჩემო, წელს კარგ ფორმაშია. შეიძლება პირველი ადგილიც გავირტყათ.

— ვერ ივარგეთ, თორემ თქვენ შარშანაც კი უნდა აგეღოთ პირველი ადგილი, — ამოიხვნეშა ღმერთმა.

— შე კაი კაცო, შენ არ იყავი, ბოლო წუთებში რომ გვიღალატე?

— იმ თამაშს სულაც არ დავსწრებივარ, — თვალი ამარიდა ღმერთმა.

— არ დასწრებიხარ, ჩემო ძმაო, და კინაღამ დავიღუპეთ. ღმერთი ააშენებს კოტრიკაძის ოჯახს, იმან გადაგვარჩინა.

— არ გადამრიო! — შეიცხადა ღმერთმა.

— კი, შენ ნუ მომიკვდები!

— ჩემი ბრალია, არ უნდა გამეჩინა ბურთი მრგვალი, — თავისთვის ჩაილაპარაკა მამაზეციერმა.

— ისე ლაპარაკობ, დალოცვილო, თითქოს მარტო ბურთია შენი გაჩენილი.

ღმერთმა მუდარის თვალით გადმომხედა: თუ ძმა ხარ, ამ ანგელოზთან ნუ მიჯავრდები და შენობით ნუ მელაპარაკები, თორემ მერე სულ თავზე დამაჯდებაო.

მე ხელად თქვენობით დავუწყე ლაპარაკი.

— ჩემი ღმერთივით ბიჭები რას შვრებიან? — მკითხა ღმერთმა.

— რომელს კითხულობთ, ბატონო?

— მესხი, ბარქაია, იამანიძე, ჩოხელი, კოტრიკაძე, კალოევი, როშელი ერთი ჩამოგითვალო, — აღარ ეყო თითები ღმერთს.

— გმადლობთ, კარგად არიან. მოგიკითხათ ყველამ. ძალიან ენატრებით, მაგრამ...

— გადაეცი ჩემგან: ცოტა ღვინის სმას მოუკლონ და საათში ოც კილომეტრზე მეტი სიჩქარით ნუ დადიან, თორემ... კიროვის ბაღის ბიჭების ბღავილი და კისრის ძარღვების ბერვა ვეღარ უშველით მერე, — წარბი შეიკრა ღმერთმა. — მანქანა რომ კარგი იყოს, მაგენი მომასწრებენ მე მანქანის ყიდვას, ამ ხნის კაცი ფეხით რომ დავეთრევი? არც ღვინო მიყვარს სხვაზე ნაკლებად, მაგრამ ხომ ხედავ? — ღმერთმა ფხვნილის რძე გამოიღო მაცივრიდან და მოსვა.

— ასეა, ბაბაია. ახლა წადი და გადაეცი იმ ბიჭებს, რაც დაგაბარე!

— გადავცემ, ბატონო, მაგრამ მათ მდგომარეობაშიც უნდა შეხვიდეთ ხანდახან. ახლა რამდენიმე სათხოვარი მაქვს თქვენთან. მაღალო ღმერთო, ნუ გამაწბილებთ! — დაეღრიჯე და მუხლებზე დაეცი.

— მთხოვე, შე კაცო! — გამამხნევა ღმერთმა.

— ხომ ხარ, ღმერთო, ღმერთი? — ვკითხე.

— ახლა ვარ ღმერთი, რომ გაგიჭირდა?

— ოღონდ წელს პირველი ადგილი აგვაღებინე, ღმერთო, და...

— რა ვქნა, გენაცვალე, — ჩამომართვა სიტყვა ღმერთმა. — იაკუშინი მთხოვეთ? ჩამოგიყვანეთ. მეტრეველს მეხვეწებოდით? მაგასაც შეგისრულებთ. კარგი ბიჭები გინდოდათ? ეს სიჭინავები და ხურცილავები ვისი გაჩენილი გგონიათ თქვენ? ჰოდა, ცოტა თქვენც გაანძრიეთ ფეხი. ისღა მაკლია, ამ ხნის კაცი გამოვვარდე მინდორში საცვლის ამარა და თქვენს მაგივრად ვითამაშო, — ანერვიულდა ღმერთი.

— მაგას ვინ გკადრებთ, ბატონო ღმერთო! ოღონდ წელს პირველი ადგილი გვაჩუქე და ქაშუეთში ჩემს სიგრძე სანთელს დაგინთებთ, — გამოვიგლიჯე ყელი მე.

— თუ ძმა ხარ, თავი დამანებე! მასე იცით თქვენ: ჯერ მთხოვთ, მერე გამოდიხართ ტრიბუნაზე, გადმოაგდებთ ცხრა მეტრო ენას და დედ-მამის სულს მიტრიალებთ.

— შეგვიბრალე, ღმერთო! არ გეცოდებით, დასაკლავი ხარებივით რომ ვბღავით სტადიონზე? — მთლად მოვიმკვდარუნე თავი.

— უნდა ითმინოთ. მოთმინებითა შენითაო, წერია სახარებაში. სახარებას ხომ კითხულობ? — მკითხა ღმერთმა.

— არა, ბატონო!

— აბა, რას კითხულობ, შე უბედურო?! — გაუკვირდა მამაზეციერს.

— მე რა უნდა წავიკითხო, თვითონ ვწერ, — ამაყად გადავხედე ღმერთს.

— აბა, წერე და იკითხე! — ცალყბად მომიგდო მან.

— ერთი თხოვნა კიდევ... — შევევედრე უფალს.

— მალე თქვი და მორჩი, მეძინება! — თქვა ღმერთმა და დაამთქნარა.

— თუ შეიძლება, აქედან რომ დავბრუნდები ჩემს ქვეყანაში, მოვყვები, ღმერთს ველაპარაკე-მეთქი.

— სადაც გინდა მოყევი, სულ ერთია, არავინ დაგიჯერებს და...

— რას ბრძანებთ, მე ვინ არ დამიჯერებს?!

— გეყოფა ახლა ტლიკინი, წადი! — მითხრა ღმერთმა და თვალები დახუჭა.

თვალი გავახილე. თავზე ცხვირპირაკრული ქირურგი მადგა.

— გამარჯობათ! — ვთქვი მე მიკნავებული ხმით.

— საიქიოდან მობრუნებულს გაუმარჯოს! — ხელი დამიქნია ექიმმა.

— ოქვენ ხუმრობთ, ექიმო, და ამ წუთში ღმერთს ველაპარაკებოდი ფეხბურთზე, — დავიწყე მე.

— ყველაფერი გასაგებია: მძიმე კატეგორიის ტვინის შერყევაა, — სინანულით შემხედა ექიმმა და თავის კანტურით გავიდა პალატიდან.

მეორე გასაუბრება ღმერთთან

მიუხედავად ღმერთის გაფრთხილებისა, — მეორედ არ გნახო ჩემთან მოსულიო, მაინც მოვხვდი მასთან. რა თქმა უნდა, ისევ ავარიის შემდეგ. კარი რომ შევაღე, ღმერთი სავარძელში იყო მისვენებული, მარჯვენა მკლავი გაეშიშვლებინა, სავარძლის სახელურზე გადაეგდო და თვალები ვარსკვლავებით მოჭედილი ჭერისათვის მიეპყრო. მის წინ მუხლებზე დაჩოქილი ანგელოზი წნევას უზომავდა. მამაზეციერი წინანდელზე უფრო მოტეხილად გამოიყურებოდა. ისე მომაწოდა ანკეტა, ჩემკენ არც გამოუხედავს. მე ჩავახველე და ანკეტა არ ჩამოვართვი. ღმერთმა გაკვირვებული თვალებით გადმომხედა. უცებ მიცნო და წარბი შეიკრა.

— კაცო, შენ კიდევ არ მოიშალე ლოთობა?!

— რა ვქნა, მამაზეციერო! დღეს თუ არ დავლიე, აბა, როდის დავლიო? — მოვისაწყლე თავი.

— რა გჭირს? — დაინტერესდა მაცხოვარი.

— დღეს შეხვედრაა ჩვენს ფეხბურთელებთან სპორტის სასახლეში, მოსაწვევი ვერ ვიშოვე, ჯავრიან გულზე დავთვერი, პატარა ავარია მომივიდა და...

— ბიჭო, შენ ჩემთან მოსვლა თქვენი დაწესებულების თათბირზე მისვლა ხომ არ გგონია? ერთხელაც იქნება, არ გაგიშვებენ უკან და მინთონ მერე სანთლები შენმა ნათესავებმა.

— რაკი იმას ვეღირსე, ჩვენებმა ოქროს მედლები აიღეს, აწი აღარც მინდა სიცოცხლე. კინოსტუდიაში ყოფნას და მისი გამოშვებული ფილმების ყურებას ისევ თქვენთან ყოფნა მირჩევნია.

— გაჩუმდი, თუ ძმა ხარ! არც თქვენ უწერთ გადასარევ სცენარებს! — აიქნია ხელი მამაზეციერმა.

— აქედან ადვილია ლაპარაკი, დაჯექი და დაწერე ერთი სცენარი, ნახე, როგორი დასაწერია, — წყენით ვუთხარი მე.

— გადი, გოგო, შენ გარეთ! — უთხრა ღმერთმა ანგელოზს. ანგელოზმა ფრთები აიკეცა და უკმაყოფილო სახით გავიდა.

— ვინ გასწავლა, ბიჭო, შენ ღმერთთან ასე ლაპარაკი? ხალხი ნატრობს ჩემთან დალაპარაკებას, საყდრებს მიგებენ, დაჩოქილები წლობით მიწაზე უჩაჩქუნებენ თავებს: ღმერთო, ხმა გამეცინო, და შენ ვინ ყოფილხარ! — გადაირია ღმერთი.

— რას ბრძანებთ, ბატონო! თქვენ ისე გვიყვარხართ ყველას, მე პირადად პარტიული ვარ და გუშინწინ მეექვსე ბავშვი მოვნათლე დიდუბის ეკლესიაში, — გავუღიმე გადარეულ მაცხოვარს.

— სსუუ! — ამაფარა პირზე ხელი ღმერთმა და შეშინებულმა კარისკენ გაიხედა. — ახლა ანგელოზს მოდებული აქვს ყური კარზე, თუ ძმა ხარ, სხვა რამეზე მელაპარაკე. მაგის თავი არა მაქვს. რომელ საათზეა შეხვედრის გადმოცემა?

— შვიდზე!

— ჩართე, აბა, ეს დასაწვავი! — თქვა მამაზეციერმა და ტელევიზორზე მანიშნა.

ტელევიზორი ჩავრთე და ღმერთს გვერდით მივუჯექი. გადმოცემა დაიწყო.

— ეს ხალხი გამაგიჟებს! — წამოიძახა ღმერთმა, პირთამდე გატენილი სპორტის სასახლე რომ დაინახა.

— რაშია საქმე?! — გამიკვირდა მე.

— მაგათ არ იციან, ბურთმა რომ დაღუპა კაცობრიობა? — მკითხა მაცხოვარმა.

— რითი, ბატონო?! — უფრო გამიკვირდა მე.

— მე დავწვი, ბიჭო, ჯორდანო ბრუნო? — დაირტყა მჯილი მკერდზე მან. — ერთხელ მაინც რომ წამოცდენოდა, არაა დედამიწა ბურთივით მრგვალიო, ვინ მოკიდებდა ხელს?

— ააა!!!

— ზახრუმა! მაგაზე უარესი რამდენი საინტერესო იდეა მქონდა ახალგაზრდობაში, ბურთი რომ არ ჩაეჩარათ ჩემთვის პირში!

— მაგი უკვე თქვენს თავს დააბრალეთ, ბატონო გიორგი! რომ აჩენდი ამ ქვეყანას, არ იცოდი, რას აკეთებდი?

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ! ნუ მახსენებ ყოველ წუთში ახალ-

გაზრდობაში ერთხელ ჩადენილ სისულელეს. კარგი იქნება, მე ყოველ წუთში რომ გიძახო: ლოთი ხარ და ლოთი ხარო? — აევსო ცრემლებით თვალები მაცხოვარს.

— მაპატიე, მამაზეციერო, მეტს აღარ გაგიხსენებ! — მოვუხადე ბოდიში.

— ეს ვინაა? — იკითხა უცებ ღმერთმა და ტელევიზორთან მიიჩოჩა.

სცენაზე კოტე მახარაძე დადიოდა და მიკროფონს გულაბი მსხალივით ხრავდა.

— ეს კოტე მახარაძეა, ბატონო!

— ო, რა ტკბილად ქადაგებს! მაგი მომცა სახარების წამკითხველად! — ინატრა ღმერთმა.

— შეიძლება მოუწიოს თქვენთან მოსვლა...

— რატომ, ბიჭო?

— მაგასაც ჰყავს მანქანა!

— უთხარი, ჭკუით იაროს, თორემ ხომ იცის, მე თუ კაცი მომეწონა...

— გადავცემ, ბატონო!

— სად არიან ჩემი ბიჭები, აღარ გამოდიან? — აწრიალდა ღმერთი.

... და უცებ ავანსცენაზე გამოვიდნენ ვეფხვებივით თვალებბრიალა ბიჭები — იამანიძე, კოტრიკაძე, ბარქაია, სიჭინავა, დათუნაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, რეხვიაშვილი და აფშევი.

— ბასას და ალიოშა კოტრიკაძის ცოდვა კი მოგკლავს, ღმერთო! — ვკადრე მაცხოვარს. — რა იქნებოდა, მაგენი რომ თამაშობდნენ, მაშინ მოგეცა ჩვენთვის მედლები?

— ნუ ხარ, ბიჭო, უმადური! მაშინ კი არა, წელს ძლივს გამოვღლიტე ხელიდან ფედერაციას მედლები. ის დაგავიწყდა, კიევთან პენალტი რომ მისცა მსაჯმა „ტორპედოს“?

— მაგას რა დამავიწყებს?

— მერე ვინ ააღებინა მეკარეს ის ბურთი და ვინ მოუნგრია ივანოვს ფეხი?

— შენ, მამაზეციერო, შენ! — აღვაპყრე ხელები მე.

— ჰოდა, მოუკელი ენას და აუწიე ტელევიზორს! — გამიჯავრდა ღმერთი.

ტელევიზორს ავუწიე და ადგილზე დავჯექი.

— მეგობრებო! დღეს ჩვენთან სტუმრად არიან კოსმონავტები — გერმანე ტიტოვი და ვალერი ბიკოვსკი!

დარბაზი დაინგრა.

— აქაც არ მასვენებენ ეს უღმერთოები? — გადაირია ღმერთი.

— რას გაწუხებენ, მაცხოვარო, იფრინონ თავისთვის ცაში.

— შენ რა გენაღვლება, ბიძია, აგდიხარ შენთვის დედამიწაზე და კაციშვილი არაფერს არ გეკითხება, მე კი მომკლა მაგათმა ფრიალმა. „სკვაზნიაკი“ გამიჩინეს პირდაპირ, ჭვალი ვერ მომირჩენია აგერ ერთი წელიწადია, — ამოიკვნესა ღმერთმა და წელზე შალი შემოიხვია.

დაიწყო სიგელებისა და ოქროს მედლების გადაცემა.

გამოიძახეს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გავრილა კაჩალინი.

დარბაზი აზანზარდა.

— კაცი ვარო, მაგან უნდა თქვას, არც ბინა უთხოვია, არც მანქანა, რომ გადმოჰყავდათ, არც ღვინოს სვამს, აკეთებს თავის საქმეს ღმერთივით, ახლა გადაყვანას უპირებენ, მაგრამ არ გავატან, თუ ბიჭი ვყოფილვარ, — გაიქაჩა ღმერთი.

— შოთა იამანიძე, გუნდის კაპიტანი! — გამოაცხადა ეროსიმ.

დარბაზი შებარბაცდა, შეტორტმანდა და ისევ თავის ადგილას დადგა.

— ღირსია, ვენაცვალე მაგას! — თქვა ღმერთმა და ტაში დაუკრა.

ეროსი და კოტე ლექსებად გადაიქცნენ.

— „მეტრეველი დღეს ფეხბურთის მოცარტია“, — აგუგუნდა ეროსი.

— „მეტრეველი თუ ფეხბურთის მოცარტია, მაშინ მესხი ბეთჰოვენია...“ — მოუჭრა სიტყვა კოტემ.

— კიდევ კარგი, მოცარტი და ბეთჰოვენი გასტროლებზე მყავს გაგზავნილი ედემში, ბეთჰოვენს არ ვჩივი, ყრუა და ვერაფერს გაიგონებდა, მოცარტი კი ჯაჭვით დასაბმელი გახდებოდა, — შემოირტყა თავში ხელი მაცხოვარმა.

— რატომ, ჩემო გიორგი, ტყუილია თუ? — მეწყინა მე.

— ტყუილი არაა, შე მამაძაღლო, მაგრამ ორივეს ჭირივით ეზიზღებოდათ ფეხბურთი! — მიყვირა ღმერთმა.

— ის ბიჭი სადაა? — აწრიალდა უცებ ღმერთი.

— რომელი?

— სიომა, ჩემი სიომა ბარქაია!

— ეგერ ეეე... მესამე რომ ზის!.. — დავანახვე მე.

— ჰო, ჰო, ჰო! შეხედე, რა თვალები აქვს, მაგი მეკარეს კი არა, ღმერთს შეაცდენს, — თქვა უზენაესმა და ბარქაიას თვალი აარიდა.

ბოლოს ყველაფერი აირია. მომღერლები ლექსებს კითხულობდნენ, პოეტები მღეროდნენ, ტრაგიკოსები ცეკვავდნენ, მოცეკვავეები მონოლოგებს კითხულობდნენ. ატყდა ერთი კოცნა-ხვევნა.

— ის ანგელოზი ვინაა, ბიჭო, ზეინკლიშვილმა რომ ჩაიხუტა და არ უშვებს? — გადაყლაპა ნერწყვი ღმერთმა.

— ლია ელიავაა, ბატონო, ჩვენი კინომსახიობი!

— ღმერთი თუ სწამს?

— როგორ არა, ამას წინათ ისეთი როლი მიაჩეჩეს, სულ ღმერთო მიშველეო, გაჰკიოდა.

— მდაა... აქეთ თუ დაგირჩეს გზა როდისმე, გამოიძღვანიე, თუ ღმერთი გწამს... — მთხოვა უფალმა და ისევ გადაყლაპა ნერწყვი.

— არიქა, გამოთიშე! — იკივლა უცებ ღმერთმა და თვალებზე ხელი აიფარა.

— რაშია საქმე?! — წამოვხტი შეშინებული.

— ვინაა ეს, ტანზე რომ იხდის?!!

— ხვიჩიაა, ბატონო, იპოლიტე ხვიჩია!

— თუ ხვიჩიაა, იყოს! — დამშვიდდა ღმერთი.

ხალამო დასასრულს უახლოვდებოდა. ღმერთი ხშირ-ხშირად იდებდა კეფაზე ხელს და კარისკენ იცქირებოდა. შევატყვე, წნევა უმატებდა, დროს დაკარგვა აღარ შეიძლებოდა.

— ღმერთო, — დავიწყე მე, — ღმერთო ძლიერო, სამყაროს, ფეხბურთის გულშემატკივართა მრავალმილიონიანი არმიის, ოქროს მედლების შემქმნელო წმიდაო გიორგი, გლახაკთა და დავრდომილთა მფარველო, ჩვენო!..

— ბიჭო, შენ „ვეფხისტყაოსნის“ შესავალს არ გასწავლიდნენ სკოლაში? — შემაწყვეტინა ღმერთმა.

— როგორ არა, ბატონო ზეპირად ვიცი.

— მერე რაა ეს, რომ გაგიტლეკია ენა, მოკლედ ვერ იტყვი?

— შარშან რომ დამპირდი ოქროს მედლები და ამისრულე, მადლობელი ვარ, ახლა ერთი სათხოვარი კიდევ მაქვს, მაცხოვარო!..

— აღარ იტყვი, რა გინდა, შე უპატრონო?! — დაელია მოთმინება უფალს.

— მივდივარ ახლა მე, ღმერთო, და ნუ დამწყვეტ გულს, ერთიორი ოქროს მედალი გექნება სადმე მიგდებული კუთხეში და გამატანე, თუ ღმერთი გწამს, ჩოხელისთვის და ხურცილავასთვის, ცოდვა არიან ბიჭები, გადაყვნენ ჩვენს გუნდს და...

— კაცო, შენ მწერალი ხარ თუ მათხოვარი? რომ მომადგები აქ ღვთის გლახასავით და მთხოვ ამ ოქროს მედლებს, მე ოქროს საბადოები კი არა მაქვს აქ! — გაჯავრდა ღმერთი.

— რა მოხდა, გიორგი, ორი მედალი გენანება?

— ვინაა შენი გიორგი, შე ლაწირაკო! — გადაირია ღმერთი.

— არ მომცემ და არ წავალ! — გავჯიუტდი მე.

— ბიჭო, წადი ახლა და, რაც მოგეცით, იმას მოუარეთ, სანამ მართლა გადავრეულვარ.

— ორი მედალი, ღმერთო! — გამოვიღლიტე ყელი.

— წადი, ბიჭო, და გაისად მაგათაც მივცემ.

— ახლა მომეცი, თორემ ფეხს არ მოვიცვლი აქედან.

— არა ხომ?

— არა!

— არა? — ღმერთმა ზარი დარეკა, ოთახში ანგელოზი შემოფრთხიალდა.

— გაიყვანე, ქალო, ეს თავხედი, გარეთ! — უბრძანა ღმერთმა.

— ვერ გავიყვან, პირიდან საზიზღარი ღვინის სუნი ამოსდის! — გაინაზა ანგელოზი.

— ტუჩებში აკოცე-მეთქი, ხომ არ მითქვამს, გოგო? მოკიდე ხელი და გაათრიე გარეთ!

— ხელი გამიშვი, ჩემით გავალ! — ავუკარი ხელი ანგელოზს.

— ხამ! — თქვა ანგელოზმა.

— ჩემი ფეხი აღარ იქნება აქ! — დავემუქრე ღმერთს.

— ოხ, შეგეხვეწები! — აიბზუა ტუჩი ღმერთმა.

კარისკენ წავედი.

„ახლა მოისმინეთ ამინდის ბიუროს პროგნოზი ხვალისთვის მოსალოდნელი ამინდის შესახებ. თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, შავი ზღვის სანაპიროზე პაპანაქება სიცხე". — დამეწია გზაში ჯულიეტა ვაშაყმაძის ხმა.

— ესეც რომ ხვალინდელი ამინდის სწავლებას დამიწყებს, თავი არ უნდა მოვიკლა?!! — იკივლა ღმერთმა და ტელევიზორს სკამი ესროლა. კარი გავიხურე.

მეორე დღეს თბილისში კოკისპირული წვიმა იყო, ხოლო შავი ზღვის სანაპიროზე ისეთი გრიგალი, ხელიდან რომ არ გამოგვეღლიტა ბათუმი და ფოთი, თურქეთში მიჰქონდა.

ელისო

— ფული გაქვს?

რამდენიმე ნაბიჯი უსიტყვოდ გავიარეთ. როცა ლამპიონებით გაკაშკაშებულ ორსართულიან შენობას გავუსწორდით, ელისო შეჩერდა, უცნაურად ამომხედა და უფრო ხმადაბლა მკითხა:

— აღარ დაგრჩა?

— არა. რაც მქონდა, მოგეცი.

მთვარიანი ღამე იყო. მილეული ზაფხული მძლავრობდა და ჯერ კიდევ ცხელოდა.

ხიდან ჩამოვარდნილ ფოთოლს ავადევნე თვალი. შეყვითლებულიყო. დაბერავდა მტკვრიდან მოვარდნილი ქარი, აფარფატდებოდა ჭადრის ნაადრევად დამჭკნარი ფოთოლი. იფრენდა. ტრიალ-ტრიალით გადაგვევლებოდა თავზე და სწრაფად დაეშვებოდა ძირს.

ის-ის იყო ასფალტიან გზაზე უნდა დავარდნილიყო, რომ ქარი შეეხიდებოდა შემწედ. მოიკრეფდა ძალას. შემოიმაღლებდა. ისევ ფარფატ-ფარფატით გადაგვევლებოდა თავზე და მოშრიალე ხეების მიღმა მიეფარებოდა თვალს...

— შევიდეთ, — ელისომ აივანზე მიმანიშნა.

ლამპიონებით გაკაშკაშებული შენობა ხომალდის კიჩოსავით შეჭრილიყო წყალში. დარბაზში მუსიკა უკრავდა. გარეთ, მტკვარზე გადმოკიდებულ აივანზე, ტანგოს ცეკვავდნენ.

— შევიდეთ, ფული მე მაქვს.

— ეგ ფული არ გვეყოფა.

ელისო მკლავზე დამეყრდნო. ფეხის წვერებზე შედგა და ყურთან შიტანილი ტუჩებით ჩამჩურჩულა:

— სხვა ფულიც მაქვს.

ფოთოლი დაეცა. ჯერ ხტუნვა-ხტუნვით გაუყვა ასფალტიან გზას.

მერე ტროტუარის ბორდიურთან მიყრილ ნაგავს მიაწყდა. მიწვა და გაირინდა.

— გინდა, ერთი საიდუმლო გითხრა?

არ შემოუხედავს. იცოდა, რასაც ვეტყოდი და დამასწრო:

— შევიდეთ და იქ გეტყვი.

— მაინცდამაინც იქ?

— კი.

როცა თითბრის სახელურიან მუხის ვეება კარს მივადექით, ელისოს მკლავზე შევავლე ხელი. დავიხარე და ახლა მე ჩავჩურჩულე ყურთან მიტანილი ტუჩებით:

— საიდუმლო გზაში მითხარი... წავიდეთ, შეიძლება იწვიმოს.

— იწვიმებს და იწვიმოს!

— აივანზე ვერ დავჯდებით.

— დარბაზში დავჯდეთ.

აივანზე დავჯექით. კუთხეში. მიმყუდროვებულ ადგილზე.

მტკვარი დგაფუნობდა. ხანგამოშვებით, როცა ქარი დაბერავდა, ჰაერში რაღაც საამო სუნი ტრიალებდა. აი ისეთი, ზღვაზე რომ შეიგრძნობ ხოლმე.

ელისო თავდახრილი იჯდა. შუბლი აივნის მოაჯირზე მიედო და ლამპიონებით ალიცლიცებულ მტკვარს გადასცქეროდა.

— რას დალევ? — მოულოდნელად მკითხა ელისომ.

— რასაც შენ დალევ.

— მე არ ვსვამ.

მომხედა და გამიღიმა.

— შამპანურს დავლევ.

— რომელს?

— თეთრ ტილოში გახვეულს. ყურებიან ვედროში ჩაციებულს. იმახ... იმას რომ ისვრის...

— რას?

— ეშმაკუნებს... წინწკლების უთვალავ ეშმაკუნებს.

მეზობელ სუფრაზე ახმაურდნენ.

წითური ბრაზობდა. თმახუჭუჭა, ძვალმსხვილი, მკვრივად ჩადგმული შუახნის კაცი.

— ანია! — ყვიროდა ფეხზე წამომხტარი წითური და აქეთ-იქით აცეცებდა გადმოკარკლულ თვალებს.

ანია არ ჩანდა.

წითურის გვერდით ჩამომჯდარი ახალგაზრდა ქალი თვალებს ნაბავდა. წინ წამოწეული ტუჩებიდან რგოლ-რგოლად უშვებდა სიგარეტის კვამლს. სკამიდან გადმოხრილი წამდაუწუმ მაგიდის ქვეშ ჰყოფდა კისერწაგრძელებულ თავს.

როცა ოფიციანტი მოგვიახლოვდა, წითურმა მესამედ დასჭექა:

— ანია!

ლავსანის თეთრ, ულაზათოდ შეკერილ კოსტუმში გამოწყობილ ოფიციანტს ავხედე.

მიმიხვდა. მაშინვე დაიხარა. პირთან გაშლილი თითები მიიფარა და ხმადაბლა მითხრა:

— ორივე მთვრალია.

— ქალიც?

ოფიციანტმა თავი დამიქნია. ახლა მეორე ხელში მომარჯვებული გადაშლილი ბლოკნოტი მიიტანა პირთან.

— ეგ წითური კაცი იმიტომ ბრაზობს, რომ მაგიდა ყანყალებს და ვერაფერი მოუხერხეს.

შეჩერდა და განაგრძო:

— მაგათ სუფრას სხვა ოფიციანტი ემსახურება... აგე ის ქალი... ანია.

გავხედე. დარბაზიდან აივანზე გამოსასვლელ კართან მაღალ-მაღალი, ჩალისფრად თმაშეღებილი დედაკაცი გამორბოდა.

მუსიკამ დასცხო.

აქეთ-იქიდან წამოიშალნენ. მაგიდებშუა დარჩენილი ცარიელი ადგილი თანდათან შეავსეს შილიფად ჩაცმულმა მოცეკვავე წყვილებმა.

— ვიცეკვოთ?

ელისომ თვალი ამარიდა. ამოიოხრა და მისთვის უჩვეულო გაბზარული ხმით მითხრა:

— არ ვცეკვავ.

ღამემ თავისი გაიტანა. აგრილდა. დროდადრო, როცა ხმაური მიწყნარდებოდა, აივანზე ისევ მოისმოდა მტკვრის დგაფუნი.

— რა საიდუმლო უნდა მითხრა?

თითქოს ვერ გაიგო. წელში მოიმშვილდა. მოჭუტული თვალებით გახედა ყელყელა ჭიქაში შამპანურს.

— ეშმაკუნებს უყურებ?

ელისომ გაიღიმა.

— წინწკლების უთვალავ ეშმაკუნებს?

— კი.

ერთხელ, აღარ მახსოვს სად, ვეღარც ის აღვიდგინე გონებაში, ვინ — კაცმა თუ ქალმა — ასეთი რამ მითხრა: — ქალის კარგი თმა ერთ ქალად ღირს!

წაბლისფერი თმა ჰქონდა ელისოს. ხშირი. ოდნავ ხვეული. ბეჭებზე დაყრილი.

შეაცურებდა თითებს, მოისვამდა კისერზე. ასწევდა თმას. გაუშვებდა ხელს. დაიქნევდა თავს.

დაიქნევდა თავს და შუბლთან, საფეთქლებთან, ყურებთან, ბეჭებთან, მაშინვე ისევ კოხტად, ისევ კარგი ქალის ფასად ლაგდებოდა მისი ოდნავ ხვეული, მსხვილი და ხშირი, მუქი წაბლისფერი თმა.

— რაზე ფიქრობ?

— ხმაზე.

ელისომ გაოცებით ამომხედა.

— ერთხელ, აღარ მახსოვს, სად, ვეღარც ის აღვიდგინე გონებაში ვინ — კაცმა თუ ქალმა — ასეთი რამ მითხრა...

— იტყვი თუ არ იტყვი?

— ვიტყვი. ასეთი რამ მითხრა: — ქალის კარგი ხმა ერთ ქალად ღირს!.. დავლიოთ?

— ქალის ხმის სადღეგრძელო?

— არა. ქალის კარგი ხმის და ქალის კარგი თმის სადღეგრძელო-სიჩუმე ჩამოვარდა.

ელისო თავაწეული იჯდა. სადღაც შორს, მტკვრის მიღმა გასცქეროდა სივრცეს.

— რა საიდუმლო უნდა მითხრა?

— გითხრა?

— მითხარი.

როცა ელისომ თავი გაიქნია, მობრუნდა და რაღაცის თქმა დააპირა, აივანზე მეხივით დაიჭექა როხროხა ხმამ:

— ანია!

ანია არ ჩანდა.

ის წყეული ისევ სადღაც დაკარგულიყო.

წითური წამოხტა. ერთი პირობა დაბოღმილი იდგა. აქეთ-იქით აცეცებდა გადმოკარკლულ თვალებს. მერე ხელი ჩაიქნია. შეიკურთხა და ჯიბიდან ფრთხილად ამოაცოცა ფულის დასტა.

ბევრი იყო. გაყო. ნახევარი გულისჯიბეში ჩაიბრუნა. ხელში შერჩენილი ოცდახუთმანეთიანები გაშალა. ჩაიმუხლა. აყანყალებული მაგიდის ფეხს მიუმარჯვა. შეაცურა და მიასწორ-მოასწორა.

— აბა, ეხლაც იყანყალოს! — ამაყად წარმოთქვა ფეხზე წამომხტარმა წითურმა და გოროზად მიიღო სახე.

— ბრავო! — ყვიროდა წითურის ამფსონი ახალგაზრდა ქალი. ახრჩოლებულ სიგარეტს პირში იჩრიდა. ტაშს უკრავდა. თვალებმილულული გაუთავებლად გაჰყვიროდა, — ბრავო!

ქარი ჩადგა.

ცა ვარსკვლავებით მოჭედილიყო. სავსე მთვარეს შევცქეროდი. შევცქეროდი და ვერ გამეგო — მისი შუქი ბრდღვიალებდა თუ ლამპიონების კაშკაშა სინათლე იღვრებოდა რესტორანთან ჩარიგებული ხეების ფოთლებიდან.

— მეცოდება.

— ვინ გეცოდება?

— ეს, — ელისომ მეზობელ სუფრას გახედა, — აი, ეს ქალი მეცოდება... „ბრავო“.

შესაცოდი არაფერი ჰქონდა. იჯდა. ფეხი-ფეხზე გადაედო. წითურს ეგლისებოდა. წინ წამოწეული ტუჩებიდან რგოლ-რგოლად უშვებდა სიგარეტის კვამლს.

— რატომ გეცოდება?

— ყავლი გაუვიდა და იმიტომ.

— რა გაუვიდა?

— ყავლი. სიყვარულის ყავლი.

— შენ რა იცი?

— ვიცი. გუმანით ვხვდები... უთხარი, ერთიც მოიტანოს...

თავზე წამომდგარ ოფიციანტს შემართული თითი დავანახე. გამიღიმა. მოხრილ ხელზე გადაკიდებული ქათქათა ხელსახოცი შეასწორა და მდაბლად დამიკრა თავი.

გაიქცა. მოიტანა. გახსნა და დაგვისხა.

მდუმარედ შევცქეროდით: გამქვირვალე ყელ-ყელა ჭიქებში სწრაფად წკრდებოდა აქაფებული შამპანური. წკრდებოდა და აქეთ-იქით შხუილით ისროდა წინწკლებს.

— ქალს, — ელისო შეჩერდა და მაშინვე განაგრძო, — როგორ გითხრა?... ყველა ჭკვიან ქალს, რაღაც ინტუიცია და შეუცნობი უტყუარი ალღო აქვს.

— დავუშვათ, რომ აქვს.

— დავუშვათ კი არა, ასეა!

— ასე იყოს. მერე?

— თავისი უტყუარი ალღოთი ქალი ყოველთვის ხვდება, როგორი თვალით უყურებს მამაკაცი.

— ასე იყოს. მერე?

— შეხედე ქალს... თუ გინდა, მაშინ შეხედე, როცა ქუჩის იქითა შხარეს მიდის. გამოეპარება? ნურას უკაცრავად! შეხედავ და მაშინვე დაიჭერს შენს ეზერას. ასეა?

— მგონი.

— მგონი კი არა, ასეა! ქალი ხშირად იმასაც ხვდება, უკანიდან როგორი თვალით მიაცილებს მამაკაცი.

ელისომ თავი გაიქნია. მომხედა და განაგრძო:

— ქალმა შეიძლება თავი მოიტყუოს. მოიტყუოს-მეთქი! მოტყუებით კი ძალიან ძნელია, ჭკვიანი ქალი სიყვარულში მოატყუო. გჯერა?

— ისე რა.

— დაიჯერე. მიდი საყვარელ ქალთან. მიდი და უთხარი — მძულხარ! მოტყუვდება? არავითარ შემთხვევაში! რაღაც დეტალით, ნიუანსით, უტყუარი ქალური ალღოთი ბოლოს მაინც მიხვდება, რომ ცრუობ.

შეჩერდა და მაშინვე დასძინა:

— ჭკვიანი ქალი იმასაც ხვდება, ტყუილად როდის ეუბნებიან — მიყვარხარ!

— კიდევ რას ხვდება?

— კიდევ? — ელისო გაისუსა, — კიდევ იმას ხვდება, რომ აი, ამ წითურ, შუახნის კაცს ეშმაკი ჩაუძვრა. დავთრები აერია. ოფიციანტ ანიასკენ გაურბის თვალი და კოკობზიკა ახალგაზრდა საყვარელი საბოლოოდ მოიყირჭა.

— რათა საყვარელი?

— მა ვინ?

— იქნებ ცოლია?

— ცოლები რესტორანში დასათრობად არ დაჰყავთ.. გარდა ამისა...

— აღარ გინდა! — ელისო ხელის აწევით შევაჩერე. დავწვდი. დანაკლულებული ბოთლიდან სასმისები მოვაპირთავე და სმენად ვიქეცი.

— წელან, — ელისომ თავი გაიქნია, — გახსოვს? წელან რომ კარი გაიღო, შემოსასვლელთან რაღაც გახმაურდა და ყველამ კარისკენ გაიხედა:

მახსოვს-მეთქი.

— წითურმა და ანიამ დრო იხელთეს. ერთმანეთს გახედ-გამოხე-

დეს და თვალებით რაღაცა მიანიშნეს.

— მიანიშნეს?

— კი. წითურის ტურფამ მაშინვე დაიჭირა მათი მინიშნება. წამით დაიჭირა. ერთმა წამმა ყველაფერი ნათელი და გასაგები გახადა მისთვის... ლომი თუ გინახავს?.. კინოში გადაღებული გააფთრებული ძუ ლომი?

— ძუ ლომს დაემსგავსა?

— კი. აენთო. აცახცახდა. ქვედა ტუჩი მოიკვნიტა და... გაიღიმა.

— როგორ თუ გაიღიმა?

— ჭკვიანი ქალი ჩანს. როცა წითურმა გამოხედა, არ შეცბა. თავს მოერია. მოიღო სახე და გაიღიმა.

— რა მოიგო ამ ღიმილით?

— დრო.

ელისო გარინდული იჯდა. იქვე, შორს კი არა, იქვე — მტკვრის გადმოღმა, — მოჭუტული თვალებით გასცქეროდა მანქანებით ახმაურებულ სანაპიროს.

ვდუმდი და ვუცდიდი. ვიცოდი, მოიქეიფიანებდა, დაიქნევდა თავს, მომიღიმილებდა, წვრილ-წვრილად მეტყოდა, რა დრო მოიგო წითურის კოკობზიკა ახალგაზრდა სატრფომ.

სასიამოვნო ხმა ჰქონდა ელისოს. ნარნარი. სწორედ რომ კარგი ქალის სადარი.

დინჯად საუბრობდა. ხმადაბლა. ნათლად და ლაკონურად. როცა უნდოდა რაიმე გამოეყო, პაუზას აკეთებდა. სიტყვას ანაწევრებდა. მარცვალ-მარცვალ წარმოთქვამდა და მაშინვე ისევ დინჯად და ნათლად აგრძელებდა შებორძიკებულ საუბარს.

— ამ ქალმა, — ელისომ შოკოლადი მოკვნიტა, — ამ ჭკვიანმა, ახალგაზრდა ქალმა კარგად იცის, რომ სიყვარულს ყავლი გაუვიდა. ისიც იცის, წითური მალე სიზმარივით დაივიწყებს მას, — ახლა ხელით მოტეხა შოკოლადის კვნიტი, — აყალმაყალით არაფერი გამოვა. უნდა მოითმინოს. მიელაქუცოს. მისაგები მიაგოს. დრო მოიგოს, —

ელისომ ხელში შერჩენილი შოკოლადის ფილა გაირიდა, — ისე უნდა-დაიჭიროს თავი, თითქოს ვერაფერს ხვდება, რომ...

— უყვარს და იმიტომ?

— უყვარს. კაცი კი არა... წითურის შეყვარება შეუძლებელია! ბეჭდები და სამაჯურები უყვარს... ზიზილ-პიპილები უყვარს... ყურებზე ჩამოკონწიალებული აგერ ის ბრილიანტის ძვირფასი საყურეები უყვარს...

მე და ჩემმა ღმერთმა, მგონი, მარტალი იყო ელისო!

— ქალის სული ამოუცნობია, — აიჩემა. მიიმარჯვა. აიღო და ისევ მოკვნიტა შოკოლადი, — ადამიანი მალე ალბათ სხვა გალაქტიკაში გაიჭრება. მთლიანად ამოხსნის, ჩაწვდება და შეიცნობს სამყაროს საიდუმლოს. სული... ქალის სათუთი სული კი ბოლომდე მაინც ამოუცნობი დარჩება მამაკაცისათვის...

— შენ გინდა, თქვა...

— მოიცა, ვთქვა!

ელისო ყოყმანობდა. ბოლოს, როცა გადაწყვიტა ეთქვა, გაიქნია თავი. დიდრონი, უძირო, ცისფერი და მართალი თვალები მოშანაცა.

— თვრამეტი... არა, ცხრამეტი წლის ვსრულდებოდი, როცა მდიდარი საქმრო გამომიჩნდა. დასაწუნი არაფერი ჰქონდა: შეხედულიც იყო. განათლებულიც. კარგი ოჯახიშვილიც.

— გიყვარდა?

— ერთხელ, ჩემი საქმრო ტაშკენტში მივლინებით გაგზავნეს. ორი კვირა დარჩა. როცა ჩამოვიდა, დაგვირეკა — მომენატრეთ. მოვალ.. მოგინახულებთ და ერთად ვისადილოთო.

— ოჰო!

— მოვიდა. დაზურგული კალათი მოიტანა. ბაზარში გამოვვლ. ევაჭრა და სადილისთვის უამრავი სანოვაგე ეყიდა.

— სიძე, შე ძველო!

— მოიცა — ელისომ მწყრალად შემომხედა, — მოვიდა. მოგვესალმა. დედაჩემს ხელყრილი გაუკეთა. სამზარეულოში გაიყვანა და კალათიდან მოტანილი სანოვაგის ამოლაგება დაიწყო.

ელისო წამით ჩაფიქრდა.

— როცა ხორცს იღებდა, თვალები გაუბრწყინდა. გაიჯგიმა. ქარვისფერი ნაჭერი შეატრიალ-შემოატრიალა. დასუნა და ლამის იყო ზარ-ზეიმით დასჭექა:

— ანტრეკოტია! პირველი ანტრეკოტი!

ელისო მიყუჩდა.

ვდუმდი და ვუცდიდი.

მოიქეიფიანა. გაიღიმა. საჩინო სევდით გაიღიმა და ფიქრებში წასულმა წამოიწყო:

— ვღელავდი. არ დაგიმალავ — ორი კვირის უნახავ საქმროსთან შეხვედრა მაფორიაქებდა. კდემით მავსებდა. აქამდე ჩემთვის უცხო რაღაც ვარდისფერ ბურანში მხვევდა და საამოდ მანანავებდა.

— მერე?

— ბურანი გაქრა. სამზარეულოში უცხო კაცი იდგა. იდგა და რამდენიმე მიხაკის... არა... ერთი... თუნდაც ერთი მინდვრის უბრალო გვირილის ნაცვლად ხელში ანტრეკოტი ეჭირა.

— პირველი ანტრეკოტი.

— როცა ერთმანეთს შევხედეთ, მაშინვე მივხვდი, ამ უცხო კაცის კმაყოფილი ღიმილი მე კი არა, ანტრეკოტს ეკუთვნოდა. პირველ ანტრეკოტს!

ელისომ ამოიოხრა.

— ისიც ვიმცნაურე — ჩემი საქმრო ვერასოდეს ვერ გაიგებდა, რა ბოლმა და ბალღამი ტრიალებდა ცხრამეტი წლის თავდახრილი ქალიშვილის სათუთ სულში.

— მერე?

— ეს იყო და ეს!..

ელისოს თანდათან მოეკიდა სასმელი. წამოენთო. ახმიანდა. უფრო მეტად აუბრწყინდა თვალები.

პირველად არ სვამდა. როცა მივაძალე და ერთი ჭიქა შამპანური შესვა, გაიიოლა. თხოვნა აღარ დასჭირებია. სვამდა. წრუპვა-წრუპვით სვამდა და სანახევროდ ცლიდა ყელყელა ჭიქას.

იჯდა. ხან რას, ხან რას, ხან მოყოლილს მიყვებოდა. ჭამდა. კიკნა-კიკნით ჭამდა და შიგადაშიგ ჩუმჩუმად კისკისებდა.

რესტორანს ხალხი მოეძალა. დარბაზში მუსიკა უკრავდა. აივანზე გახვითქული ოფიციანტები დაჭენაობდნენ.

იქვე, ჩვენი მაგიდის მარჯვნივ, გამოღებულ სარკმელთან ჩამოკიდებული ტულის ფარდის მიღმა, დარბაზი მოჩანდა.

ხალხით გაჭედილი. ჭერმაღალი. ოვალური დარბაზი.

შევცქეროდი და ვერ გამეგო: შემოსასვლელის გვერდით მიხუხულავებულ ციცქნა ესტრადაზე როგორ ეტეოდა ოთხი დამკვრელი, უზარმაზარი დოლი, ორი ბაიანი, პიანინო და დიპლიპიტო.

სოლისტიც ჰყავდათ.

მიკროფონთან ქალი მიმდგარიყო. ზანგივით თმახუჭუჭა. მსხვილბარძაყა. დიდძუძუებიანი ძონძროხა ქალი.

მღეროდა. სომხური „წიწერნაქი“ დაამთავრა. ახლა ესპანელ ტორეადორზე დაწერილ იტალიურ რომანსს რუსულად მღეროდა.

— აქ... აი აქ... აივანზე... რამდენი ქალი ზის ჩემზე უკეთესი?

ელისო დაღვრემილი იჯდა. თავი დაეხარა. მუხლზე შემოდებული ხელის გაშლილ თითებს დასცქეროდა.

— არც ერთი! ასე გინდა მითხრა, არა?

მიმიხვდა. ასე მინდოდა მეთქვა.

ძონძროხა სიმღერას ამთავრებდა. ამთავრებდა და, მგონი, თვითონაც თავდებოდა.

იდგა. ბარძაყები გაეჩაჩხა. ძუძუები უთახთახებდა. წითელი პომადით შეგლესილი ტუჩები ბოლომდე გაეღო. თვალები დაეხუჭა და ორივე შემართული დამუშტული ხელი თავში სახლელად მზად ჰქონდა.

— წეღან...

ელისოს რაღაც აწუხებდა. რაღაც დიდი, გაუძლისი, გულში ჩაგუბებული ბოღმა.

— წეღან... აქეთ რომ მოვდიოდით, მაშინ... შორიდანვე დავინახე, აი ეს კაცები როგორ ელოლიავებოდნენ ქალებს...

ელისომ ამოიოხრა.

— დავინახე და შემშურდა... — ამ ქალების ბედი შემშურდა... შემშურდა და რა ვქნა?!

„რუმბას“ უკრავდნენ. აერიამულებულ აივანზე რეპროდუქტორიდან ძველებური საცეკვაო მუსიკის მელოდია ყღერდა.

— მომენატრა... იცი, როგორ მომინდა და მომენატრა, ჩემზეც ეზრუნა ვინმეს...

ელისო ტიროდა.

— აქ შემოსვლა მომინდა... ქვრივ ქალს ქალად გახდომა მომინდა... დედას გეფიცები, სიმღერა და ცეკვა მომინდა... მომინდა და რა ვქნა?!

— შენ რა, ცეკვავ?

— კი. როცა ძალიან მომენატრება, ვცეკვავ.

ამომხედა. აწყლიანებული თვალებით ამომხედა. გულში ჩამწვდომი სევდიანი ღიმილით ამომხედა და მკითხა:

— ვიცეკვოთ?

— ვიცეკვოთ.

კარგად ცეკვავდა. მსუბუქად და მოქნილად. ტაქტით. წელში გაპართული მოხდენილად უნაცვლებდა ერთმანეთს ჩამოქნილ ფეხებს.

მიმიხვდებოდა ჩანაფიქრს. გააკეთებდა წინსვლას. შემობრუნდებოდა. გაიქნევდა თავს და ნარნარი რხევით ისევ სწრაფად და მოხდენილად უნაცვლებდა ერთმანეთს აცეკვებულ ფეხებს.

— ჩემი ხმა მოგწონს, მგონი, არა?

— კი.

— თმა?

— თმაც მომწონს.

— კიდევ რა მოგწონს?

— თვალები.

მომხედა და აღარ მოუცილებია თვალები.

— ერთი ბოთლი შამპანური კიდევ დავლიოთ, ჰო?

— ფული არ გვეყოფა.

წინ კნაჭა ქალი და ლიპიანი კაცი ცეკვავდნენ. ჩვენს უკან კნაჭა კაცი და მსუქანი ქალი.

იქით, აივნის კუთხეში, მიმყუდროებულ ადგილზე, ჩალისფერთმიანი ანია და გაოფლილი წითური ცმუკვა-ცმუკვით ბუქნაობდნენ.

— იქნებ გვეყოს? — ელისომ ხელზე ხელი მომიჭირა, — პა? იქნებ გვეყოს?..

— მწ!

არ მესმოდა, მაგრამ ვგრძნობდი, მტკვარი დგაფუნობდა. ხეების ფოთლებიდან ისევ თვალისმომჭრელად იღვრებოდა ბრდღვიალა შუქი.

ელისომ გაიღიმა. განაწყენებულმა გაიღიმა და დაჟინებით მიაშტერდა რაღაცას.

არ გამიხედია, ვიცოდი, წითურის მაგიდის ფერს მიჩერებოდა ელისო.

ელისო ზარიძე

თოჯინამ ლაპარაკი არ იცის

ირიჟრაჟა. ტახტზე ვიჯექი და ვთვლემდი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ნაწილ-ნაწილ ვიშლებოდი. სიცივისაგან ხელ-ფეხი მიბუჟდებოდა. მთელი ღამე იმას ვფიქრობდი, აი, ახლა, აი, ახლა ავდგები და ნინიკოს შევუწვები ლოგინში-მეთქი, მაგრამ არ ავმდგარვარ. ვიჯექი, ფანჯრიდან შემოსულ მკრთალ შუქზე ნინიკოს დავყურებდი და ვიყინებოდი.

ისევ ბარდნიდა. ნელ-ნელა იკვეთებოდნენ დილის ბინდბუნდში მთის კენწეროები, თოვლიანი სახურავები, ელექტრონის გაძვალებული, ჭიისაგან გამოხრული ბოძი. ძძიმედ თავჩაკიდული ბლის ხე დაღონებული და მობუზული იდგა და მეცა მცივა-მეთქი, ვუთხარი, მეც სულ ერთიანად გათოშილი ვზივარ-მეთქი. გარეთ აბურძგნული ბეღურა რაფაზე რაღაცას კენკავდა. ნინიკომ თუ დაუყარა პურის ნამცეცები. საბავშვო ბაღშიც სულ ჩიტებსა და ქათმებს დასდევს ხოლმე. ნელიმ მითხრა, თავის წილ ფუნთუშას ჯიბეში მალავს და მერე, ეზოში რომ ჩაგვყავს სათამაშოდ, მესრის იქით, ვიღაცის წიწილებს უფშვნისო.

გადათენდა. ახლა ძაღლის გამოჩენასღა ველოდებოდი, რომ ავმდგარიყავი და ღუმელი დამენთო. უთენია გამოჩნდებოდა ხოლმე. კედელ-კედელ, ლასლასით ჩამოვიდოდა, ჩაცუცქდებოდა ჩემს ფანჯარასთან და მიცდიდა. ერთი ბეწო ლეკვი იყო, კოტემ რომ მოიყვანა. ლამაზი, ლამაზი, ყურებდაცქვეტილი, კუდზე უფორმო, წაბლისფერი ხალები ეყარა. იმდენს დარბოდა და წკავწკავებდა, მთელი ეზო აიკლო. ახლა ყეფაც კი ეზარება. ერთს უგემურად შეჰყმუვლებს და მორჩა. ალბათ ლოდინით დაიღალა.

ვუყურებდი, როგორ ჩამოდიოდა გვერდოზე. ფანჯარას ამოხედა და უკანა ფეხებზე ჩაცუცქდა. გული ამომიტრიალდებოდა ხოლმე, ფანჯარას რომ ამოხედავდა. მელოდებოდა, როდის გადავუგდებდი პურის ნაჭერს. მთელი დღე რომ არ გავსულიყავი გარეთ, მაინც ასე იჯდებოდა. მთელ ღამესაც იჯდებოდა და მეორე დღესაც. ამას ერქვა ალბათ ძაღლის ერთგულება. გავყურებდი და ვფიქრობდი, არავის არ სჭირდება და ისევ მე მეკედლება-მეთქი. არის თავისთვის და კოტეს უცდის, ჩემსავით... მეც ამ ძაღლივით უპატრონო ვარ, უპატრონო და ერთგული-მეთქი. არც მაგისი ერთგულება სჭირდება ვინმეს და არც ჩემი-მეთქი.

... „ერთგულება... თუ ჩაფიქრებულხარ ამ სიტყვაზე, გოგონი... გული რომ არ აგიჩუყდეს, უნდა იბღავლო“... და ამას რომ მეუბნებოდა, მე მართლა მესმოდა კოტეს ბღავილი. შემომცქეროდა თვალებაპაციალებული, სიცხიანსა ჰგავდა და ვერ გამეგო, რა დაემართა ასე

უცებ, აკი ამ წუთში რაღაც ლექსს ბუტბუტებდა ლოცვასავით, ცისკენ თავაღერილი. „მე სხვა არაფერი მჭირდება ამ ქვეყნად, გოგონი. ერთგულების გარდა, შენს გარდა. ეს სიმდიდრე კი არა, ფუფუნებაა. არ შეიძლება, ჩემს გვერდით რომ არ იყო. უბრალოდ, არ შეიძლება“. მოვდიოდით ალვების ხეივანში. უზარმაზარი, გავარვარებული მზე ზედ მთის წვერზე ეკიდა და გამოთხოვების წინ დარდით იწვოდა. მწვანე გუბეში, აფთიაქთან, მშვიდი განცხრომით ყიყინებდნენ ბაყაყები, რაღაცას გასწიოდნენ გადარეულები და შეშინებული, დამფრთხალი კოღოები ყურთან გაგვიწუილებდნენ ხოლმე. მაწანწალა, ჭუჭყიანი ფინია, თუ, სულაც ლეკვი, საიდანღაც ადევნებული, ჩვენს წინ მიძუნძულებდა, გარშემო გვივლიდა, ფეხებში გვებლანდებოდა, სასაცილო, წვრილი ხმით გვიყეფდა გაოცებული, ნუთუ ვერა მხედავთო, სანამ კოტე არ დაიხარა და ხელში არ აიყვანა. უცებ დამაფრთხო რაღაცამ. „მიყვარს“. მუხლზე ესვა ის მოუვლელი, ლეკვი, მიწაზე ჩაჩოქილს და უცხო, მამაკაცური სინაზით დასცქეროდა. ჭუჭყიან, ასორსოლავებულ ბალანზე ეფერებოდა. წინა თათებში შეუყო ხელები, ასწია და ლოყა პაწაწინა კუზივით ამოჩრილ ზურგზე გაუსვ-გამოუსვა. „მიყვარს. მიყვარს“...

როგორ ბარდნიდა! აბა, რაო, ყაჩაღანა სონამ მითხრა გუშინ, ერთი თვის რძის ფული რომ მივუტანე, — ახალი წლის ღამეს დიდთოვლობა უხდებაო. ოტიას უნდა დაერეკა და იმიტომაც არ ვდგებოდი ჯერ. ტელეფონი იქვე მედო, ბალიშზე, რომ ზარის ხმას ნინიკო არ გაეღვიძებინა. ყიოდნენ მამლები. გვერდოზე ვიღაცა თოვლს მიახრაშუნებდა. ღამე რომ ყოფილიყო, ნინიკოს ვეტყოდი, თოვლის პაპა დადის და ყველაზე კარგ ბავშვს დაეძებს, რომ საჩუქარი მიართვას-მეთქი. მერე გავიდოდი და აივანზე დამალულ კანფეტებით ამოვსებულ პარკს შემოვუტანდი, ან ფერად-ფერად გასაბერ ბუშტებს, — ნახე, რა დაუტოვებია შენთვის-მეთქი. წიგნის თაროზე შემოდებული სურათიდან კოტე დამცინავად შემომცქეროდა და თვალს აღარ ვაცილებდი იმ

ურათს, მინდოდა კოტეს თვალებიდან წამოსული ირონია შიგ გულში ჩამხობოდა, ასე უფრო გამიადვილდებოდა დღევანდელი დღის დაღამება. მაშინ კი, როცა გავიცანი, სულ სხვანაირი თვალები ჰქონდა, ჯერაც აუმღვრეველი, კეთილი, სათუთი ალერსით გამთბარი. თითქოს ის ნაზი ალერსიც აკრთობსო. მე და თათია შესვენებაზე არ წავსულვართ იმ დღეს, იქვე ვისაუზმეთ, ბიბლიოთეკაში, საწერი გვქონდა. სპირტქურაზე ყავას ვადუღებდი, კოტე რომ შემოვიდა. შესვენება გაქვთო? მოერიდა კი, მაგრამ აღარ გაბრუნებულა. „ნედელიას“ ბოლო ნომერი გვთხოვა. ძალიან კარგი მომეჩვენა, ვაჟკაცური, კინომსახიობი ხომ არ არის-მეთქი. ისიც კი გავიფიქრე, ვიცნობდი თითქოს. მაღალი, გამხდარი, ბეჭგანიერი, შეხედავდი და მაშინვე მიენდობოდი. მზეზე ალივლივებული, ტბისფერი თვალებით თითქოს შორიდანვე გვეფერებოდა. სხვანაირი იერი ჰქონდა, უცხო, კოხტად და გემოვნებით ეცვა. რომ დაილაპარაკა, მივხვდი, რომ რაც შემოვიდა, თვალი არ მომიცილებია და გავწითლდი. „ისე მიყურებს ეგ შენი ხათუნა, ნამდვილად მოვეწონეო“, თათიას უთხრა. „რა იცის, რომ ხათუნა მქვია. რა იცის...“ ვცდილობდი მისკენ აღარ გამეხედა. „აბა, აბა, — გაიცინა თათიამ, — ეგ ანკესები ქალაქში გადაყარე, აქ არ მოედება“. „შესვენების საათია“, — ვთქვი მე. არც გაუგონია. „იქნებ მეც მომიდუღო ერთი ფინჯანი ყავა? — მეფერებოდა შორიდან, — ძალიან მიყვარს“. მოვიდა და ყავის საფქვავი აიღო. უცებ ისეთი გრუხუნით გადაწვა გვერდით ოთახში წიგნების თარო, დაფეთებულები წამოვცვივდით. „ეგრეც ვიცოდი, — შეიცხადა თათიამ, — ეგრეც ვიცოდი“. ნესტის, ობისა და მტვრის სუნი გვეცა. შრიალით იკეცებოდნენ წიგნის ფურცლები. ავარდნილი მტვერი მზის სხივებში ციმციმებდა. „რა უნდა ვქნათ ახლა? — ლამის ეტირა თათიას, — ახლა რაღა უნდა ვქნათ? — ხან ერთ წიგნს აიღებდა, ისევ იატაკზე დასდებდა, ხან — მეორეს. უმწეოდ აცეცებდა თვალებს, — ერთი დურგალი არ გვაღირსეს. არავის არა აქვს ბიბლიოთეკის დარდი“.

დაძმარებულებმა დავლიეთ ყავა. რაღაც ანეკდოტს გვიყვებოდა კოტე, მაგრამ არც ერთი არ ვუსმენდით. აიღო ის თავისი „ნედელია“,

რაღაცას გველაპარაკებოდა მფრინავ თეფშებსა და ექსტრასენსებზე და ისევ რომ არ ვათხოვეთ ყური, წავიდა. „ეგ ბიჭი ლეოსთან მუშაობს, კომუნალური მეურნეობის კომბინატში, — მეუბნებოდა თათია, თან იატაკიდან წიგნებს ვკრეფდით, — თვითონაც ინჟინერია, საბავშვო სახლში გაზრდილი. სადღაც რუსეთში დაუმთავრებია უმაღლესი სასწავლებელი. ხიდი უნდა აგვიშენოს ქსანზე“.

„რა ჰქვია?“ „კოტე. ყიდაანთა ცხოვრობს. სუ დაგვაჰაჩინკაო, ყიდას ცოლი ამბობდა, რაც ქორწილობას ატეხილ ჩხუბში მიილეწმოილეწა, სუ დაგვიმთელაო. სამზარეულოში კაფელიც აუკვრია. რა ხელი აქვს, გაგიჟდები, ხატავსო“. „დაბაში საიდან მოგვევლინა“... „რა მოგახსენო, ლეო ხომ იცი, როგორია. ოღონდ ვინმეს უპატრონოს და უქომაგოს, იპოვიდა სადმე“. „სულ არავინ არა ჰყავს?“ „პრიუტელს ვინ უნდა ჰყავდეს? სახელმწიფო ჰყავს. ლეო ამბობდა, კარგი სპეციალისტიაო. ხათრიანი ბიჭია, ეტყობა. ნაბრიგადალ ალექსაანთვისაც უფულოდ აუკვრია კაფელი. იმ დღეს ეგა და ალექსა კინოსთან შემხვდნენ. გამობრუჟულები მიღიღინებდნენ“. „კაი ვინმეცა ყოფილა“...

გავაშანშალეთ კიდევ ერთი მოხსენებითი ბარათი ბიბლიოთეკის რემონტსა და ჩალეწილ წიგნის თაროზე და თათიამ ის ბარათი კულტურის განყოფილებაში წაიღო. დავრჩი მარტო. ისევ გადავიცვი შავი სატინის სამუშაო ხალათი და წიგნთსაცავში შევედი. ის წიგნის თარო დამბლადაცემული კაცივით ხელ-ფეხწართმეული ეგდო და ალბათ ეგრეც ეგდებოდა კარგა ხანს. წიგნებს იატაკზევე ვალაგებდი, რომ ფეხი არ დაგვებიჯებინა. „ჯერ მე უნდა მომეხმარო, გოგონი. თაროს ფეხზე რომ წამოვაყენებთ, ეს წიგნები მერე ბარემ ზედ მიალაგე“. გული ამომიტრიალდა შიშით, შემოსასვლელი კარი შიგნიდან მქონდა გადაკეტილი. მიყურებდა სიცილით და თითქოს იმ სიცილითვე მეფერებოდა. იქვე, ჩამოყრილ წიგნებზევე დაალაგა რაღაც ნარაღები, — ხერხი, ჩაქუჩი, საღებავის კოლოფი, ფუნჯი, ლურსმნები...

გვიან ღამით, მთელი კედლის სიგრძეზე აშოლტილ თაროს რომ გამოვეთხოვეთ, — ახალსა ჰგავდა, თავმომწონედ შემოგვცქეროდა,

კეკლუცად და აპრიალებულ ზურგს აზიმზიმებდა, — სახლამდე გამაცილა. „ღამე მშვიდობისა, — ვუთხარი ჭიშკართან, — დიდი მადლობა“. „სახლში ვინ არის?“ „დედა“. კიბეზე ავიდა და კარი შეაღო. რა თავხედია, ღმერთო, რა თავხედია-მეთქი, დაბნეული ვფიქრობდი და ოთახში რომ შევედი, დედაჩემს ეუბნებოდა: „მიყვარს. ნაღდად ვიცი და თქვენც მინდა იცოდეთ, ქალბატონო“. „აბა, რანაირად... — ხელებს ასავსავებდა დედაჩემი, — არც კი გიცნობთ“. „გამიცნობთ. ღამე მშვიდობისა“, „ეს ვინ გადაიკიდე, — დედაჩემიც დაბნეული იყო, — დამთხვეული! რა დროს სიყვარულზე ლაპარაკია. დღეს გოგო გაიცნო, დღესვე ცოლად შერთვა მოეგუნება. გაცლაც ადვილად ეცოდინება“.

ალვების ხეივანი გვქონდა ამოჩემებული. სამსახურის საათების დამთავრების შემდეგ ფეთიანივით გავრბოდი პაემანზე. გეგონება ციებ-ცხელება შემეყარაო. „გოგონი“... მეუბნებოდა და ამ ერთ სიტყვაში ყველაფერსა ტევდა, — სიყვარულში გადასულ რაღაცნაირ ნაზ სევდას, სიხარულს, იმდენ რამეს, რომ ტირილი მინდებოდა. მიკვირდა, როგორ შეეძლო ცოტა ელაპარაკა და ბევრი რამ ეთქვა. გაზაფხულზე, როგორც კი დათბა, ალვების ხეივნიდან ქსანზე გადავინაცვლეთ. მეურნეობის გარაჟთან, რიყეზე, წლების მანძილზე ეგდო ერთი უპატრონო, გაძარცვული, ორსული დედაკაცივით გაბერილი, ჟანგისაგან შეჭმული უფორმო მანქანა. იმ მანქანისაკენ ისეთი მოუთმენლობით მიეჩქარებოდა, ეჭვით გავიფიქრებდი ხოლმე, ჩემზე მეტად ენატრება-მეთქი. დაათრევდა რაღაც რკინებს, ნაწილებს, რეზინებს, უკაკუნებდა, ჭრიდა, ხრახნიდა. მთელი ზაფხული ვეჯექი იქვე, რიყის ქვაზე, შიშველი ფეხები თბილ ქვიშაში მეწყო და კალთაზე დადებული, ცხელი ხაჭაპური ნელ-ნელა მიცივდებოდა. „არ გშია?“ „ოცი წუთი, გოგონი... — ჩაჟანგული რკინის ვეება მუცლის ქვეშიდან მოლიმოდა, ან მოტორთან ჩაყირავებული მაზუთით მოთხვრილ სახეს წამოსწევდა, — ოცი წუთიღა“... ის ოცი წუთი დაუსრულებლად იწელებოდა და კარგა შეღამებულზე თავდებოდა. გასწევდა ზევით, ასკილის ბუჩქებთან, გაიძრობდა მაზუთიან ტანსაცმელს და ქსანში გადაეშვებოდა. ვიჯექი ქვაზე და ტალღების დგაფუნი მესმოდა, ნეტა-

რებას ამოყოლილი ფრუტუნი. მოვიღოდა პერე, დაბანილი, სუფთა, სველი თმა შუბლზე ეწებებოდა, კანზე ჯერ ისევ სიცივის ბურცგლები ეყარა: „დღესაც დაგვაგვიანდა კინოში. კარგი ფილმი თუ გადიოდა მაინც?“ ცივი ხაჭაპურით მადიანად ილუკმებოდა და ისეთი სიყვარულით გასცქეროდა იმ ჩაქანგული, მიწისა და მზისაგან შეჭმული რკინების გროვას, თვალს ვარიდებდი: „ჩხირკედელა ხარ, თუ რამე ამოიჩემე, მტრისას. აბა, რათ გინდა“... „მჭირდება, გოგონი. ისე მჭირდება, როგორც ჰაერი, როგორც შენ“... და სულაც არ ენაღვლებოდა, მთელი დაბა თუ ჩვენზე ჭორაობდა, დღისით, მზისით, ასე გამომწვევად რომ დავლაჯუნობდით ყველას თვალწინ და არაფერი გვეტყობოდა, ჩვენი მომავალი თუ გვადარდებდა. მაგრამ ალვების ხეივანში, სადაც სიბნელე ორ საცოდავ, უსახლკარო მაწანწალასავით გულში გვიკრავდა, ხელს მხარზე რომ გადამხვევდა, ყველაფერი მავიწყდებოდა.

იმ ბეტონის ასარევ მანქანასთან ხელჩართულ ომში, როგორც იყო, გაიმარჯვა. ერთ მშვენიერ დღეს, ნელ-ნელა, ზარმაცად ათუხთუხდა, აძაგძაგდა და მერე უცებ ისე აბღუვლდა, ყურები თითებით დავიცავი. გვერდით ვეჯექი, რიყეზე მივქროდით და კოტეს ყიჟინა ცისა სწვდებოდა. ეგრევე, ორივენი მივადექით ხიდს, სადაც ქვიშისა და ხრეშის მთები, ცემენტის ცელოფანგადახურული გროვები, გრძელი რკინები და ფიცრები ეყარა. კოტეს ყიჟინა ვიღას ესმოდა, მუშებმა ისეთი ზარი დასცეს. ქუდებს მაღლა ისროდნენ, ყვიროდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, ისეთი ზარ-ზეიმი ედგათ, ჩემი თავისა შემრცხვა, რატომ მეც იმათსავით არ მიხარია-მეთქი. და როგორი მოულოდნელი, როგორი თავზარდამცემი და დაუჯერებელი იყო, იმოდენა სიხარულის მერე თათიას სიტყვების მოსმენა: „კოტეს საკითხი ბიუროზე გადის“... ესეც საახალწლო იყო, როცა ნაძვის ხეებსა ვრთავდით, როცა განვადებით გამოტანილი საქორწინო ბეჭდების ფულის გადახდას ვამთავრებდით, როცა ოცნებაში ათასჯერ შექმნილი ოჯახის შენებას მართლა ვიწყებდით, როცა ქსანზე ამაყად გაშოლტილი რკინა-ბეტონის ხიდი საცაა უნდა დამთავრებულიყო. „ღმერთო... ღმერთო“... სადღაც

ჯავრბოდი, არც რამეს ვფიქრობდი, არც ვაზროვნებდი. რაიკომის ეზოში მუშები იდგნენ, ის მუშები, კოტესთან ერთად ხიდს რომ აშენებდნენ. „ნუ გეშინია, — ძია წყალობამ მითხრა, კალატოზმა, — ჩვენ აქ არა ვართ! ნუ გეშინია, შვილო“... ზოგი თვალს მარიდებდა, ზოგი ჩაიბურტყუნებდა ხოლმე, ღმერთი სამართლიანიაო. „რა დააშავა?..“ — ისე ვიკითხე, ჩემთვის დავილაპარაკე, ალბათ, იმიტომ, რომ მდუმარედ დგომა და ლოდინი ძნელი იყო. გეგონება მიცვალებულის გამოსვენებას ველოდებოდით და მე კუბოში მწოლიარე კოტეს ვხედავდი, ცივსა და ლურჯს, მაღლა აწეული ხელებით ეჭირათ და ნელ-ნელა, ზოზინ-ზოზინით მოჰქონდათ, დაღვრემილებს, გარინდებულებს, ბოლშისავან გულებგაგლეჯილებს, — რა დააშავა?.. „არაფერი, — რომელილაცამ მითხრა. — არაფერიც არ დააშავა“. მერე ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, ალაპარაკდნენ, გარს მეხვეოდნენ, ხელებს იქნევდნენ: „კოტე რას დააშავებდა?“ „კონტროლი იჯდა, საბუთებში იქექებოდა, შენაო, მუშებს იმოდენა ხელფასებს ვისი ჯიბიდან უხდიო?“ „ძაშ, მუშა როგორ უნდა შეენახა? ჩვენ დაგვიძახონ ბიუროზე. ჩვენ ვიტყვით“. „მუდამ ეგრე არ იყო? სამ-ოთხ მანეთათ მუშას იშოვი?“ „დღეში ათ მანეთ გვიწერამდა“. „ნეტა ეგეთი პატიოსნები თვითონ იყვნენ“... „თავის ხელით არ ააწყო ის „ბეტონომეშალკა“? ხო გადაგდებული ეგდო, ხო გამააჯანმრთელა, იმის მაგივრათ, რო მადლობა უთხრან“... „ბეტონომეშალკახ“ ამუშავებდი, საბუთებში კი ისე აჩვენებდი, თითქო მუშები ურევდნენო“. „მა, როგორ დაგვირიგებდა მაღალ ხელფასებს. სახელმწიფო ხო არ დააზარალა, კაცო!“ „პროექტში სასტიკი საყვედური უწერიაო“... „ხელფასის ოცდაათ პროცენტს დაუკავებენ“.

ვიდექით. ველოდებოდით. ჩამოვიდა ცოცხალ-მკვდარი. დაუტატანა იმათ, აქ ვინ გეპატიჟებოდათ, სამუშაო რად დააგდეთო, მოვიდა, ორივე ხელით სახე ამიწია და შუბლზე მაკოცა: „წავიდეთ, გოგონი“.

ყველაფერი ისევ ისე იყო და მაინც რაღაც შეიცვალა. დრო თითქოს შეჩერდა, თითქოს ერთ უშველებელ, ავად მბორგავ მორევად იქცა და ერთ ადგილზე დაიწყო ტრიალი. ახლა გუშინდელი დღე წარსულში კი აღარ გადადიოდა, დღევანდელშიც გრძელდებოდა, დაუს-

რულებელ, გაუთავებელ ჯაჭვად იწელებოდა და ის ჯაჭვი ყელზე მძიმე სამკაულად მეკიდა. მოვიდოდა ხოლმე ბიბლიოთეკაში და იჯდა თავისთვის. რცხვენოდა, პატარა ბიჭივით რომ ეტარებინა იღლიაში ამოდებული წიგნები და გაზეთში შეხვეული მიჰქონდა. უდედმამო ბავშვთა სახლში რაღაცნაირად უცებ გაშინაურდა. ზოგს ისიც კი ეგონა, იქაცა მუშაობსო, ისე ხშირად ხედავდნენ იქა. ალბათ იმიტომ უყვარდა იმათთან ლაპარაკი, იმათი ცქერა, თვითონაც უპატრონო რომ იყო, რა ვიცი. ეთამაშებოდა, ათას რამეს უყვებოდა, სულ სიცილით ჩააბჟირებდა ხოლმე იმ პირდაღებულ ბაჭიებს. სკოლის ეზოში იდგა და იმათი მედალოსანი ბიჭის ნიშნის გაგებას ელოდებოდა. ემანდ ოთხიანი არ დაუწერონო. იმ მედალოსანს თბილისშიც მისდევდა, უმაღლეს სასწავლებელში საბუთების შესატანად. მათემატიკაშიაც ამეცადინებდა. იმათი სპორტული მოედნის მოსაწყობად გამოყოფილი თანხებისთვისაც დარბოდა, რეკავდა, ვიღაცას ეხვეწებოდა, ეჩხუბებოდა. „დირექტორი ხარ იმათი, თუ დეპუტატი, დაგიფასებს ვინმე, აი! ფიცარია გადმოსატვირთი, დგანან და გელოდებიან, რას დაპროწიალობ აქა!“ საყვედურობდა ლეო. თითქოს აღარ აინტერესებდა თავისი სამუშაო, თავისი რკინა-ბეტონის ხიდი, საბავშვო სახლში აუზი ააშენა და რაც ფული ერგო, წავიდა და თბილისიდან სულ ტყავის ბურთები და სპორტული. მაისურები ჩამოუტანა. „იმათ ხომ ყველაფერი აქვთ, — უკვირდა თათიას, — სახელმწიფო ხომ“... „დედ-მამა კი არა ჰყავთ“. თან როგორ ბრაზობდა, ამაზე რომ ელაპარაკებოდნენ! ფერიც კი შეეცვლებოდა ხოლმე სახეზე. სათევზაოდ რომ მივდიოდით ქსანზე, ან ტყეში სახეტიალოდ, ის ობლები სულ თან დაგვდევდნენ. ღიღინებდა ხოლმე: „ობლის კვერი ცხვაო, ვეღარ გამოცხვაო“. ერთხელ გრიპი შეხვდა, ოთხი-ხუთი დღე აღარ გამოჩენილა, იწვა. აიღეს თავი იმ თავისმა შვილობილებმა და სულ მწკრივად დაწყობილები მიადგნენ სახლში, თან მანდარინები აუტანეს. ტიროდა ლამის: „რითი იყიდეს... სადა ჰქონდათ ფული... ალბათ სულ კაპიკ-კაპიკ აგროვებდნენ ერთმანეთში“...

მარტო იმათ კი არა, მთელ დაბას უყვარდა. მეამაყებოდა, რომ

იტყოდნენ ხოლმე, უღალატო, ნაღდი კაციაო. თითქოს ამათი, ყველას ნათესავი იყო, ახლობელი, თითქოს სულ ერთად დაიზარდნენ, ისე გაუშინაურდა ყველას და ისინიც ახლობლადა სთვლიდნენ, ღვიძლ ნათესავად.

თან დაუზარელიც იყო, მიხმარება უყვარდა. ბიბლიოთეკაშიაც კი რეკავდნენ, მანდ ხომ არ არის კოტეო. სულ დაეძებდნენ, სულ იმის გზასა ძიობდნენ. არცა სწყინდა, არც უკვირდა. „ვნახავ, ერთი, ჭაბუას ონკანს რა ასტკივდა“ და მიდიოდა. უკვე ვიცოდი, რომ იმ ჭაბუასაგან მთვრალი დაბრუნდებოდა. იმ ონკანის მკურნალობა მშვენიერი კარგი ქეიფით დამთავრდებოდა ბაღის ბოლოში, უშველებელი კაკლის ხის ძირში გაშლილ სუფრასთან, ან ხეივნით გადაბურულ აივანზე. ახლა როგორა მღეროდა! გიტარას რომ აიღებდა და სიმებს ააკვნესებდა, მეც ვკვნესოდი გულში... ბედნიერი. და ისე ბუნებრივი იყო ეს ყველაფერი, ისე კარგი, იმდენად ჩვეულებრივ ამბადა ვთვლიდი იმ ქეიფებს, სულაც არ მედარდებოდა, უკვე შემთვრალს, ჯიხვის ყანწს რომ გადააწვდიდნენ ხოლმე და ისიც, იმ ყანწით ხელში, ისე ლამაზად ილოცებოდა! გულშიაც არ გამივლია, აგერ, ზედ ცხვირწინა მყავს ჩასაფრებული საფრთხე-მეთქი, როგორც კბილებდაკრეჭილი, ხახადაღებული მგელი, რომელიც გადაყლაპვით მემუქრებოდა. ვერა ვხვდებოდი, რომ ის საფრთხე, დაუნდობელი, ულმობელი და სასტიკი მტერიეით ერთბაშად, მოულოდნელად უნდა დამცემოდა თავზე. ჯერ კი უსახო, მზაკვარი ეშმაკივით იჯდა სქელკედლიან, მომწვანო ღვინის ბოთლში, თიხის უფორმო ხელადაში და რაკი ჯერ დრო არ დასდგომოდა, ქირქილებდა ჩუმად, უხმოდ, რომ მერე, დრო რომ დაუდგებოდა, ერთბაშად ახარხარებულიყო, როგორც გამარჯვებული სარდალი ბრძოლის ველზე. აბა, რა მომაფიქრებდა, რომ იმ ატიალებულ, გადაბრუკულ, ნაომარ ბრძოლის ველად გადავიქცეოდი. ჯერ შიში, მიწაზე მხოხავ სველ ჭიაყელასავით ჩუმად და ნება-ნება მოიპარებოდა გულში. სიბნელეს ამოფარებული ქურდივით, რომ ვერა ხედავ. მაგრამ გრძნობ, როგორ გიახლოვდება: „ისეთი ღვინო ჰქონდა, იმ კაფელებს სუ აცაბაცა ვუკრავდი. თავისი ხელით დაწურული, ცივი“... „რა პურ-

მარილი იყო... სად ვიყავით, იცი? სამების მთაზე. ყოფილხარ იქა, გოგონი? უნდა წაგიყვანო“.

პირველად, მთვრალი რომ მოვიდა ჩვენსა, დედაჩემს ელდა ეცა. „არ დაგავიწყდეთ, ქალბატონო, მე თქვენი ქალიშვილი მიყვარს“. „უკეთესი იყო, არ დაგელიათ“. — მიახალა დედაჩემმა, წარბშეკრულმა, მტრულად. „ეგ სულ ერთია, გინდა დავლიო, გინდა არა, ხათუნა მაინც ჩემი ცოლი გახდება“. „არ არის სულ ერთი, — იკივლა დედაჩემმა, — როგორ არის სულ ერთი“. „სულ ერთია“... პაემანზე რომ მოვიდა მთვრალი, არც მაშინ გამხეთქია გული, „შენ არ იფიქრო... ტრაპი დავუყენე აი, იმას... რა ჰქვია... ქვევრი მოხადა. ფულს ხო არ გამოვართმევდი! პურ-მარილიც რო დამეწიხლა, არ გამოდიოდა ლამაზად. ჰოდა, დავთვერი. შენ არ იფიქრო“... და მერე და მერე, მთელ დაბას რომ მოედო კოტეს კაი ბიჭობის ამბავი, ვინც კი სახლს იშენებდა, ვისაც კი რემონტი ჰქონდა, ყველა კოტეს დაეძებდა, თავგზა დაკარგა. უფრო სწორად, კოტემ კი არა, მე დავკარგე თავგზა. რეტიანი ინდაურივით დავდიოდი, ფრთებჩამოყრილი და დაღუღული. რა არხეინად თვრებოდა და სულაც არა წუხდა ამის გამო. წუხდა კი არა, უმატებდა და უმატებდა. ობლის კვერი ცხვაო, ღიღინებდა, ვეღარ გამოცხვაო. არა, ლოთი არ იყო. თუ არავინ დაეძებდა, თუ მთელი საღამო ჩემს გვერდით იყო, არც აგონდებოდა ღვინო. აღარ დავლევო, იტყოდა ხოლმე. აღარც არავის გავყვებიო, მაგრამ მისდევდა. ვერავისაც ვერ ეუბნებოდა უარს. საცოდავი გულისააო, თათია ბრაზობდა, გაალოთებენ და ის იქნებაო: „ოჯახი უნდა ჰქონდეს. ოჯახი სულ სხვა რამეა. მაშინ ვეღარც ასე იოლად არბენინებენ აქეთ-იქით. ხათრიანია და სარგებლობენ. რაღას უყურებ? ხელი რომ ჰკრა, სულ დაიღუპება“...

ტახტიდან გადავიწიე და ნინიკოს საბანი გავუსწორე. ბალიშის გვერდით დიდი, ნახატებიანი წიგნი ედო. ასე იცოდა, უსათუოდ ლოგინში უნდა ჩაეყოლებინა რამე, — თვალგამოთხრილი და გაჩეჩილი

თოჯინა, კაბის მაგივრად წელზე ეპრელი ნაჭერი რომ ჰქონდა შემოხვეული („რატომ კაბა არ შეუკერეს, ტიტველა ხო გამიცივდება?"), რეზინის წითელკოპლებიანი ბურთი, ზანგი გოგო, რომელსაც ფეხები ერთმანეთზე ჰქონდა მიტყუპებული და ნინიკო წარამარა კითხულობდა, როგორ უნდა იაროსო? ლადიამ თავისი პატარაობისდროინდელი, თვალმომძვრალი ველოსიპედი რომ აუწყო, ღამისპერანგიანი იმასაც ლოგინისკენ მიათრევდა, ეძინებაო.

მშვიდად ეძინა, ვარდისფერი, ნაზი და უმწეო იწვა, ოქროსფერკულულებიანი, ზღაპრული ფერიასავით. ოტიამ რომ დარეკა და ყურმილს დავწვდი მაშინაც სულ ნინიკოს დავცქეროდი და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ეს ყველაფერი, რაც ხდებოდა, რაც უნდა მომხდარიყო, მე არ მეხებოდა. თითქოს ვუყურებდი ფილმს, ან ვკითხულობდი რომანს, რომლის მთავარი გმირი ქალის ცხოვრება უსიამოვნოდ მაღელვებდა. და ახლა, სულ რომ გადათენდა და წიგნის თაროზე კოტეს სახე კარგად გამოიკვეთა, ამ სიმყუდროვეში მისმა ხმამ ზარივით ჩამორეკა: „მივექანებით უფსკრულისაკენ, გოგონი... თავდავიწყებით მივექანებით"... ისე ხმამაღლა დაილაპარაკა, რომ ყურმილში მოზუზუნე ოტიას ხმა სულ მთლად დაჰფარა. ისევ ისე დამცინავად ჩამომცქეროდა წიგნის თაროდან და ეს გულისამრევი ირონია იყო სწორედ, რომ მაცოფებდა, ეს გულგრილი დაცინვა საკუთარი თავისადმი, ჩემდამი, მთელი ცხოვრებისადმი. ბოლო ხანებში, სანამ წავიდოდა, იმის წარმოდგენითღა ვტკბებოდი, როდის გამომელეოდა ძალა, რომ სახეზე აღარ დამეფინა ყალბი ღიმილი, ველოდებოდი, როდის მოვეშვებოდი თოკზე გადაფენილი სველი ჩვარივით, როცა ჩემთვის სულ ერთი გახდებოდა ყველაფერი, თუნდაც მთელი ცხოვრება თავდაყირა დამდგარიყო და რაკი თვითონ საამისო ძალა არა ჰყოფნიდა, მე ვუშველიდი. იმასაც ვუშველიდი და ჩემს თავსაც. ძალიან უბრალოდ და გულგრილად ავიღებდი დიდ, მძიმე ქვას, როგორსაც კი მოვერეოდი, ან ურიოს, ბაღჩის ბოლოში, ღობიდან დაძრობილ ნესტიან მარგილს და მთელი ძალით ჩავარტყამდი თავში, რომ ყველაფერი

დასრულებულიყო, წერტილი დასმულიყო, გათავებულიყო იმ მტანჯველი შიშის მოლოდინი, რაც კიბეზე მისი ფეხის ხმას მოჰქონდა: „მოდის“... ან ყურმილის მეორე ბოლოდან შხამიანი ისარივით გამოტყორცნილ: „მთვრალი ვარ, გოგონი“... იმის წარმოდგენითლა ვტკბებოდი, ქვას რომ ჩავარტყამდი, როგორ გადმოასხამდა სისხლი, თბილი და თეთრბუშტუკებიანი, ჩამოეკლაკნებოდა სახეზე, ყელზე, ჩაუვიდოდა მკერდში, ხელებიც სულ ყაყაჩოსფრად შეეღებებოდა, უცებ რომ წაივლებდა თავზე და უცებვე რომ ჩამოუცვივდებოდა ულონოდ. მერე დავჯდებოდი შემოდგომის ფოთლებში ჩაფლულ კუბოსთან და გულის გახეთქვამდე დავიტირებდი. გავიშლიდი თმას, სახეს ჩამოვიხოკდი და სამარეში, როცა ჩაასვენებდნენ, მეც თან ჩავყვებოდი, იმ ამოჩემებული ერთგულების ნიშნად, რომ სიყვარული მართლა არა კვდება ქვეყანაზე და ჩემს სიყვარულსაც ვერ მოვკლავდი კოტესავით.

ეს ხილვები მაშინ გამიჩნდა, როცა ლეომ რაღაცნაირი სასოწარკვეთილი ულმობლობით მითხრა: „დაღუპული კაცია. თუ არ იმკურნალა, გათავებულია მაგის საქმე. არ უნდა ჩამომეყვანა. კი, ბატონო, სასჯელის ღირსი არ იყო, უსამართლოდ მოხვდა. მაგრამ ტკივილს რომ ღვინო არჩენდეს, სულ ლოთები ვივლიდით ამ ქვეყანაზე“. დაწყვეტაზე ჰქონდა მაშინ ნერვები. მართლა თავდება-მეთქი ყველაფერი, ვფიქრობდი. ერთი სიტყვა იყო საკმარისი, ერთი შეხედვა, რომ ყვირილი აეტეხა: „დამანებეთ თავი! თავი დამანებეთ ყველამ! მე თვითონ მოვუვლი ჩემს თავს. მე თვითონ! ლოთი სჯობია მაგნაირ ფხიზელს! მუშებს ფულსა ჰპარავს, მკვდარი სულებით აავსო უწყისი. დადექი და უყურე! ერთი თქვენი“... და სიფხიზლეში რომ შევეკითხებოდი იმ მკვდარი სულებით გავსებულ უწყისებზე, მთვრალი კაცი რას არ იყბედებსო, იცინოდა. დედაჩემი კი: „რა მაგის საქმეა! სხვის საქმეში ცხვირს რასა სჩრის! თუ ვაჟკაცია, უკანონობას კანონით დაუხვდეს. რამდენი ცხოვრებაში უსამართლობა შეხვდება, იმდენი თუ დალია, თანაც გადაჰყვება. — და უცებ დაიწივლებდა: — ტყუილია! ტყუილი! ღობე-ყორეს ედება. მიზეზებს ეძებს. დასათრობ მიზეზებს. თავის

შართლება უნდა. უწყისებითა და მკვდარი სულებით უნდა ფონს გასვლა. აი, ეგრეა, მე თუ მკითხავ!“ „მთავარია შენ არ დალიო, შენ არ გალოთდე, — ეუბნებოდა თათია, — ყველაფერი კარგად იქნება. აი, ნახავ, რა კარგად იქნება“. „კი. კი. აღარ უნდა დავლიო. აღარ“... თითქოს ცდილობდა კიდეც რაღაცას, წრიალებდა, იბრძოდა თითქოს, მაგრამ ვერ იმეტებდა თავის თავს ხანგრძლივი, სასტიკი ომისათვის, ვერ იბრუნებდა რწმენას, რომ ამ ომში გამარჯვებული თვითონ დარჩებოდა და რაკი ცხოვრებასთან გაბუტვა უფრო ადვილი იყო, ვიდრე ამ ომში ჩაბმა, ისევა სვამდა.

„მივექანებით უფსკრულისაკენ“... ვის დასცინოდა! მე, თავის თავს, სიყვარულს, ჯერაც მუცელში მფეთქავ შვილს, ჯერ ცხოვრებისათვის რომ არც შეეხედა და უკვე ემუქრებოდა ცხოვრება. როგორ დალაგებულადა ლაპარაკობდა მაინც. არც ბარბაცებდა, არც ხმა ეცვლებოდა, არც ფეხი ერეოდა, მარტო თვალები უხდებოდა ცივი და უცხო, ამღვრეული რუსფერი და კუშტი, ულმობელი მზერით ეწადა ჩემი გადათელვა: „მოგკლავ“... თითქოს მე ვიყავი დამნაშავე, რომ დათვრა, ადგილს რომ ვერ პოულობდა, ცხოვრებისაგან რომ ირიყებოდა, უმიზნოდ რომ დაბორიალობდა და არ იცოდა, რას წამოსდებიყო, რაზე გადმოენთხია ის თავისი გაბოროტება და ბოღმა.

„ლოთი დავიბადე. რძით კი არა, ღვინითა მზრდიდნენ. რას იკუნტები? ველარ უნდა შეეგუო იმ აზრს, რომ ლოთი ქმარი გყავს! სულ ლოთი ვიქნები. წადი, შენი“... მთის შმაგი, თამამი მდინარეც ხომ ასე თავდავიწყებით მიექანება სადღაც, გზადაგზა არც კი იცის, საით. არც კი გაუაზრებია, რა იქნება იქ, ბოლოში, როცა ეს თავაწყვეტილი რბოლა შეწყდება. ხომ უნდა შეწყდეს, ბოლოს და ბოლოს. ჯერ კი, გზაში, მოსწონს ეს თავდავიწყება, თამაშ-თამაშით მიაფრიალებს გაფოფრილ ტალღებს. თითქოს ერთი სული ჰქონდეს, სანამ ზღვას შეერთვის, ან ტბას და დაიკარგება, აირევა, გაწყალდება იმ მრუმე მდორეში. ვითომ არცა ყოფილა, ჩუმად, უხმოდ გარდაიცვლება. და კოტეც იკარგებოდა თითქოს, თავის თავში ინთქმებოდა, იძირებოდა, წყალდებოდა და ის კმაყოფილი, ნეტარი იერი, სახეზე რომ ედო, თავზარ-

სა მცემდა. და ის მაშინვე იჭერდა ამ წამს. არ გამოეპარებოდა, როდის ამალიცლიცებდა სიშმაგე პირთამდე, როდის დამთრგუნავდა ჩემი უმწეობა და სულ ერთია, როგორც არ უნდა გავძალიანებოდი, როგორც არ უნდა გავქვავებულიყავი, უნდა მეყვირა მაინც. ამდენი ხნის მოთმინება და სიჩუმე ვეღარ ეტეოდა გაწყალებულ, გასავათებულ გულში. გაოცებული ვუყურებდი ხოლმე, როგორ აწყნარებდა ჩემი გააფთრება, გულზე მალამოსავით ედებოდა ჩემი ცრემლები, ჩემი ყვირილი შვებასა ჰგვრიდა და მშვიდდებოდა. ისეთი ხდებოდა, როგორიც ფხიზელი იყო, ალერსიანი, წყნარი და კეთილი. ახლა ჩემი გაღიზიანება კი არა, მოფერება უნდოდა. ვეცოდებოდი: „მაპატიე, გოგონი. მაპატიე, გენაცვალე. აღარ დავლევ. აი, ნახავ. ნახავ“. მიკოცნიდა თმას, ყელს, მკლავებს, ალერსით, სინაზით, სიყვარულითა თრთოდა: „ხვალიდან სხვა კაცი ვიქნები. შენი სიყვარულის ღირსი როა, ისეთი კაცი“.

და თან ხომ გამუდმებითა ვგრძნობდი დედაჩემის გაფაციცებულ მზერას მეორე ოთახის კარის ჭუჭრუტანიდან. ყოველთვის მესმოდა, გასაღებს როგორ გამოაძრობდა ხოლმე კლიტედან, ფრთხილად და ნელა, მოფერებით. მაინც მესმოდა. იმიტომ, რომ მეცა ვყარაულობდი, ველოდებოდი, ყური მქონდა დაცქვეტილი, რომ არ გამომპარვიყო ის წკრიალი, ის ერთი ბეწო ჩქამი, ვგრძნობდი, შიშით ატანილი როგორა თრთოდა კარს იქით. ის თრთოლვა კანკალში გადასდიოდა. შეგუბებული, შეკავებული სუნთქვა როგორ უღლიდა გულს და საცაა დაიკივლებდა: „წნევამ ამიწია“... ეს შეკივლება ყოველთვის იმ წამს ემთხვეოდა, როცა კოტე, გონებაარეული, ავდრებზე მოდიდებული გაგიჟებული მდინარესავით აქოჩრილი, თავაწყვეტილი, ვაზას იატაკზე დაანარცხებდა, ან კბილების კრაჭუნით ჩემსკენ წამოვიდოდა. უცხო, ამღვრეული რუსფერი თვალებით ჩემი ყელის მეტს რომ ვეღარაფერს ხედავდა, თითები წინასწარვე რომ ეკრუნჩხებოდა სიამითა და შმაგი ნეტარებით. წინასწარვე, სანამ ყელზე წამავლებდა. „წნევამ ამიწია“... მართლა ფხიზლდებოდა და ერთბაშად მომჩვარული, დარცხვენილი ლუღლუღებდა: „წნევამ არა... ერთი, მაგის“... და

თან ტელეფონის აპარატისაკენ იხევდა. ყურმილს აცახცახებული ხელით ვართმევდი, რომ იქ, საავადმყოფოში, არავის გაეგო, მთვრალი რომ იყო. ჯერაც შიშითა და სიმწრით მიკაწკაწებდა კბილები, ხილაბანდს ყინულიან წყალში ვასველებდი, კორვალოლის წვეთებს ვითვლიდი და გულდალეული ველოდებოდი სასწრაფო დახმარების მანქანას. „მაგნეზია გამიკეთეთ. ვკვდები". კოტე შუა ოთახის კარში იდგა და შპრიცის დანახვაზე იქყანებოდა. თითქოს სხვა არც არაფერი ადარდებდა, მამა აბრამის ბატკანივით უცოდველი უხდებოდა თვალები. „გავიდეს. თავის ოთახში მაინც გავიდეს. თავსა გვჭრის"... კვნესოდა დედაჩემი და როგორი თვალებით შემომყურებდა! თითქოს ისიც მე მადანაშაულებდა, კოტე რომ დათვრა, თვითონ წამში ას ოცჯერ რომ უცემდა მაჯა და წნევა ორასზე მეტს უჩვენებდა. მე ხმა არ უნდა ამომეღო. ხატს შეწირული ზვარაკივით ჩუმად და მორჩილად უნდა მოვმსახურებოდი ორივეს, სახეზე ღიმილდაფენილი და არც ერთმა არ იცოდა, რად მიღირდა, რად მიჯდებოდა ეს შხამიანივით მწარე გაღიმება. უნდა გამეღიმა კოტესათვის, რადგან ეს ღიმილი უნდა ქცეულიყო ძალად, რომელიც მის ამბოხს დათრგუნავდა, გონზე მოიყვანდა, სულ ერთი ბეწოთი მაინც გამოაფხიზლებდა. აფიერებინებდა, რომ არაფერი დააშავა, არ ვუბრაზდები და გაყუჩდებოდა. ამ ღიმილს უნდა აეძულებინა, არ ებორიალა ოთახიდან ოთახში, მაგიდა არ გადაეყირავებინა, შარი არ მოედო: „რა იქნა ახალი ჟურნალი? გადააგდე, არა, შენი"... დედაჩემი კი ამ ღიმილს ცოტათი, სულ ცოტათი მაინც უნდა დაეჯერებინა, რომ არაფრადაც არ მიღირდა ეს აყალმაყალი, მთვრალი კაცის ახირება, რომ ჩემთვის სულ ერთი იყო, დაიძინებდა კოტე, თუ, აივანზე გადამდგარი, ნახევრად ტიტველი, არხეინად, ბოყინით გადასძახებდა ვინმეს, გზაზე ამვლელ-ჩამვლელს, სულ ერთია, ვინც იქნებოდა: „მთვრალი კაცი, კაი კაცი. მე და შენ ხო ძმები ვართ, უშანგი, გენაცვალოს შენი კოტე. ხო არავინ გაწყენინა, გინდა, ძვალი და რბილი გავუერთიანოთ... რეზო, ძმაკაც, მე და შენ რო ეხლა თითო ჭიქით არ დავილოცოთ"... უნდა დაეჯერებინა, რომ თვითონაც მოედუნებინა ყურადღება, დაძაბულსა და ანერვიულებულს,

ჩანმაბზე შეყენებული თოფივით მომართულს აღარ ელოდინა მთვრალი სიძისათვის. ვიღიმებოდი და ყველაფერს ვაკეთებდი სწორად და ზუსტად, როგორც კარგად მომართული რობოტი, ოღონდ არ ვიცოდი, რამდენი ხნით მომმართეს, როდის გავჩერდებოდი და დავიწყებდი ხრიალს, როგორც ყელგამოღადრული, თვალებამოთეთრებული ცხვარი. ორივე გამომრიცხავდა თავისი გონებიდან, დედაც და ქმარიც. ორივეს საკუთარი საზრუნავი ჰყოფნიდა...

— ხათუნა... — ხმაათრთოლებული მეუბნებოდა ოტია, — ხათუნა... მე მარტო იმისათვის ვიცოცხლებ, რომ შენ ბედნიერი იყო. შენ ძალიან ბედნიერი იქნები.

— ვიცი.

— შენ გაგეცალე. შენი გულისათვის გადავიკარგე რუსეთში, მაგრამ ვერ მოვისვენე. მაინც აქეთ მეწეოდა რაღაც. რაღაც კი არა, პატარა, წვრილკანჭება, გაჩხიკული გოგო, კაკლის ხის ქვეშ რომ იდგა ლენჯოთი მოთხუპნული თითებით, მოკლე კაბას ქარი უფრიალებდა და ქვეშ-ქვეშ გამომყურებდა ეშმაკურად. იმ დღიდან ცხოვრობს ის გოგო ჩემს გულში. უჰ, რამდენი წელია, შიგ გულში სახლობს. ჩვენ უბრალოდ, მაშინვე ავცდით ერთმანეთს, როგორც კი შეეხვდით და ორივენი დავიტანჯეთ. მე არ მინდა გიყიდო, ხათუ, ვიცი, რომ სიყვარული არ იყიდება, მაგრამ მჯერა, რომ შემიყვარებ, არ შეიძლება, ჩემი სიყვარული არ შეიყვარო. რამდენ ხანს გელოდი... არც კი მჯერა, რომ ამაღამ ახალი წლის სადღეგრძელოს ერთად დავლევთ.

— ბილეთები? — რაღაცას ვეჭიდებოდი, რაღაცას, სულ უიმედოსა და უმნიშვნელოს, ცოტას რომ მაინც შეაჩერებდა დროს, სულ ცოტათი მაინც რომ დაამუხრუჭებდა.

— დღეიდან ყოველგვარ საზრუნავს თავიდან გაცილებ, გენაცვალე. დღეიდან ახალი ცხოვრება იწყება.

ბედის დაცინვასავით იყო. ოტიაც ახალი ცხოვრების დაწყებას მპირდებოდა, კოტესავით. დედაჩემიც სულ იმას მიკიჟინებდა, ახალი

ცხოვრება დაიწყო, თითქო იმ ძველს აიღებდი და დაასამარებდი, მუხის კუბოში ჩასვენებულს ჩაფლავდი ნოტიო მიწაში. „აბორტი გაიკეთე, სანამ გვიან არ არის, — შემპარავი, ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული, ბრძანებადნაქცევი ხმით მეჩურჩულებოდა დედაჩემი, წინასწარვე მახვედრებდა, რომ თუ არ დავემორჩილებოდი, საცაა დაიკივლებდა: „წნევამ ამიწია“... მართლა აუწევდა და მერე კმაყოფილი დამიწყებდა თვალთვალს, კორვალოლის ბოთლს აკანკალებული რომ ვეცემოდი, — თავი ხო დაიღუპე შენი სიკერპით, ახლა ბავშვის ცოდოში არ ჩადგე. ზედმეტი ტვირთი უნდა ათრიო. რა იცი, როგორი დაიბადება ლოთის შვილი. ყველაფერს ზურგი აქციე. ახალი ცხოვრება დაიწყე“. როგორ შეიძლებოდა სრულყოფილი არ დაბადებულიყო ჩემი ნაოცნებარი, ნალოლიავები გოგო. და მაშინ ხომ არა სვამდა კოტე. მაშინ თაფლობის თვეები გვქონდა, როცა ვიგრძენი, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. დავეხეტებოდით გაღმა, ტყეში, ვისხედით ფუღურო, ხავსმოდებულ, დამპალ ბალახებში გადაქცეულ ხეზე, გადაფითრებული სოკოები მეჭეჭებივით რომ წამოზრდილიყო, ერთმანეთს მიხუტებულები, ერთმანეთის სუნთქვით გამთბარნი და ფოთოლცვენას ვუყურებდით. ოქტომბრის ქარი თავსა და მხრებზე ყვითელ, აფარფატებულ ფოთლებს გვაყრიდა. ნეშომპალას სუნი გვაბრუებდა, კოჭამდე ვეფლობოდით გრილ, სქელ ფოთლებში და მათი შარიშური გულს გვიძგერებდა. ყელზე თრიმლის ფოთლების აცმულა მეკეთა, მძივივით, სიცოცხლის უკანასკნელი აფეთქება. თავზე მუხის კბილანა ფოთლების გვირგვინი მედგა, ამ ტყის დედოფალივით. ახლა ქამარს მიწნავდა კოტე, ნოტიო ფოთლებს არჩევდა, გუშინ, გუშინწინ ჩამოყრილებს, რომ ხელში არ ჩაჰფშვნიყო და უკვე შიშველი, შავი ტოტების ქვეშიდან ღრუბლის ქულები საჩეჩელზე წაცმულ მატყლის ფთილებს ჰგავდნენ. შურით ჩამოგვცქეროდნენ დაუკრეფავი, ნაყოფშემჭკნარი შვინდები, მუცლებდაბერილი, გადამწიფებული ასკილები და დროდადრო, როცა ნიავი ჰაერში ფოთლებს ააფრიალებდა, ტოტებიდან ახლადგადაღებული წვიმის წვეთები გვაცვიოდა ნაზ, მომწვანო

ზურმუხტებივით. „რა საოცრებაა, რომ მიყვარხარ, გოგონი. ასე რომ მიყვარხარ“. როგორ უკვირდა და როგორ ვუყვარდი მართლა, არაფერი აღარ ახსოვდა ამქვეყნად, იმ თავისი სიყვარულის მეტი. ჩემთან ერთად მთელს ქვეყანას იხუტებდა გულში და აღარც როდესმე მინახავს ისეთი მშვიდი და ბედნიერი. „მე ახლა ჩამოსიებული ქუთუთოებით უნდა მევლო. დაშლილი ღვიძლისაგან ამოყვითლებული თვალებით და რა იცი, შეიძლება სწორედ ამ ტყეში მომღებოდა ბოლო, სწორედ ამ კუნძზე. ახლა კი ვზივარ და არ ვიცი, როგორ მოვერიო ამოდენა ბედნიერებას, როგორ გავუძლო. რა საოცრებაა ასეთი სიყვარული, შენ არ იცი“...

ვიცოდი. როცა ნაცრისფერ კოსტუმსა და წითელ ჰალსტუხში გამოწყობილი ოტია, როგორც ნამდვილი სასიძო, უნაკლო და ნანატრი, დედაჩემთან საათობით იჯდა და ვითომ ინტერესით ელაპარაკებოდა კულინარული ხელოვნების რეცეპტებზე და, თეთრი ბატისტის კაბის გადასაცმელად ჩემს ოთახში გასულს, მოთმინებით მელოდებოდა, მე უკანა კარიდან ვიპარებოდი და კოტესთან გავრბოდი პაემანზე. თან არც კი ვიცოდი, მოვიდოდა იმ პაემანზე, თუ არა. გავახსენდებოდი ლოთ მალხაზასთან სახინკლეში მჯდარს, ან ჭაბუას გრილ მარანში ტაბლასთან მოლხენილს, თუ არა. როგორ ნელ-ნელა, როგორ შეუმჩნევლად გადაეჩვია სმას. წისქვილს რომ წყალი გადაუგდო, ისე შეიცვალა კაცი, თათია ამბობდა, ხომ მაშინვე გეუბნებოდი, ხომ გეუბნებოდიო. ცოლად რომ გავყევი, დაწმენდილი და მშვიდი სახე ჰქონდა. მაინც რამოდენასა ვლოთობდიო, თვითონვე უკვირდა. „ღმერთმა ჰქნას, ღმერთმა ჰქნას, ფუი ეშმაკს“. სათვალის ზემოდან გადმოჰყურებდა დედაჩემი. „რა? — ხმა უკანკალებდა კოტეს, — რა?“ „არაფერი. არაფერი. შიშით ხმა ვერ ამომიღია. მაშინვე ყელში მწვდებით“. საკანში გამომწყვდეულ პატიმარსა ჰგავდა, ობობას ქსელში გაბმულ კრაზანას. თავისი პატარა ქოხი უნდოდა, თავისი მყუდრო ნავსაყუდელი. „ბინას რომ მივიღებთ“... როგორ ელოდებოდა იმ ბინის მიღებას. უკვე შპალერსაც ვარჩევდით მაღაზიაში და რომ არ მოგვცეს ის ბინა, იმაზე კი არ მისკდებოდა გული, ვაიმე, უბინაოდ დავრჩით-მეთქი,

უფრო უარესს ველოდებოდი, უფრო გულისგასახეთქს და ბინების განაწილების კომისიის თავმჯდომარე რომ მელაპარაკებოდა ღიმილით, დასამშვიდებლად, მომავლისთვის ისევ ლოდინის იმედს რომ მიტოვებდა, მე ვიღაც ჩამომკიოდა ყურთან: „დალევს... ვაიმე, დალევს“... მთელი დღე არ გამოჩენილა. მრცხვენოდა, სასადილოსაკენ რომ ჩამეკვლო, ან რესტორნისაკენ. დაბის ქუჩებში რომ მეძებნა დაკარგული ბატკანივით. არა და, ლოდინი მკლავდა, ბოლოს მიღებდა მოლოდინი, შეაღამემდე ვალერიანის აბებს ვწუწნიდი და ჭიშკარი რომ შემოაღო, უკვე ვიცოდი, გატრეტილი მთვრალი რომ იყო. ჭიშკრის მიხურვის ხმაზევე ვიცოდი, კიბეზე ამომავალ ფეხის ხმაზე, დედაჩემი თავის ოთახში შეიმალა. საწოლზე ვიჯექი ღამისპერანგიანი, გაწეწილი, შეშლილი თვალებით და ჭუკულაანთ გიგლას დავნატროდი, რა ბედნიერია, რომ ავარიაში მოკვდა და მოისვენა-მეთქი. არავის არ ვჭირდები, ყველას ფეხებზე ვკიდივარო, ყვიროდა, იგინებოდა, ვიღაცას ემუქრებოდა, სადღაც გარბოდა და რომ ვიჭერდი, რომ ვეხვეწებოდი და ვუყვავებდი, უფრო გიჟდებოდა. ცოფიანი ძაღლივით აღრჭიალებდა კბილებს და იქით დედაჩემი წიოდა: „წნევამ ამიწია“...

დილით კი, დილით, რომ დაევიწყებინა წუხანდელი ღამე, ხალისიანად იპარსავდა წვერს, ლექსს ბუტბუტებდა, ლოცვასავით, ალერსით გამომყურებდა სარკიდან და რაღაცნაირი ნიშნის მოგებით ღიღინებდა: „ობლის კვერი ცხვაო“... თან მამშვიდებდა: „ველაპარაკე... თავმჯდომარეს. ოცდაოთხბინიანში უსიკვდილოდ მოგცემთო. ისიც მალე იქნებაო. ცოტაც უნდა მოითმინოთ, თქვენზე გაჭირვებულებიც ხომ იყვნენ, სულ ცის ქვეშ დარჩენილებიო“... ვიცოდი. რომ ის პირველი შემობრუნება იყო ძნელი, წარსულისაკენ შემობრუნება, თორემ მერე გაუიოლდებოდა და ეგრეც მოხდა. გაობა და გაობა. თავს იტყუებდა და უკვირდა, მე რომ არა ვტყუვდებოდი. „ბინას მოგვცემენ... ახალ ცხოვრებას“... თითქოს რომ მოეცათ კიდეც, რამე შეიცვლებოდა. თითქოს იმიტომ ლოთობდა, უბინაოები რომ ვიყავით. ავდექი და ეს ოთახი დავიქირავე, მკერავი ტასიკოსი. მინდოდა მოულოდნელად გამეხარებინა ასე უცაბედად გამოვარდნილი თავისი პა-

ტარა ბუდით. ქირით კი არა, ჯოჯოხეთშიაც ვიცხოვრებდი, ოღონდ აღარ დამენახა ის ამღვრეული რუსფერი თვალები, აღარ მელოდნა შეა ოთახის კარის საკეტიდან გასაღების გაწოძრობის ჩქამისათვის, არაბუნებრივად დამფრთხალი, წივანა ხმისათვის: „წნევამ ამიწია“. კიბეზე ამომავალი არეული ნაბიჯებისათვის. თითქოს სცენაზე გამუდმებით ვთამაშობდი ძალიან დაძაბულ, რთულ და უსიამო როლს და დაეღალე. დავბერდი. აღარ ვვარგოდი ამ როლისათვის. უფრო და უფრო უნიჭო ვხდებოდი. „მოგკლავს, — ეოსთქვამდა. დედაჩემი, — დაითრობა და ყელს ვამოგჭრის, ხბოსავით. გიჟიც გიჟია და ეგეც გიჟი ხდება სიმთვრალეში. სად მისდევ! აქ ჩემი რიდი და შიში მაინცა აქვს. იქ ვინ იქნება შენი პატრონი? ერთი აყალმაყალი და, გარეთ გამოგიძახებთ მკერავი ტასიკო. ბინა უშველის?“ დედაჩემი მართალი იყო, ამ პატარა ბუდემაც ვერ გვიშველა და რომ მოკვდა, წნევამ მართლა რომ დაარტყა, ტვინში სისხლი ჩაექცა და მოკვდა, კოტეს მკერდში თავჩარგული ვქვითინებდი და სულ იმას ვიმეორებდი, მართალი იყო. მართალი იყო დედაჩემი-მეთქი და ლადიამაც. ჩემმა ძმამ, იმ ცინგლიანმა, სამხედროდან ახლად ჩამოსულმა, ეგ მითხრა, — შენმა დარდმა ვადაიყოლა დედაო...

ნინიკო შეიშმუშნა. მაგრამ არ გაუღვიძია. სულ მეშინოდა, რომ ძილი აკლდა. უთენია მივარბენინებდი საბავშვო ბაღში და დილით, ჩემი ძახილი რომ არ გაეგონა, პირქვე ჩაწვებოდა ხოლმე. ბალიშში თავწამხობილი. ჩურჩულით ველაპარაკებოდი ოტიას. ჯერ ადრე იყო, ცოტაც ეძინოს-მეთქი. ახლადდაბადებულმაც მფრთხალი ძილი იცოდა. ბარულაში გამოკრული ჩხავილს რომ გააბამდა, სულ მეგონა, თავის უმამობას დასტიროდა, თავის ობლობას. მაშინვე ავიტაცებდი ხოლმე და გულთან მიხუტებულს ვარწევდი. იმიტომაც ველარ იძინებდა უჩემოდ. ჩაძინებულიც კი, უკვე ღრმა ძილში წასული, მოძვრებოდა ჩემი ლოგინისაკენ. შუალამისას, გვერდ-გვერდ იწევდა, მოჩოჩავდა, რომ ჩემი სხეული ეგრძნო, მომკრობოდა. პაწაწინა, ფუნთულა, თბილ ხელს

საბნის ქვემოდან გამოჰყოფდა და ლოყაზე მომადებდა, ან მკერდზე და მშვიდად გააბამდა ფშვინვას, ან, თუ გამოფხიზლდებოდა, ძილ-ღვიძილში ამოიბურტყუნებდა რაღაცით ნაწყენი, თუ გაბუტული: „ეკა თავისმა მამამ წაიყვანა საბავშვო ბაღიდან. გზაზე დამალობანას თამაშობდნენ". ამას რომ მეუბნებოდა, მეჩვენებოდა, რომ რაღაცნაირი დაჟინებული მზერით მაცქერდებოდა, რაღაცით დაეჭვებული. ალბათ მატყობდა, როგორ მინაღვლიანდებოდა ხოლმე სახე და თვითონვე მამშვიდებდა: „მამიკო რო მოვა, დამალობანას ვითამაშებთ"...

აწივლებული, აგუგუნებული ყურებით ოტიას ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს ვიჭერდი:

— შენი საუკეთესო წლები... უაზრო მოლოდინით... უდედმამო ბავშვთა სახლში მშვენივრად...

და ყური მივუგდე ოტიას:

— ვიცი, რომ ძნელია შენთვის შვილის მიტოვება, მაგრამ სამუდამოდ ხომ არ ვტოვებთ ნინიკოს. როცა თეთრ კაბას ჩაიცვამ, საპატარძლო კაბას, ჩემთვის ისეთი წმინდა და უმანკო იქნები, არ მინდა ნინიკოს სიახლოვემ გამახსენოს შენი წარსული. მთელი არსებით ჩემთან უნდა იყო. მთელი შენი ყურადღება მე უნდა მეკუთვნოდეს. მე იმდენ ხანს ველოდი ამ დღეს, უფლება მაქვს ჩემი ბედნიერებით ისე დავტკბე, რომ არავინ მყავდეს მოცილე.

— ავად რომ გახდეს? — ჩამწყდარი, უნიათო ხმითა ვკითხე, თითქოს არც მაინტერესებდა, ისე.

— ექიმი ჰყავთ, ექთნები. გარწმუნებ, მშვენივრად მიხედავენ. მერე კი, ვნახოთ.

მერე სხვა შვილიც მეყოლება-მეთქი, ოტიას შვილი, გულში ვფიქრობდი, ნინიკოს კი გერი დაერქმევა-მეთქი. ძალიანაც რომ შეიყვაროს ოტიამ, სულ ძალიანაც, მაინც რაღაცით დაჩაგრული გერი იქნება-მეთქი.

— მერე ყველანი ერთად ვიქნებით. ნინიკოც და ჩვენი სხვა შვილებიც.

— აბა, რა, ყველანი ერთად ვიქნებით მერე.

— ხათუნა, ხათუ, რაზე ფიქრობ ახლა, ამ წუთში?

— არ ვიცი. დალაგებულად არაფერზე. თუ გინდა, ხმამაღლა ვიფიქრებ.

— იფიქრე. მე ჩუმად ვიქნები და ყურს დაგიგდებ.

— ... აბა, როდემდე ვიხეტიალო ამქვეყნად ასე ეულად? ცხოვრება ამოსუნთქვასავით სწრაფად მადნება ხელში. თვალსა და ხელს შუა ილევიან წლები. წლები, რომლებიც ტოვებენ ულმობელ კვალს: ჭაღარას, ნაოჭებს შუბლზე, ახალგაზრდობა კი აღარ დაბრუნდება. უნდა ვისწავლო, ცხოვრებას წავართვა ყველაფერი. რისი მიღებაც მისგან ვერ მოვასწარი. პატარა რამის საყიდლად აღარ დამჭირდება ხელფასიდან ხელფასამდე ლოდინი. თუ მინდა, ვიყიდი მელიის ქურქს, მინდა, ვარდისფერკაბიან დიდ თოჯინას, ნინიკოს რომ ვერ ვუყიდე და მაღაზიაში აღარ შემყავდა, არ დაინახოს და გული არ დასწყდესმეთქი. რიგაში მოვინდომებ წასვლას? ტაშკენტში? თუ, საზღვარგარეთ? კი, ბატონო, მიბრძანდი. იქიდან მოსკოვში გამოიცვლი და ერთ თვეს დარჩები? კეთილი და პატიოსანი. რა დიდი ამბავია? თუ გიბდა, ციმბირშიაც წადი და ჩუკოტკის ნახევარკუნძულზეც, ხომ გბიბლავდა თეთრი ეგზოტიკა. მეთევზის იარანგში იცხოვრე და ძაღლებშებმული მარხილით ადი მთებში ირმის ჯოგის სანახავად. მე შენ გეტყვი, ვინმეს დარდი შეგაწუხებს, ან შვილის უნახობა მოგკლავს. თათია იტალიაშიც იყო ტურისტული საგზურით და მე ამ ქეციან დაბას ვერ გავცდი. კოტეს ხელში ვაგროვებდი კინოს ბილეთის საყიდლად ხურდებს, თორემ ოტიასთან რა გამიჭირდება. ოტია თავის დღეში არ გაივლის ქუჩაში ბარბაცით...

უცბად დავიწყე ლაპარაკი, სხაპა-სხუპით, თითქოს გაზეპირებულ ლექსსა ვკითხულობდი და უცბადვე შევწყვიტე. ორივენი ჩუმად ვიყავით და მე ნინიკოს კრუსუნი მესმოდა. კატის კნუტივით კრუტუნებდა ხოლმე ძილში და სულ მეგონა, რომ ლეკვი მყავდა, ერთი ციცქნა, ენით ასალოკი ლეკვი. ოტიამ მითხრა:

— ნურაფერზე ნუღარ იფიქრებ, ხათუ. მე გთხოვ. რა საჭიროა ფიქრი და კვნესა, როცა ყველაფერი გადაწყვეტილია. განგებამ შენი

თავი ვე მაჩუქა და ახლა მე ვიქნები შენი პატრონი. მე ვიფიქრებ ყველაფერზე. ფიქრს რომ აჰყვე, შეიძლება გაგიჟდე. როცა წარმოვიდგენდი, როგორ გეხვეოდა ქმარი შიშველ მხრებზე და ვნებით გიკოცნიდა მკერდს, როგორ იწექი მის მკლავზე თავგადაგდებული, ვგიჟდებოდი. ვეგმებს ვაწყობდი, როგორ დაეხრჩო კოტე. რამდენჯერ ავდევნებივარ მთვრალს, ღიღინ-ღიღინით შენსკენ მომავალს. მწუხარებისათვის ვერ გიმეტებდი და ვიყავი ასე, ბადეს ამოყოლილი თევზივით უხმოდ, პირდაღებული. ხომ მოვერიე თავს, ხომ გავიმარჯვე! შენც უნდა...

— გაჩუმდი. გაჩუმდი. — შეეჯავშნა ოტიას, რადგან გულში იმას ეფიქრობდი, რაც ახლა ჩემში ხდება. კოტე ამას დაარქმევდა სულის კვილს, ან სულის ჭიდილს, ან მოუძებნიდა სხვა შესატყვისს და დაწერდა ლექსს, ძალიან სევდიანსა და ლამაზსა-მეთქი. კოტეს ფუჭი, აუხდენელი ოცნებები ჰქონდა. ცხოვრება მისთვის გაჭენებულ ცხენზე იჯდა და გაშმაგებით მიჰქროდა სულ სხვა მხარეს, მოხდომებით უვლიდა გვერდს, ერთი ბეწოთიც არ უახლოვდებოდა, რომ იმედი ვასჩენოდა, დავეწევიო. დოღზე შემთხვევით მოხვედრილი მაყურებელივით შორიდან უთვალთვალებდა, რას აკეთებდნენ ისინი, სხვები, იჯარჯვებდნენ, თუ მარცხდებოდნენ. ღვინითა და ლექსებით ცხოვრობდა და ცხოვრება ნაფოტივით ატივტივებდა თავის ყალყზე შემდგარ ტალღებზე, ოტია კი ცხოვრებას ათამაშებდა როგორც უნდოდა, ბურთივით. და სულ ერთიანად ავირიე, რაკი მივხვდი, რომ ერთმანეთს ვადარებდი კოტესა და ოტიას. მთელი ჩემი საღი გონებით ოტიას მხარეზე ვიყავი და ვერ გამეგო, რაღა მეკაჩებოდა მაინც უკან, რა მეღობებოდა ფეხქვეშ ძნელად გადასალახი ბარიერივით, რომ სულ ახლოს მივსულიყავი. ყურმილით ხელში ვიყურებოდი სარკეში. მიმტკნარებული, გაცრეცილი, უპეებამოშავებული სახე შემომცქეროდა „გოგონი“... უკვე დასრულებული ქალი ვიყავი. შუბლთან ერთი ღერი თეთრი თმა დამნაშავესავით გადაფითრებულიყო, — ნაადრევი სიბერის ნიშანი. არ გამკვირვებია. ცხოვრებამ მეტეორივით ჩაგიქროლა სადღაც, გვერდზე-მეთქი, სარკეში არეკლილ სახეს ვუთხარი. ზედაც არ შემოგხედა, ერთხელაც არ გაგიღიმა თბილად,

მარტო უხვად შემოგაყარა ცრემლი, სიმარტოვე, გაჭირვება, ტკივილი და გაჭრა-მეთქი. უცებ ოტიას მიმართ სინაზითა და სიბრალულით განვიმსჭვალე. როგორ ერთგულად მელოდა მთელი ეს წლები, როგორ ჯიუტად, რომ ოდესმე გაეგო ერთადერთი სიტყვა „ჰო“. როდესმე აუცილებლად უნდა გაეგო ეს ერთი სიტყვა და კაცმა რომ თქვას, ვერ მივმხვდარიყავი, რატომ ერთხელაც არ გამკარებია გულთან, რატომ რჩებოდა ყოველთვის განზე, მაშინაც კი, სანამ კოტეს ცოლად გავყვებოდი, ჩემი ცნობიერებიდან ამოვარდნილი, სრულიად უმნიშვნელოდ, უყურადღებოდ მიტოვებული. როგორც ის შემოდგომის ღოთლები, მე და კოტეს რომ გვაცვიოდა ტყეში. და გუშინ, ახალი წლის წინა დღეს, ის ოცდაოთხბინიანიც რომ გაანაწილეს და მე ისევ უბინაოდ დავრჩი, ეს ერთი სიხარულის მოლოდინიც რომ დამთავრდა, ამდენი წლის სიხარულის მოლოდინიც რომ მოკვდა, ოტიამ, ჩემი უსუსურობით კმაყოფილმა, მშვიდმა, თავდაჯერებულმა, მითხრა: „ბინაც გვექნება და ყველაფერი, ვესმის, ხათუნა? ყველაფერი გვექნება. ძალიანაც კარგი, რომ არ მოგცეს“. მობუზული, აცახცახებული, ძველ, მოკლე, გაქუცულ ბეწვის ქურქში გახვეული მივრბოდი თოვლში. ერთი ცრემლი გადმომაგდებინა-მეთქი, ვნატრობდი, ერთი გემრიელად ამაღრიალა და მაშინვე მომეშვება გულიდან-მეთქი. მაგრამ რალაცნაირი გაუცხოვებული, მიკნავლებული ხმა ამომდიოდა გამომშრალი ყელიდან, სრულებით რომ არა ჰგავდა ტირილს, ისეთი. ხესავით ვიყავი, ქვასა და ხესავით. მივრბოდი და თხელძირიან, დაბალყელიან ჩექმაში სველი და ცივი თოვლი მეყრებოდა. სად გავრბივარ, როდემდე ვირბენ-მეთქი? ვიღაცას შევწიოდი გულში, სად დავემალები ამ ოხერ ცხოვრებას, ფეხდაფეხ რომ მომდევს-მეთქი და ოტიამ რომ დარეკა, ვუთხარი: „ჰო“. „ხათუნა... ხათუ... ერთი დღეღა გასძელი, ერთი დღეღა“... და მაინც მინდოდა, არ ელაპარაკა ოტიას, ჩუმად ყოფილიყო, არაფერს შემპირებოდა, არაფერი დაემტკიცებინა, არ დავემშვიდებინე. ხვდებოდა, რომ ეს ერთი სიტყვა სამაგიერო იყო მთელი განვლილი ტანჯვისათვის, იცოდა, რომ ძალა აღარ შემწევდა, ისევ მარტოს მეთრია მძიმე ჭაპანი, ცხოვრება რომ ერქვა. მთელი შემოდგომა გა-

უთავებლად მერბინა შოფრებთან მანქანისათვის, მედევნა ლოთი მალ-ხაზასათვის, რომ გაღმა ტყიდან ჩამოთრეული სველი მორები დაეხერხა. ნინიკოსთვის ჩემი ქალიშვილობისდროინდელი ვახუნებული პალტო გადამეკეთებინა. დროზე გადამეხადა ყაჩაღანა სონასათვის რძისა და მაწვნის ფული. მკერავი ტასიკო, ოთახის ქირას წინასწარ რომ მთხოვდა, ძალიან მორიდებით, ძალიან კრძალვით („შიფერი გვაქ სასყიდელი და... განა შეგაწუხებდი"), თან ვითომ ისე, სიტყვის მასალად. სხვათა შორის დააყოლებდა: „რამოდენასა ტრიალებს ეს ოხერი მრიცხველი, ყურები წაიღო". ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გვიანობამდე წიგნი არ უნდა მეკითხა. შეშა რომ შემომელეოდა, ელექტროღუმელი არ უნდა ჩამერთო, ტელევიზორის საყურებლადაც არ უნდა შემეშვა ნინიკო სტუმრად, რადგან ერთი ხეირიანი გადაცემის ნახვას ვერ ველირსეო, ჩიოდა და ტელევიზორი ისე ედგა, გაზიმზიმებული, ანტიკვარული ძვირფასი ნივთივით.

ძალა აღარ შემწევდა, ისევ შევდგომოდი ციცაბო აღმართს, რის ვაი-ვაგლახით რომ ამოვიარე და რომ მეგონა, ამოვათავე-მეთქი, ისევ დაბლა მოვექეცი. ისევ გამეპიროვნებინა მეურნეობის ფართობზე სიმინდის ყანა, ან ვაშლის ბაღი, რომ განვადებით გამოტანილი პიანინოს ქირა ერთბაშად შემეტანა, მთელი წლისა და წლის ბოლომდე მშვიდად დამეძინა. შაბათ-კვირას იმ მეურნეობის ნაკვეთში სათოხნად რომ მივდიოდი, ან სარწყავად, ხანდახან უდედმამო ბავშვთა სახლის ბავშვებიც მეშველებოდნენ ხოლმე, კოტეს ძველი შვილობილები. ერთ კვირა დღეს მომადგნენ პირველად, სულ რომ არ ველოდი, ფიქრადაც რომ არ გამივლია, ისე. დიდები, წამოზრდილები, მხარზე თოხგადებულები და სულ პირწმინდად გამომითოხნეს ის სიმინდის ყანა. პურიც კი წამოეღოთ თან, ცხელ-ხელი, მრგვალი პურები. რუში გარეცხილ ნივრის ფოჩსა და ხახვს ვატანდით იმ პურს და კომბოსტოს ფოთლებზე დალაგებულ, მაჭარივით კიტრის წნილს, ახალს, ქორფას, ჯერაც სიმჟავე გაუმჯდარს. ერთი გოგო, უტანო, ჩამრგვალებული, შუბლზე რომ ეყარა იმსიგრძე კულულები, თვალებში ეფხატებოდა, მომეხვია და მიჩურჩულა: მოვა კოტე, ხათუნა დეიდა, მოვაო და ის

ცხელი პური და ცრემლი ერთად გადამდიოდა ყელში. ვიცი-მეთქი, მეც ვუთხარი იმ გოგოს, მოვა-მეთქი, აბა, რა...

ერთი დღეღა... ეს ერთი დღე ყველაზე მძიმე იქნებოდა მაინც. იმ დღეებზე მძიმე, როცა დილა-უთენია ვიღვიძებდი დაღლილი, ღამეულ, არეულ ფიქრგამოყოლილი. დაღლილი მივცუხცუხებდი სამსახურში, წითელი მელნით დახაზულ რაღაც ცხრილებს ვავსებდი, მწვანე ყდაში ჩასმულ აბონემენტში რომელიმე დეტექტივის, ან სათავგადასავლო რომანის სახელწოდება შემქონდა, რომელიც ჩემს მკითხველს გასართობად მიჰქონდა სახლში. დაღლილი მივდიოდი საბავშვო ბაღში ნინიკოს წამოსაყვანად, დაღლილი ვვახშმობდი. გამუდმებით, ხეს შეჩვეულ ჭიასავით მფქვავდა ჩუმი მუდარა: „გოგონი"... და თავს ვერაფერს ვუხერხებდი, რომ არ ამოტივტივებულიყო საიდანღაც ის ამოწითლებული, ამღვრეული რუსფერი თვალები და ჩუმად არ მეყმუვლა გულში, როგორც ეულ მგელს თოვლიან ველზე. აქამდე თავს მაინც ვიტყუებდი, იმიტომ, რომ ნუგეში მჭირდებოდა, იმედი უნდა მნთებიყო სადღაც, სულის კუნჭულში აბოლებული, თუნდაც ჩაწეული პატრუქივით მკრთალი, მაგრამ მაინც იმედი: ახალი ბინის ფანჯრებს ვწმენდდი, არა, მასტიკას ვუსვამდი გაქათქათებულ პარკეტს, ვფათიფუთობდი, ვალაგებდი, ვღიღინებდი ჩემთვის და უცებ ყურთან ვიღაც დაიჩურჩულებდა: „გოგონი"... ეგრევე, მასტიკით მოთხვრილი ხელებით, ოფლიანს, გაჩეჩილს, მიყვანდა ხელში და დამატარებდა ოთახში უხმოდ, ჩუმად. მარტო დაწმენდილი, ტბისფერი თვალები უღიმოდა თბილად და მე ყველაფერი მესმოდა, რისი თქმაც უნდოდა და ვერ მეუბნებოდა, ყველაფერი, რასაც გრძნობდა და განიცდიდა მთელი ეს ხანი უჩემოდ, უჩვენოდ და ეს ხანი ქრებოდა უცებ, იშლებოდა, როგორც წვიმის ღრუბელი მზის ამოსვლისას და კოტე უკვე საინებს ალაგებდა მაგიდაზე, როგორც წინათ, პირველად, სუფრასა შლიდა, რომ მე, დაღლილს, დამესვენა. „პური არ გვქონია. ახლავე მოვიტან". გარბოდა მაღაზიაში. არა, სანამ სუფრის გაშლას დაიწყებდა, მანამ გავდიოდი აივანზე და ხმამაღლა, ამაყად გადავძახებდი ნინიკოს, შენი მამიკო მოვიდა-მეთქი. მორბოდა ნინიკო კისრისტეხით,

წვილით, მამიკო მოვიდა, ჩემი მამიკო მოვიდაო და ახლა იმას იტაცებდა ხელში, ახლა იმას დაატარებდა ოთახში და ორივეს გვიხუტებდა გულში: „ჩემებო“...

ეს იმედიც გაქრა. სიზმარივით გალხვა და გაიბნა, როცა დილითვე თათიამ ამბავი დამახვედრა: „ქალაქიდანაც წასულა. ალბათ რუსეთში, სადმე. კაცმა არ იცის, იმის ასავალ-დასავალიო. სულ გადაკარგვით არ იმუქრებოდა!“ მერე ნაშუადღევს: „კი. ნამდვილად გეკუთვნოდათ ერთოთახიანი ბინა, მაგრამ ამჯერად ერთოთახიანები განაწილებაში არ გვქონდა. პროექტი იყო ასეთი. გამონაცვალიც... ვერ მოხერხდა ჯერჯერობით. უნდა მოითმინოთ“... იმ კაცს, ამას რომ მეუბნებოდა, ლოყები წითლად უღაჟღაჟებდა და მე ვიფიქრე, სირცხვილისაგან გაწითლდა-მეთქი. აბა, ადვილი იქნებოდა მისთვის, ასეთი არასასიამოვნო ამბის თქმა-მეთქი? და ოტიამ ისიც იცოდა, რომ სწორედ ახლა, სწორედ ამ წუთებში უნდა გადამედგა ეს ნაბიჯი, სწორედ ახლა, სანამ ისევ მოვახერხებდი წელში მოხრას და იმ ჭაპანის მოკიდებას, ცოტა ხნით რომ ჩამოვიცილე მხრიდან, სულის მოსათქმელად, ღონის მოსაკრეფად. სწორედ ახლა. სანამ მთელი ჩემი ამბოხებული გონება უარს აცხადებდა ძველ სამყაროში დაბრუნებაზე. სწორედ ახლა და იმიტომაც მინდოდა, არ ელაპარაკა, ჩუმად ყოფილიყო, რომ მერე, დრო რომ გავიდოდა, მეპატიებინა ოტიასათვის ჩემი ნაბიჯი. ამ ერთ დღეში უნდა მოესწრო ათასი ცნობის აღება და სირბილი, ნინიკოს უდედმამო ბავშვთა სახლში მოწყობა, ბილეთების შოვნა საახალწლოდ გადატვირთულ სალაროებში და მადლობელი რომ ვყოფილიყავი ოტიასი, მინდოდა ჩემს თავთან დავეტოვებინე ამ ერთ დღესაც, ძველი ცხოვრების ნაგლეჯ, ერთ ამოსუნთქვა დღეს და ჩუმად ყოფილიყო.

— ემზადები? — საიდანღაც შორიდან შემეხმიანა ოტია.

— კი.

ვემზადებოდი. ერთ პატარა ჩემოდანში ჩავალაგე ჩემი ავლადიდე-

ბა და ახლა იმაზე ვფიქრობდი, ვისთვის დამეტოვებინა დედაჩემის ნა-
ჩუქარი ძველებური ბეჭედი, ნინიკოს რომ ვუნახავდი. თათიასთვის,
თუ, უდედმამო ბავშვთა სახლის დირექტორისათვის...

— ხათუ...

არ მეუცხოვებოდა ეს სხვისი მოფერება. ამდენი წლის შემდეგ
თრთოლვით წარმოთქმული ჩემი სახელი და გაოცებით გავხედე კო-
ტეს სურათს, დილის რიჟრაჟში მკაფიოდ გამოკვეთილს.

ღუმელი რომ დავანთე, ოთახში უცებ დატრიალებულმა სითბომ
მომთენთა. ღამითვე შევაწყობდი ხოლმე ღუმელის ქვეშ ნაფოტებს,
ვაფიცხებდი და ახლა მხიარული ტკაცატკუცით იწვოდა. გავედი და
ძაღლს პურის ნაჭერი გადავუგდე. საწყლად და მადლიერად ამომხე-
და და ისევ ამომიტრიალდა გული.

— დედიკო, დე, ხო მართლა ამაღამ იქნება ახალი წელი? — ლო-
გინიდან წამოვარდა ნინიკო. — საბავშვო ბაღიდან მომიყვან თუ არა,
ხო მაშინვე მოვრთავთ ნაძვის ხეს?

— მაშინვე.

ფათიფუთით შეჭამა. თვითონ დაივარცხნა თმა. მე მარტო ბოლო-
ები დავუმაგრე რეზინით, რომ კიკინები არ დაშლოდა. მივდიოდით
მუხლამდე თოვლში და თბილად, მოფერებით გვათოვდა. სხვანაირი
დილა იყო, მსუბუქი და უზრუნველი, რაღაცას რომ ვპირდება კარგსა
და საამოს, ისეთი დილა. და სულ რომ არაფერი არ მოხდეს, მაინც
ღიმილით რომ ჩაათავებ მთელ დღეს, რაღაცის ლოდინის ღიმილით
და ვერც კი გაიგებ, როგორ წამოგეპარება ღამე, მსუბუქად და ნარ-
ნარით. მაშინ კი ყოველი დღე ერთმანეთსა ჰგავდა. ერთნაირად თენ-
დებოდა: „ავურიე, არა? — ეს კითხვა მესმოდა გაღვიძებისთანავე, სა-
წოლში. რამე გავტეხე? ხელი ხო არ შეგახე? დედაშენს ვაგინე? ქუ-
ჩაში გავვარდი? ხმა ამოიღე, გასკდა გული!“ და მართლა, სულ მარ-
თლა, ისე ძალიან იყო აწრიალებული, ისე ძალიან გულწრფელად,
ისეთი გამხდარი და საცოდავი ჩანდა, ისე საწყლად მარიდებდა
თვალს, ისეთი დათრგუნული, მოთავებული, მობუზული იჯდა, გული
მიკვდებოდა და ღამით ვითომ საბოლოოდ გადაწყვეტილი — „მორ-

ჩა. ყველაფერი დამთავრდა“ — ისევ გვერდზე ჩამიცურდებოდა ხოლმე უნიჩბებო ნავივით, ჩაილივლივებდა ტალღებს მინდობილი, რომ მერე ხელახლა, მალევე, აქოჩრილ ტალღებს ისევ ჩემსკენ მოეგდო და მთელი ძალით დამძგერებოდა. „ავდგები და სადმე გადავიკარგები. რისთვის გაწამებ?“ ხმას არ ვიღებდი და ეს დუმილი ბოლოს უღებდა. „მეჩხუბე! მიყვირე! სილა გამაწანი! აღარ შემიძლია მეტი!“ ჭზად იყო მუხლებზე დაეჩოქა, მომკვდარიყო, თავით გაენგრია კედელი. „აღარ დავლევ, გოგონი, აღარ უნდა დავლიო. არ უნდა დავლიო“... როგორ იტანჯებოდა! უკვე კარგად წამობერილ მუცელზე ლოყით მეკვროდა, ბავშვს ეფერებოდა, ორივეს გვიკრავდა მკერდში, ხელში ატატებულები დავყავდით და გაფითრებული, საცოდავი, ჩურჩულებდა: „ჩემებო... ჩემებო“... „ეგ ღალატია, — უთხრა თათიამ, — ბოზი უნდა შეგერთო ცოლად, ვითომ გაპატიოსნებული ბოზი. დარწმუნებული რომ იქნებოდი, ძველ გზას სამუდამოდ აუარა გვერდიო და ის კი ყოველ ღამე გიღალატებდა“. შეშლილი სახე ჰქონდა. ორივე ხელით მხრებში ჩაფრენილი მანჯღრევდა: „უთხარი, გაჩუმდეს, გაჩუმდეს! შენ მიშველი, გოგონი, შენ შეგიძლია მიშველო. ისევ შენ უნდა მიშველო. თუ რამე დამრჩა ქვეყანაზე, შენი სიყვარული დამრჩა“. „რითი! — დაუყვირა თათიამ, — რითი! შენს ცოდვებს რომ ჩქმალავს? თუ იმით, ქრისტესავით რომ აცვი ჯვარს და მარტოკა ათრევს ამოდენა დარდსა და სირცხვილს! ამას ვინღა უშველის, ამას!“

იმ ხანებში გაბრუებულივით იყო. ავადმყოფივით ცოტასა ჭამდა. თითები უკანკალებდა. შუაღამისას გამოფხიზლებული იჯდა და ლექსებსა წერდა, თავისთვის, მალვით, დაწერდა თუ არა, მაშინვე რომ დაეხია. ძალიან ლამაზ და ნაღვლიან ლექსებსა წერდა და იმ ლექსებში სულ სადღაც მიდიოდა, იკარგებოდა და შორიდან მიგონებდა ტკივილით. „ეგ რა ლექსებია, — ვიცინოდი უდარდელად, — ვიღას უნდა ლამაზი სევდა“. „არავისაც არ უნდა, — ისევ ძველებურად მეფერებოდა თვალებით, გაუცხოვებული, გაკერპებული თვალებით, — არავისაც არ უნდა, გოგონი, ცხოვრებაა მუხთალი“...

ნინიკო ხტუნვა-ხტუნვით მომდევდა:
— დედიკო, ლადიას ლეკვს ფეხი გაუსივდა.
— მერე რა. ალბათ რამე შეერჭო.
— იოდი არ უნდა?
— ეგ ლადიას უნდა ჰკითხო.
— ვარსკვლავს როდის მიყიდი?
ის წითლად აბრიალებული ვარსკვლავი, ნაძვის ხის მოსართავად უნდოდა, რომელიც ამაღამ უნდა მოერთო. რომ ვუთხარი, ახლავე-მეთქი, გამაშვებინა ხელი, შემომანათა აგიზგიზებული, დაწმენდილი რუსფერი თვალები, შევარდა უნივერმაღში და სანამ მეც შევყვებოდი, უკვე მეორე სართულზე, სათამაშოების განყოფილებისაკენ მიჰქროდა და შორიდანვე გასწიოდა:
— დეიდა ირმა, დეიდა ირმა, წითელი ვარსკვლავი უნდა ვიყიდოთ.
უცებ დაინახა ის თოჯინა, ვარდისფერკაბიანი, ნაზი და ისეთი ჰაეროვანი, შეგეშინდებოდა, ხელში არ გაგჭრობოდა. ისევ იქვე ეჯდათ, თაროს თავზე, სწორედ ნინიკოსოდენა იყო, ცოცხალი, ნამდვილი თვალებით იყურებოდა. ასე მეგონა, აი, ახლა, ახლავე გადმოვა და გაიცლის-მეთქი. გვიღიმოდა, სუნთქავდა თითქოს. ველოდებოდი, პირს როდის გააღებდა და დაილაპარაკებდა. გვაგვიანდებოდა საბავშვო ბაღში, მაგრამ ვერ ვეუბნებოდი ნინიკოს, წავიდეთ-მეთქი. გაოცებული და პირდაღებული შესცქეროდა. იმდენხანს იდგა ჩუმად და უძრავად, გაშტერებული, გამყიდველმა ჰკითხა:
— ახლოდან გაჩვენო?
რაღაცისა შეეშინდა და უარის ნიშნად თავი გააქნია. მეც ნინიკოსავით ვიდექი, პირველად რომ დავინახე. დაბნეული და მონუსხული. თითქოს ჯადო გამიკეთაო. ჩამოვაღებინე კიდეც, რომ დავრწმუნებულიყავი, ცოცხალი არ არის-მეთქი. ჩემი მთელი თვის ხელფასის თითქმის ნახევარი ღირდა. დავურეკე კიდეც ლადიას რედაქციაში, ეგება დასაბეჭდი მიშოვო რამე-მეთქი, დედაჩემის ნაქონი ძველი საბეჭდი მანქანა მქონდა და თუ დასაბეჭდი გამომიჩნდებოდა რამე, კარგადაც მიხდიდნენ ხოლმე.

საბავშვო ბაღისაკენ რომ მივდიოდით, ნინიკო ისევ შემცბარი და გაოცებული მომდევდა:

— დე, ის თოჯინა ხო ცოცხალია?

— ჰო.

— ლაპარაკობს და დადის კიდეც?

— ჰო.

— ჭკვიანია და ყველაფერი იცის?

— ჰო. ჰო.

— დედიკო, დე, მართლა იცის ლაპარაკი? სულ მართლა? როცა მამიკო მოვა, ვეტყვი და მიყიდის. ხო მიყიდის? დე, ტირი?

— ვტირი არა...

საბავშვო ბაღი რომ გამოჩნდა, მაშინ აცმუკდა. ერთი სული ჰქონდა, ჩემი ხელისაგან თავი დაეძვრინა და ჭიშკარში შევარდნილიყო. ასე იცოდა, აქ მოსვლასაც და სახლში წამოსვლასაც ზეიმად აქცევდა ხოლმე. ეზოშივე მაშვებინებდა ხელს, გავარდებოდა ასკინკილა, შემოუვლიდა მრგვალ აუზს, ჩაცუცქდებოდა ნახშირისთვალებიან თოვლის პაპასთან და შესცქეროდა თვალებად და მოლოდინად ქცეული, ისევ ისეთია, თუ არაო. მთელი ღამის განშორების შემდეგ ენატრებოდა თავისი ჯგუფელები, წითლად გადადღაბნილი „აიწონა-დაიწონა", წამწამებაპრეხილი ბეწვის დათვი, ნელი მასწავლებელი. აღარ იცოდა, რისთვის აესვ-დაესვა ხელები, ვისთვის შეეცინა. გულს რომ დაიარხვინებდა და ყველას და ყველაფერს თავის ადგილზე დაიგულებდა, მერე მიდიოდა პალტოს გასახდელად. გამოიკვრიტებოდა ნახევრადგამოღებულ კარში, უკვე სახლის ჩუსტებში ფეხწადგმული, წინსაფარაკრული და დამიქნევდა ხელს: „ნახვამდის, დე".

სანამ ნინიკო იმ ნახშირისთვალებიან თოვლის პაპას გარშემო უვლიდა, ყინულის ლოლუას ცხვირის ადგილზე ურჭობდა და ასკინკილა დახტოდა, სწორედ იმ ყინულის ლოლუასავით გაფშეკილი და გაძაგრული, მესერს აკრული ვიდექი და მციოდა. საღამოს ჩემს მაგივრად ოტია უნდა მოსულიყო და ნინიკო უდედმამო ბავშვთა სახლში წაეყვანა. საკუთარ თავს კი არა, თითქოს ვიღაც სხვას ვანუგეშებდი:

ათასობით ბავშვი იზრდება უდედმამო ბავშვთა სახლებში. ათასობით მაკარენკოები დასდევენ მათ ყოველ ნაბიჯს და რაღა ნინიკოს გაუჭირდება-მეთქი. ოტიას ვერც გაამტყუნებ. ნინიკო საკუთარ მამას არ უნდა და ოტია რისთვის იშვილებს-მეთქი. და, ოტიასი არ იყოს, რა საჭიროა ფიქრი, კვნესა, წუხილი. მაინცა და მაინც გული მინდა ავიჩვილო, რომ მერე ადვილად გავიმართლო თავი, ძალიან გამიჭირდა შვილის მიტოვება-მეთქი. მაშ, სხვა ბავშვები, მართლა უდედმამოები, როგორა სძლებენ იქა-მეთქი?

— დე, დაიხარე.

დავიხარე და ორივე ლოყაზე მაკოცა:

— ნელი მასწავლებელს არ გავაჯავრებ. კაკაოს დავლევ და კარაქიან ფუნთუშას შევჭამ.

— ჰო, ჩემო ჭკვიანო.

— დედიკო, მალე მოხვალ?

ნაძვის ხის მორთვა ეჩქარებოდა. ის წითელი ვარსკვლავი გულთან ჰქონდა მიხუტებული.

— დე, ტირი?

— ვტირი არა... ნახე, რამდენი ფანტელებია, სახეზე დამადნა.

გაიქცა და სანამ კარში შევარდებოდა, დავუყვირე:

— ნინიკო!

გამოიქცა უკან. დამიდგა წინ და ამომხედა თავისი ლამაზი, კამკამა ტბასავით მომწვანო თვალებით. ვაკოცე შუბლზე, ქუდიდან ჩამოშლილი თმა გავუსწორე, ხელები მოვუთათუნე სიცივისაგან აწითლებულ ლოყებზე, მხრებზე, წვრილ მუხლებზე. თოვლში ვიყავი ჩაჩოქილი, იმან რომ მკითხა:

— დე, მივლინება რამდენია?

ალბათ ის უნდოდა ეკითხა, მივლინება ხანგრძლივიაო? ხომ მივლინებაში ეგონა მამა და, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დასრულებულიყო ის მივლინება. არა და, ვერ გამეგო, რატომ ელოდებოდა ასე მოუთმენლად, გამუდმებით, როცა ერთხელაც არ ენახა. რატომ ეგონა, რომ თავისი მამიკო ყველაზე მაღალი, ყველაზე კეთილი, ყველაზე

ლონიერი იყო და იმის წარმოდგენაში ყველას ერეოდა, — დევებსაც, ბოროტ სულებსაც და ცხრათავიან გველეშაპებსაც. რომ არ მეპასუხა, ვუთხარი:

— იმ თოჯინას გიყიდი.

აღარ მინდოდა დამენახა ის გადარეული თვალები, სიხარულის ცეცხლით აბრიალებული, დამფრთხალი, გაშტერებული სახე. მივბრუნდი და სირბილით წავედი.

ბარდნიდა ისევ. მშვენიერი წყნარი დღე იდგა. მაღაზიასთან საახალწლო ვაჭრობით გართული ხალხი ირეოდა. მიხაროდა, რომ თოვდა და სველ სახეს არა ვმალავდი. სულ გადამითეთრდა თმა, მხრები. სეირნობო? ნატამ მკითხა, მკერავი ტასიკოს მეზობელმა, სახლში რა გაგაჩერებს ასეთ ამინდშიო. თვითონაც მოსეირნესა ჰგავდა. თავის აყლაყუდა ქმარს მკლავზე ჩამოკიდებული მისდევდა. მივახრაშუნებდი თოვლს. ხელში ატატებული მიმქონდა მუყაოს გრძელი, თეთრი კოლოფი, რომელშიაც ვარდისფერკაბიანი თოჯინა იწვა. მივდიოდი და თითქოს ვიღაც სხვას ველაპარაკებოდი ბუტბუტით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ჩემი ხმა შემაკრთობდა ხოლმე:

— თოჯინას ალბათ ლადია წაუღებს ბავშვთა სახლში, ან თათია, და ეტყვის, დედა აღარ მოვაო. ან, მერე მოვა, დიდი ხნის მერეო. მოკვდაო, სულაც ასე ეტყვის. ნინიკო არ დაუჯერებს და მაინც დამელოდება. სულ გზისკენ დააწყდება თვალები. კარის ყოველი ჭრიალი გულს გადაუტრიალებს. მამაც ხომ არ მოსდიოდა და მაინც ელოდა. მერე, დრო რომ გავა, დედის მოგონება თანდათან გაუფერმკრთალდება, დავრჩები დიდი ხნის წინ გადაღებულ, გაცრეცილ სურათზე, რომელიც ძველ, საოჯახო ალბომში იქნება ჩაკრული და იმ მიგდებულ, მტვრის ბუდედ გადაქცეულ ალბომს მაინც შეინახავს ნინიკო, ტკივილით, გაუთავებელ, უსასრულო მოლოდინივით.

ამაღამ დიდი ზეიმი ექნებათ. ის უტანო, გაჩეჩილთმიანი, ჩამრგვალებული გოგო ნინიკოს კალთაში ჩაისვამს და ოქროსფერ კულულებს სულ დაუკოცნის. ზეიმზე ნინიკოც იტყვის ლექსს, ცოტა ლექსები

იცის, თუ რა. მერე დაღლილი დაიძინებს, თოჯინას ჩახუტებული და არც კი გავახსენდები. მე ამ დროს ვაგონ-რესტორანში ვიჯდები, ნალვლიანად მომღიმარე, უბიწო პატარძალივით მინაზებული. ოტია შამპანურს გახსნის და ჩემს სადღეგრძელოს დალევს. კოტეც სვამდა ხოლმე ჩემს სადღეგრძელოს. ან კი რა განსხვავებაა, კოტე ერქმევა ჩემს ქმარს, თუ ოტია? ორივენი მადღეგრძელებენ შამპანურით, ორივენი ფეხქვეშ დამიგებენ სიყვარულსა და მთელ ქვეყნიერებას და ორივენი გამცვლიან მერე ჭიქა ღვინოზე. ნინიკო გაიზრდება. მე კი ხარკზე არ უნდა ვიფიქრო. ყოველი სიამოვნება ამ ქვეყნად რაღაც საფასური ღირს, რომელიც უსათუოდ უნდა გადაიხადო...

— ვინ გნებავთ? — მკითხა მაღალმა ქალმა. მხრებზე მოხურული პალტოს შიგნით თეთრი ხალათი ეცვა იმ ქალს და სქელწინდიანი ფეხები ქუსლებჩაკეცილ ჩუსტებში წაეყო. რომ არ ვუპასუხე, გამიმეორა: — გნებავთ ვინმე?

გამიკვირდა, საბავშვო სახლის ჭიშკართან რომ ვიდექი. გავყურებდი ვრცელ ეზოს, მწვანედ გადაღებილ ხის სკამებს, ახლა ფიფქინა თოვლი რომ ედო და მარტო გაჩაჩხული ფეხები მოუჩანდა, ტენისის სათამაშო მაგიდას, გატკეპნილ ბილიკებს, ცემენტით ამოლესილ საბანაო აუზს. იქნებ სულაც იმიტომ ააშენა ეს აუზი კოტემ, რომ ნინიკოს ებანავა შიგ-მეთქი. მისკდებოდა კეფა. იქნებ ის ტყავის ბურთებიც იმიტომ აჩუქა ამ ობოლ ბავშვებს, რომ ნინიკოს ედევნა მერე, გაოფლილს, თავდავიწყებულს. გაუგებარი ჟინით, გამწარებით ღაეკრა ფეხი და აესროლა ცაში, როგორც თოფიდან გავარდნილი უმისამართო ტყვია. ოღონდ პატარას, ჯერაც უმწეოს, არც კი ეცოდინებოდა, ვისკენ გასტყორცნიდა იმ ბურთს, ტყვიას, ვის დაუმიზნებდა, გაუთვითცნობიერებლად მოიკლავდა ჟინს და ეგეც შვებას მოჰგვრიდა, წამიერ შვებას.

ჩემი შვილი უნდა მოიყვანონ აქა და თქვენ შემოგევლეთ, კარგად მიშიხედეთ-მეთქი, იმ მაღალი ქალისათვის მინდოდა მეთქვა, ღამით საბანი არ გადაიხადოს და არ გაცივდეს-მეთქი. თუ მოვენატრები და დაღონდება, მიეფერეთ-მეთქი. ასე მეგონა, ვეუბნებოდი კიდეც:

ცრემლებით ვემუდარებოდი, თითების მტვრევით, მიტკალივით გადაფითრებული, ალუღლუღებული, მაგრამ ქალს არაფრისმთქმელი, უაზრო თვალებით შევცქეროდი და კიდევ რომ გამიღიმა, თავი მივაბრუნე. „უდედმამო ბავშვთა სახლი“ — მწვანე, ჩაჟამებული, ნესტიანივით ობმოკიდებული აბრა მშვიდად და ცივად ეკიდა კედელზე და ადამიანებს მისი წაკითხვა შეეძლოთ ისევე ჩვეულებრივად. როგორც სხვა ათას წარწერას კითხულობდნენ: „აფთიაქი“, „სურსათი“. „საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო“. იმ წარწერასავით ცივად და მშვიდად იდგა დიდი, ყვითელი სახლი, მაღალი ფანჯრები და თოვლიანი სახურავი რომ ჰქონდა. იქვე, გვერდითვე, ამოყვანილი კედლები ჩანდა, ალბათ რაიმე სათავსოს უშენებდნენ, ვთქვათ, აბანოს. ხომ უნდა ებანავებინათ ბავშვები კვირაში ერთხელ მაინც, რომ სუფთებსა და მოვლილებს ცელოთ. ნინიკოს ალბათ თავს გადაპარსავდნენ, პატიმარივით. კოტემაც გადაიპარსა ერთხელ თავი. ძლივს მივაჩვიე თვალი, ისეთი გაუცხოვებული მეჩვენებოდა. მაშინ იყო, ლეოს რომ დაარტყა. მოვიდა ბარბაცით, — ბარბაცებდა უკვე და ფეხიც ერეოდა: „ჩამომიყვანა აქა... ცოდვებს დაფარვა უნდა, გოგონი, გესმის? არაფერიც არ გესმის. საწოლის გადასაფარებელიც ხომ გამოიგონეს, ჭუჭყიანი ლოგინის დასამალად. მთელი მანქანა ცემენტი... ავარაკს იშენებს ბიჭი! საწოლის გადასაფარებელი ვარ, იმიტომაც ჩამომიყვანა, რომ ვიყო. განა მართლა მე ვედარდებოდი, თავისი დარდი ჰქონდა. უღალატო ხარო. არც გავყიდი. ჰოდა, რო ვერ გავყიდი. იმიტომაცა ვლეწე“... იმ თავის ობიექტზევე დარჩა მუშად. როგორ უყვარდა ის ხიდი ქსანზე. უკვე ამთავრებდა, სხვა ინჟინერი რომ მოიყვანეს. როგორ უჭირდა, როგორ უძნელდებოდა და მაინც დარჩა მუშად, იქვე, იმ თავის ობიექტზევე, რომ უფრო გაბოროტებულიყო, მიზეზი ჰქონოდა დასათრობად, დაჩაგრულ, ხელნაკრავ კაცად ეგრძნო თავი. „დავლიე. მერე რა? არ გაბედო მუშა კაცის დაცინვა. მუშათა დინასტია — სახელმწიფოს გვირგვინია. გეთაკილება, არა, შენი. ინჟინერი ქმარი გინდა, ან ექიმი“... და რაც დრო გადიოდა, უფრო მეტად ეკარგებოდა თავგზა. უფრო აუტანელი ხდებოდა და, სიმთვრალეშიაც იმას

იმეორებდა, რაღაც უნდა მოხდესო. სიფხიზლეშიაც სულ აფლარტულმა დაიწყო სიარული. ჭუჭყიანი, გახეხილი ჯინსის შარვლით, დაკერებული ბოტასებით, მეტის ღირსი არა ვარო. სახინკლეშიაც ისე შედიოდა ხოლმე, სასადილოშიაც და ერთხელ კინოშიც ისე წამოვიდა. თავის თავს ეჯიუტებოდა. ვერც თავის ყოფას ურიგდებოდა, ვერც საშველი მოენახა და ასე გარიყული, ასე ჩამოფლარტული, არყის სუნით გაჟღენთილი ეძებდა შვებას. „რა უნდა? — ტიროდა დედაჩემი. — ჰკითხე მაინც, რა უნდა. მიწამ მაინც უყოს პირი, ეგ სიყმედამწვარი“... სწყევლიდა უკვე. ჩემს გასაგონად, ჩემი თანდასწრებით. აქეთიქიდანაც უკვე მაგებინებდნენ, რა ჭინჭყლი ყოფილა სიმთვრალეშიო. მაგოდენას რა ძალა გათმენინებდა, ' შვილოო, — ყაჩაღანა სონამ, მაწვნის ქილას რომ ვართმევდი, თითები მითრთოდა სირცხვილითა და სიმწრით, — კუდს რაღას უსწორებდი, ზედ რაღას ეფოფრებოდი, ეგრე ხო გული შუაზე გადაგისკდებოდაო. აფსუს გოგო, აფსუს გოგო, როგორ გაგიმწარა ცხოვრება, არადა, რა ოქრო იყო ფხიზელიო.

დილით უჭირდა ძალიან, გამოფხიზლებულს. გულაღმა იწვა ხოლმე, ჭერს მიშტერებული და ალბათ იმაზე ფიქრობდა, როგორ ეფლობოდა მწკლარტე, მწვანედ მობუყბუყე ჭაობში. იძირებოდა ნელ-ნელა, თონეში ჩაკრული უღუარი ლავაშივით იყო ჩაძაგრული და საცაა ჩაიფხრიწებოდა, ტყაპანს გაადენდა თუთქმოყრილ, სითბოგაპარულ ნაცარში, ჩაასკდებოდა ძირს. და რომ არ ეფიქრა, რომ არ გაგიჟებულიყო, ისევ დასათრობად გარბოდა და იმ ღვინოსაც მწკლარტედა სვამდა, ჭაობის გემოზე, რადგან ცოლ-შვილიც ვახსოვდით, მეცა და ნინიკოც, ჯერ დაბადებულიც რომ არ იყო. „რას გიშვრებით... რას გიშვრებით“... უკვე იცოდა, რომ უნდა გაგვცლოდა, დროზე, მალე, სანამ არ დაგვიანებულიყო. მერეც, როცა წავიდოდა, უნდა გვხსომებოდა ერთმანეთი. სულ ერთი არ უნდა გამხდარიყო, შემოდგომის მოფარფატე ფოთლებს ფეხს დავაბიჯებდით, თუ არა. და სამსახურიდან მობრუნებული, გულისკანკალით ავდიოდი კიბეზე, მართლა ხომ არ წავიდა-მეთქი, სულ გადავყვითლდებოდი ხოლმე, სანამ ოთახს მოვათვალიერებდი, რომ ერთი ფარატინა ქაღალდის ნაგლეჯი დამენახა

სადმე მიგდებული. ისე ჩვეულებრივად და უბრალოდ მიგდებული, როგორც ღია ფანჯრიდან ქარს შემოყოლილი ბლის ფოთოლი ეგდო ხოლმე მასტიკით მოპრიალებულ იატაკზე, ან ტახტზე, სადმე. სულ ველოდი, სულ ვეძებდი იმ ქაღალდის ნაგლეჯს და სწორედ მაშინ დავინახე, როცა მთელი კვირა წვეთიც არ ჩასვლია პირში, როცა წყალში ჩაძირული, დასახრჩობად განწირული კაცივით ერთხელაც, უკანასკნელად, კიდევ, მაინც ამოყურყუმელავდა იმედი, ამეკვიატა, — აღარ დალევს, ღმერთო, აღარ დალევს-მეთქი, — ხალიჩაზე იყო ძაფაგებული ნემსით მირჭობილი ის ქაღალდის ნაგლეჯი, მიჩხვლეტილი: „მივდივარ“...

თოვდა ისევ. ხეები ისევ წელში გაზნექილები იდგნენ. საქმისაგან მოღლილი, ქუდჩამოფსატული კაცებივით დამძიმებული თავები ჩაექინდრათ, გეგონება ზეზეულად ჩამოსძინებიათო. ჩამოთბა. ელექტრონის სინათლეზე მსხვილი, ოქროსფერი ფანტელები ნაძვის ხის აბრეშუვიალებულ სათამაშოებს ჰგავდნენ. დამძიმდა, გასქელდა, მაწონივით შედედდა საღამო, დანით გაიჭრებოდა. რაღაცნაირი უცხო სურნელი იდგა, ცივი და გამჭვირვალე, თავბრუს რომ დაგახვევდა და უმიზეზოდ აგაცეტებდა.

ბინდდებოდა. ნელ-ნელა, მშვიდად მოდიოდა საღამო. ჩუმი ზეიმით მოჰყვებოდა ფერდობებს, მეფური ნაბიჯით მობრძანდებოდა, დარბაისელი. სახლში რომ მივედი, ისევ დამეზარა ღუმელის დანთება. სავარძელში ვიჯექი ბებერი ქალივით გულხელდაკრეფილი და ფანჯარასთან მომდგარ ბინდს თვალმიშტერებული. იმაზე ვოცნებობდი, მალე გამოიგონონ ისეთი მანქანა, თითს დააჭერ ღილაკს და ვეღარ იფიქრო-მეთქი. ან გულზე ჩამოიკიდო აბრა წარწერით — „ფიქრი აკრძალულია“ და მორჩა. სულ ძალიანაც რომ მოინდომო, ვეღარ იფიქრო-მეთქი. რას აღარ იგონებენ ამქვეყნად და ასეთი მანქანის გამოგონება რა დიდი ამბავი იქნება-მეთქი? ან, სულაც გულის გამოცვლა რომ შეიძლებოდეს, ყველა ტკივილისა და მოგონებისაგან დაცლილი გულის გადანერგვა, როგორ გაუადვილდებოდათ ადამიანებს ცხოვრება-მეთქი. ცხოვრებას ირთულებდა კოტეო, ლეომ მითხრა,

მგონი, რვა მარტი იყო, თუ პირველი მაისი, ისა და ჭაბუა რომ მომადგნენ სახლში. როგორა ხარ, როგორა ცხოვრობ და სანამ შემოვიდოდნენ, ისე დავინახე, თითქოს ჭაბუას ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა და გული გადამიქანდა, — იები არ იყოს, ვაიმე, ემანდ იები არ იყოს-მეთქი. წამიყვანდა ხოლმე კოტე ტყეში, დამატარებდა ტყის პირებს, შექანებულ ფერდობებს, გაფიჩხებულ ბუჩქის ძირებს, ცივი მდუმარებით ყურებდახშულ ყორეებს, ძროხები რომ ჩაუყვებოდნენ ხოლმე საღამოობით და ყვითელ ლაქებს დაამჩნევდნენ. ისევ თოვლი იდო, ცოტათი დამდნარი, გაზეპილი და იმ თოვლს, გაფშეკილი ჯონჯლების ძირში, გრძელი, თბილი თითებით ხვეტავდა გვერდზე, ფრთხილად და ნელა, მოფერებით, თითქოს ეშინია, არ შეაწუხოს, ან არაფერი ატკინოსო. მთლად თოთო, სულ მთლად ერთი ბეწოთი შეღინღლულ ბალახში, თოვლის ქვეშ, იებს ეძებდა. მოთხვრილ თითებზე, სველი და ცივი მიწის სურნელი ასდიოდა და კიდევ რაღაცის, ნაზი, გაზაფხულივით სურნელი. „ვითომ ქართული კაბა გაცვია, გოგონი, გრძელი, მოქარგული კაბა, — და იებს რომ მომართმევდა, იმ კაბის უჩინარ სარტყელზე მკოცნიდა. — ვითომ ნაწნავები გაქვს. ორი მსხვილი, გრძელი ნაწნავი, ვითომ თმაში ჩაგაწანი იების ფოთლები, ნაწნავებში ჩაგაწანი ვითომ და როგორ გიხდება, როგორ ძალიან! თავბრუ მესხმის, ვთვრები შენი და იის ფოთლების სურნელით“... თოვლის ქვეშ, უჩინარ, პაწაწინა ღარებში, ბებერი გლეხის დაძარღვულ ნაოჭებს რომ ჰგავდა, მიწანწკარებდა წყალი, ჩუმად, მალვით დამდნარი ყინულის წყალი, მიწის უბეში გამომწყვდეული სითბოთი გამლხვალი და ყურს რომ ვუგდებდი იმ წკანწკარს, მიწის სუნთქვაც გვესმოდა თითქოს. ძილში შეშმუშნული კაცივით ხვნეშოდა და საცაა უნდა გაეხილა თვალი. დნებოდა თოვლი...

ჰოდა, დღესასწაული მომილოცეს ლეომა და ჭაბუამ და ჭაბუას რომ ეჭირა ხელში, თაიგული კი არა, სუნამო იყო, მგონი ფრანგული, რადგან ორივეს ყველაფერი საუკეთესო და უზადო უყვარდა, ნაყარნუყარ რამეებს პატივს არა სცემდნენ, და ჭაბუამ მითხრა. კიდეც, უბრალო რამეს როგორ გაკადრებდითო. ნინიკოსათვის კიდევ, სათა-

მაშო ეყიდათ, დიდი, ოთხკუთხედი კოლოფი მოიტანეს და დასხდნენ. რატომ დასხდნენ, რატომ დასხდნენ, მე ხომ არ მითხოვია, დასხედით-მეთქი. მეგონა, გული დამეშლებოდა ნაწილ-ნაწილ, კენჭებად ჩამომეშლებოდა, ჩამომეფშხვნებოდა სულ წვრილ-წვრილ ნაწილაკებად, ქვიშასავით და ჩხრიალით ჩაცვივდებოდა ძირს. იატაკზე ვაცეცებდი თვალებს, იმ კენჭებს ვეძებდი, ფეხი არ დააბიჯონ-მეთქი. დაკრძალვაზე მყოფ ჭირისუფლებსა ჰგავდნენ, სამძიმრის სათქმელად მოსულებს და მიკვირდა, კუბოში მწოლიარე კოტე რომ არა ჩანდა ოთახის შუაგულში, მიწისფერი და თვალდახუჭული. წადით-მეთქი, გულში ვუკიჟინებდი ორივეს, ჭაბუასაც და ლეოსაც, წადით აქედანა-მეთქი და ლეო მეუბნებოდა, ცხოვრებას ირთულებდა კოტეო. „არაფერიც, — ვუთხარი მე, — ციოლებდა". „ჩამორჩა ცხოვრებას". ჭაბუამა თქვა. „კი. ჩამორჩა. — მაშინვე დავეთანხმე მე. — თანაც, ყეყეჩი იყო. სახლზე რომ აღარაფერი ვთქვა, ერთი აგარაკი ვერ აიშენა. ერთი მანქანა ცემენტის მოპარვა ვერ მოახერხა. ვერც მუშებს შეუჭამა რამე. მკვდარი სულებით სავსე უწყისითაც კი ვერ ისარგებლა. ის კი არა, ხურდებს ითვლიდა ხოლმე ხელისგულზე, როცა დასალევად მიდიოდა". ლეო ხელნაკრავივით წამოხტა, შებორძიკდასავით და მე ვიღიმებოდი თბილად. „ნერვები... შენს მდგომარეობაში"... „რას ბრძანებთ, — გავაწყვეტინე მე, — მშვენივრადა ვარ. საღმთო უნდა დავკლა, ლოთი ქმარი რომ გამექცა და ჩიტივით თავისუფალი დამტოვა. ნერვებიც სრულ წესრიგში მაქვს. ხომ არაფერი გეწყინათ?" ვიხრჩობოდი უკვე, ლაპარაკი აღარ შემეძლო, კარში რომ გადიოდნენ, კონვერტი ავიღე, ეს დაგრჩათ-მეთქი, თითით გავასწორე ტკიცინა ათმანეთიანები და ისე მივაწოდე ის კონვერტიცა და სუნამოც, ფრანგული. ისევ კარში ვიდექი, იქიდან შევცქეროდი ოთხკუთხედ, დიდ კოლოფს, სათამაშო მანქანას, ლიანდაგებზე რომ უნდა ევლო და ნინიკო სიხარულით გაეგიჟებინა. მივედი მერე და ეგრევე, გაუხსნელი კოლოფითვე შევაცურე საწოლის ქვეშ, სადაც ძველი ფეხსაცმელები და გრძლად დახვეული ლინოლეუმი მედო, ვითომ ახალი ბინის სამზარეულოში რომ უნდა დამეგო...

უცებ მომეჩვენა, რომ სიცხისაგან სული მეხუთებოდა. ცივ ქუჩებში ამოდენა ყიალით გავცივდებოდი, მაშ, რა დამემართებოდა-მეთქი. სიცხიანივით მიბურბურებდა სახე. აივანზე გავედი და თოვლში მშვიდად ჩაწოლილ დაბას გადავხედე. თეთრი საღებავით სწორად გავლებულ ხაზსა ჰგავდა ახალი ხიდი. ზედ გადავლილი მანქანა შავი, მოძრავი ლაქასავით აჩნდა და ისე მომეჩვენა, კოტე მიბარბაცებდა ზედ, მიბარგანაობდა, იმ ხიდის დამთავრების აღსანიშნავად გამომთვრალი. ბლის ხიდან აფრენილი ბეღურა ზარმაცად წამოვიდა და მოაჯირზე დასკუპდა. აივნის მოაჯირზეც უყრიდა ხოლმე ნინიკო პურის ნამცეცებს და დილა უთენია თავიანთი ჟივჟივით გვაყრუებდნენ, თუ, ვერ იყოფდნენ ხოლმე იმ ნამცეცებს ერთმანეთში, რა ვიცი, ან იქნებ ნინიკოს ლოცავდნენ მხიარულად აწიოკებულები. ვიღაცამ დაიყვირა: „წვერი არ გივარგა, წვერი, მაშინვე მიხვდებიან, რომ თოვლის პაპა კი არა, თენგო ხარ“. რაღაცამ გადამიხსნა გული. რაღაცნაირი შვებით მოვისვი ცივი ხელი სახეზე და უცებ, სულ უცებ, გეგონება დენმა დამიარაო, გავხედე საათის ციფერბლატს. ექვსი ხდებოდა. თვალწინ დამიდგა დიდი, ყვითელი სახლი. მხრებზე პალტომოსხმული, თეთრხალათიანი, მაღალი ქალი თავისი კეთილი ღიმილით: „ვინ გნებავთ?“ ცემენტით ამოლესილი დიდი აუზი. ვხედავდი, როგორ შეჰყავდა ოტიას ხელჩაკიდებული ნინიკო ეზოში, როგორ მიუყვებოდნენ გატკეპნილ ბილიკს. რაღაცას უყვებოდა ოტია, ალბათ რომელიმე მივიწყებულ ზღაპარს და ნინიკო იცინოდა, იცინოდა გულიანად, კუჭკუჭებდა თავისთვის, ცოტათი მორიდებით, რადგან ოტიასი ეკრძალებოდა, უწყლიანდებოდა, უბრწყინავდა თვალები. ასე სიცილ-სიცილით, უდარდელად აღებდნენ კაბინეტს. კაბინეტში სითბო იდგა, მაგიდაზე საახალწლო საჩუქრები იყო დახვავებული და ნინიკო ცდილობდა გამოეცნო, რა იყო ცელოფანის პარკებში, შოკოლადი, თუ ქლიავის მურაბიანი კანფეტი? დირექტორი ნაღვლიანად იღიმებოდა: „ის ბავშვია?“ ნინიკოს პალტოს ხდიდნენ და ის თეთრხალათიანი, მაღალი ქალიც სევდიანად უღიმოდა: „ჩვენ დიდი ნაძვის ხე გვაქვს. მალე ნამდვილი თოვლის ბაბუაც მოვა. ამაღამ ყველანი ვიმღერებთ, ვიცეკ-

ვებთ, შენც ხომ იცი სიმღერა?“ ეფერებოდნენ ნინიკოს და ოტია შეუმჩნეველად მიიძურწებოდა კარისაკენ...

დავეშვი კიბეზე. ეგრეევ. კაბიანი. ალბათ იმ არეულ მოლანდებებს მინდოდა გავქცეოდი, დავმალვოდი როგორმე, თუნდაც სოროში ჩავმძვრალიყავი დაფეთებულ თხუნელასავით, ან დეკემბრის დამზრალ, გათოშილ ქსანში ჩავწოლილიყავი, სანამ არ გავშეშდებოდი, სანამ გონება არ ამერეოდა. მივრბოდი და მაინც ზურგზე მეკიდა ის მოლანდებები, ტკივილივით, მძიმე ტვირთივით, კურტნის მუშასავით წელში რომ მდრეკდა, ხელ-ფეხს მიდამბლავებდა და ის გავიფიქრე, მორჩა, სულ ასე კურტნის მუშასავით უნდა ვიარო ამიერიდან-მეთქი, წელში წახრილმა, ტკივილწამოკიდებულმა-მეთქი. გაკვალულ, მოყინულ ბილიკზე გავრბოდი და საიდანღაც შორიდან მესმოდა გმინვა და თითქოს ფეხებგაკრული, ღონიერი ხარის ფართხალი. თითქოს უკვე დამორჩილებული რომ ჰყავდათ და მაინც რომ ვერ იმორჩილებდნენ. ძარღვებგადაწყვეტილიც რომ იბრძოდა გადასარჩენად, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, სანამ ფეთქვაშეჩერებული გული სხეულსაც სულ მთლად გაუფშეკდა, მანამდე. იმანაც კი გამიელვა თავში, ნეტავი საიდან მოდის ეს ხმა-მეთქი? თითებით დავიცავი ყურები და მაინც მესმოდა:

— დედა მოგიკვდეს... დედა მოგიკვდეს...

მეჩვენებოდა, რომ ჩემთან ერთად გაგიჟებული გარბოდა ის დიდი, ყვითელი სახლი, ცივად და მშვიდად რომ იდგა ალვებაღერილ ეზოში. ის ბავშვებიც გამორბოდნენ, ობლები, უდედმამოები, ფეხი უსხლტებოდათ თოვლში. ეცემოდნენ, დგებოდნენ ისევ და გამორბოდნენ და ის უტანო, ჩამრგვალებული გოგო, კულულები თვალებზე რომ ეფხატებოდა, ზედ ყურთან დამწიოდა: მოვა კოტე, ხათუნა დეიდა, მოვაო და ისევ თითებით ვიცავდი ყურებს, რადგან ისევ გმინავდა ვიღაც:

— მოგიკვდეს დედა...

უნივერმაღთან ლადიამ რაღაც მომაძახა, ალბათ ბიჭებთან იდგა. ალბათ ის მითხრა, ერთად უნდა მოვრთოთ ნაძვის ხე მე და ნინიკო-

მაო. მივრბოდი, ტორტმანებდა სწორი, გრძელი, თეთრი ქუჩა, ბილიკი, ეზო. თეთრქუდიანი, გაფარჩხული სოკოები, დაქანებული სასრიალოები, საქანელები და სანამ კიბეს ავათავებდი, ეზოდანვე ავწივლე:

— ნინიკო!

სუნთქვა მიჭირდა. ჩამოშლილი თმა მიფრიალებდა და თვალებზე ლიბრი მეკვროდა. თვალწინ გამიკრთა ნელის შეშინებული სახე, შავხალათიან დამლაგებელს ვედრო გაუვარდა და იატაკზე გრუხუნ-გრუხუნით გაგორდა. ალბათ დავეჯახე. ვიღაცამ შემკრთალი ხმით დაიძახა, რა მოხდაო? რამე მოხდაო? და ნინიკომ დაიყვირა:

— დედიკო, დე, წითელი ვარსკვლავი ხო არ გაგიტყდა?

გამოქანდა ხელებგაშლილი, ოქროსფერი კულულები შუბლზე ეყარა, ცალი ყურით ეჭირა წამწამებაპრეხილი ბეწვის დათვი.

— დედიკო, ხო არა ტირი, არა?

— როგორ დავაგვიანე. — ნელის ვუთხარი. ნინიკო გვერდით მედგა, უკვე პალტოჩაცმული, წარბებამდე ქუდჩამოფხატული.

— ახალი წლის საღამოა. ადრე გაიყვანეს ბავშვები. ნინიკოლა დარჩა.

დავიჩოქე და ნინიკოს შუბლით მივეკარი. თავისი პაწაწინა, ფუნთულა ხელებით სველ სახეს მიმშრალებდა, გავუსწორე ქუდიდან ჩამოშლილი კულულები, მოვახვიე სქელი, თეთრი შალი, სარვამარტო საჩუქრად რომ მომართვეს სამსახურში და ვუჩურჩულე:

— გიყვარს დედიკო?

განა იმანაც მიჩურჩულა, ხმამაღლა დაიძახა, ყველას გასაგონად:

— მიყვარს! მიყვარს! მიყვარს!

— ძალიან, ძალიან?

— თოჯინაზე ძალიან.

— თოჯინა შენს საწოლში წევს.

და სწორედ ამ დროს ნელიმ იკითხა:

— ვის ეძებთ, ოტია ბატონო?

ჩემი და ოტიას თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ნელიმ მხრებზე

ბამბაზიის თბილი ხალათი წამომახურა. ნინიკო ხელში აყვანილი გა-ვატარე. კარში რომ გავდიოდით, ოტიამ გზა დამითმო...

სანამ ნაძვის ხის ტოტზე სათამაშოებს მიამაგრებდა, ნინიკო ჯერ თავის პაწია საწოლში მჯდარ ვარდისფერკაბიან თოჯინას მიუბრუნდებოდა ხოლმე და ეკითხებოდა:

— აქ დავკიდო? აქა? — გაიქცეოდა, აკოცებდა ხელზე იმ თოჯინას და ჩამოჰკიდებდა ტოტზე სათამაშოს, მერე ისევ: — ვარსკვლავი აქ არ უხდება? მაშ, სადა? მაღლა? — გაიქცეოდა, ისევ აკოცებდა... თოვლის პაპას თავისი თბილი, ნაქსოვი ქუდი დაახურა, შესცივდებაო. თოჯინა ახლა კალთაში ეჯდა, ნაზად უსვამდა თმაზე ხელს, ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა და ღამით, უძილობით, სიხარულითა და სირბილით დაღლილი საწოლში რომ იწვა, უკვე თვალები რომ ელულებოდა, ცალი ხელით თოჯინა რომ ჰყავდა გულში ჩახუტებული და ის პატარა, არშიებით მორთული საბანი ორივეს ეხურა, მოჩოჩდა ჩემსკენ და გულდაწყვეტილმა და გაოცებულმა მითხრა:

— დედიკო, შევეკითხე, ჩემი მამიკო როდის მოვა-მეთქი? და ხმა არ გამცა... თოჯინამ ლაპარაკი არ იცის.

ზურაბ თორია

მიძღვნა

თეონა განმარტოებით იდგა სახელოსნოში და ნატურმორტს ათვალიერებდა. შუაზე გაყოფილი ღია წაბლისფერი თმა ფაფუკად ჩამოშლოდა ბავშვურად გამხდარ მხრებზე. სწორი, დაჭორფლილი ცხვირი და თხელი პირისახე ჰქონდა. მაქმანებით გაწყობილი, მოკლე უჯ-

რულა კაბა შვენოდა. მის დიდრონ, თაფლისფერ თვალებში ცნობისწადილი და მღელვარება მონაცვლეობდა.

ერთი წუთით მზერა მოსწყვიტა ტილოს და მანქანებით გაჭედილ ქუჩას გახედა. ტროტუარზე თავშეყრილ ხალხს შორის უნებლიე მოწმესავით იდგა დედა — ნაადრევად მოტეხილი, ქანცგაწყვეტილი ქალი. საგანგებოდ ამ დღისთვის შეკერილი ლურჯნაყშებიანი კაბა ეცვა. ოჯახისა და მინდვრის სამუშაოებისაგან გაუხეშებული, დაკოჟრილი ხელით შავი მუყაოს ჩანთა გულზე მიეკრა და სახელოსნოსკენ იცქირებოდა.

გოგონა მის გვერდით მაღალ, სახეშეჟინჟღილებულ კაცს ეძებდა. გულისფანცქალით აკვირდებოდა უდარდელად მობაასე ხალხს. მოლოდინმა რომ უმტყუნა, თვალებში სევდა ჩაეღვარა, დარბაზის მეორე ბოლოში მდგომი თანატოლებისკენ მიტრიალდა. ისინი რაღაცაზე იცინოდნენ და უხმობდნენ. თეონა ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. თვალწინ, სახელოსნოდან ოცი კილომეტრით დაშორებული სოფელი ედგა.

გზატკეცილიდან სახლამდის ნახევარი საათის სავალი იყო. მოასფალტებულ, სწორ გზას ორივე მხრით ვაშლნარი გასდევდა, სახლის წინ პურის ყანა ლივლივებდა. უკანა მხარეს ვაზს ეხარა, ხოლო მოშორებით ატმის, ალუბლისა და ბროწეულის ნარგავებს.

პურის ყანა სოფელს ორ ნაწილად ყოფდა. ერთი მხარე — შრომაგასწორებითი კოლონია-დასახლებას ეჭირა, ხოლო მეორე — ადგილობრივ მკვიდრთა კარმიდამოებს. სასურსათო მაღაზია, სადალაქო, თორნე, ამბულატორია, საბავშვო ბაღი და სხვა, კოლონიის ტერიტორიაზე იყო თავმოყრილი.

ადრე, სოფელს დაწყებითი ოთხწლიანი სკოლაც ჰქონია, მაგრამ როგორც კი შრომაგასწორებითი კოლონია-დასახლება გახსნილა, თითქოს ნაძრახ ადგილს გაერიდნენო, ადგილობრივ მკვიდრთა უმრავლესობას გუდანაბადი აუკრავს და სკოლა გაუქმებულა.

მეურნეობას მეზობელ სოფელში ოცდახუთიოდე მოსწავლის სატარებლად ავტობუსი ჰქონდა გამოყოფილი, რომელიც წარამარა

ფუჭდებოდა და თორმეტიოდე კილომეტრზე, ავდარსა და გაუსაძლის სიცხეში ბავშვებს ბრეზენტით გადახურული სატვირთო მანქანით უწევდათ მგზავრობა.

პატიმრები ორსართულიან და დაბალ ქვის სახლებში ცხოვრობდნენ. დასახლებიდან მოშორებით, ტრიალ მინდორზე, ყაზარმასავით გრძელი, უფერული კლუბის შენობა იდგა. აქ, უქმე დღეებში კინოსურათებს უჩვენებდნენ, თვითშემოქმედების საღამოებიც იმართებოდა.

კლუბის წინ, საცეკვაოდ გამიზნული ფართო მოედნის ცენტრში, ფისით გაჟღენთილ შავ ბოძზე, ფრთამოტეხილი პეპელასავით, ცალ გვერდზე გადაზნექილი რეპროდუქტორი ეკიდა. დილის ექვსი საათიდან — შუაღამემდე დასახლების მთელ ტერიტორიაზე მისი ხმა გაისმოდა. ვინ იცის, რამდენჯერ ჩამოაგდო უჩინარმა ხელმა, მაგრამ მაშინვე აღადგენდნენ ხოლმე, რადგან საღამოობით პატიმრებს ადმინისტრაციულ შენობაში ადგილობრივი კვანძით იძახებდნენ, ან ინფორმაციებს გადასცემდნენ კოლონიის ცხოვრების შესახებ. სხვა დროს, რეპროდუქტორი ცენტრალურ ხაზზე იყო ჩართული.

თეონას მამა ამ სოფლის მკვიდრი იყო. აგურით ნაშენი ორსართულიანი სახლი ედგათ. წინა ეზოში მომცრო სათბური ჰქონდათ, სათბურის გვერდით აუზი. ეზო ირგვლივ მაღალი ხის მესრით იყო შემოკავებული.

თეონა, ადრე გაზაფხულიდან მხვნელ-მთესველებს დასდევდა თავის სასაცილო, გრძელბალნიან ფოქსტერიერ ბეკასთან ერთად.

მის თვალწინ, აყალო მიწით გადაქურუხებული, თვალუწვდენელი ველი მწვანე ქათიბით იმოსებოდა. ამ სიმწვანეს ოქროსფერი ემატებოდა თანდათან. ზღვის ზვირთებივით ტორტმანებდნენ ხორბლის თაველები და ნელი ჩურჩულით ეალერსებოდნენ გოგონას.

მერე, ჩამავალი მზის ცქერით გართული, ოცნებობდა მომავალ გაზაფხულზე, ველური ყვავილებით მორთულ მიდამოებზე, ატმისა და ბროწეულის აბრიალებულ ტოტებზე და პურის მოღაღანე ყანაზე.

მწიფე თავთავთა სურნელი ყველაფერს ერჩივნა და არ ეგონა, ქვეყნად ამაზე საოცარი რამ თუ არსებობდა.

მამამ ასწავლა, მიწა ყველაფერზე მარადიულიაო და ამ მიწის გულისფეთქვის, სასიცოცხლო ძალებით გაჟღენთვის, მათ — თესლად, ბალახად, მცენარეთა ტოტებად, ნაირფერ ყვავილებად და ნაყოფად გარდასახვის საიდუმლოებებზე ფიქრი იყო გოგონას მუდმივი თანამგზავრი.

ღამის ათი საათი იქნებოდა.

წვიმდა...

დედის თბილ თავშალში გახვეული გოგონა მკრთალად განათებულ, უკაცრიელ გზას მიუყვებოდა. რეპროდუქტორიდან სოფელს საცეკვაო მუსიკა ეფინებოდა...

გოგონა ქვის დაბალ შენობას მიადგა. კარზე დააკაკუნა. სახლიდან არეული ხმები ისმოდა. ისევ დააკაკუნა. ვიღაცა ფეხსაცმლის ბრახუნით ახლოვდებოდა. კარმა მძიმედ დაიჭრიალა და თმააჩეჩილმა, სახემოქუფრულმა კაცმა გამოიხედა. გოგონამ მამა იკითხა. კაცი ყურადღებით დააკვირდა, „რას უდგეხარ, შემოდი!“ — ჩახრინწული ხმით ჩაილაპარაკა, თავი უკმაყოფილოდ გააქნია, კარი მოაღიავა და დერეფანში გაატარა, სადაც შემწვარი კარტოფილის, მოხრაკული ხახვისა და ნავთის ერთმანეთში არეული სუნი ტრიალებდა. დახუთულმა ჰაერმა წუთით სუნთქვა შეუკრა გოგონას. ფეხს აუჩქარა, კაციც აიძულა მის სხარტ ნაბიჯებს მიჰყოლოდა.

დერეფნის ბოლოს, კუთხეში მიდგმულ, სანახევროდ განათებულ შაგიდას ბავშვები უსხდნენ და ჩუმად, ყოველგვარი ხალისის გარეშე, თითქოს ვალდებულებას იხდიდნენო, სვამდნენ ჩაის. ფეხის ხმაზე, მაგიდასთან მჯდომმა თავგადახოტრილმა ბიჭმა მოხედა შეყოვნებულ თეონას. მის მზერაში გაოცებამ იელვა. სხვა ბავშვებზე დაკვირვება

არ დასცალდა გოგონას, რადგან კაცმა თვალისმომჭრელად გაბრდღვიალებული ოთახის კარი შეაღო.

მაგიდას ოთხნი უსხდნენ. აღგზნებული სახეები ჰქონდათ. ხმამაღლა კამათობდნენ. ერთს არყით სავსე ჭიქა ეჭირა და გადაკვრას აპირებდა, რომ ოთახში შემოსულ გოგონას მოჰკრა თვალი. გაშეშდა. შემდეგ შეიშმუშნა და შავქურთუკიან კაცს დახედა, რომელსაც მაგიდაზე მიედო თავი და თვლემდა.

გოგონა მათ უხმოდ მიესალმა. მთვლემარეს მიუახლოვდა და მკლავზე დაქაჩა. კაცი შეირხა. გაფიქვინებული, აზრს მოკლებული სახე ასწია, უნიათოდ მიმოიხედა ოთახში. მზერა გოგონაზე შეაჩერა, გუგები გაუფართოვდა და თითქოს გაწყვეტილ ზმანებას გაეკიდაო, თვალი ისევ მილულა და გაყუჩდა. რამდენიმე ხანში შეირხა, საფეთქელთან შეევრცხლილ სწორ თმაზე ხელი ანაზდეულად გადაისვა, წამოიწია, მადლობისმაგვარი რაღაც წაილუღლუღა და გასასვლელისაკენ წაბარბაცდა. კარს ხელი ჰკრა და მოუტრიალდა გოგონას. თეონამ კაცებს გადახედა, დაემშვიდობა და მთვრალს წაუძღვა.

კაცი რწევა-რწევით მიიწევდა. ცივმა ჰაერმა ოდნავ გამოაფხიზლა. ბავშვთან საუბარი მოუნდა, მაგრამ ხედავდა, რომ უგუნებოდ იყო და თავს იკავებდა. კარგა ხნის დუმილის შემდეგ, უხერხულობა დასძლია და სიტყვებს მისცა გასაქანი. გოგონა ერთხანად ყურადღებით უსმენდა. მერე, უეცრად შედგა და მოელვარე თვალებით ახედა. კაცი მისმა გამკიცხავმა მზერამ წონასწორობიდან გამოიყვანა.

— შენც?!. — სასოწარკვეთილება გაისმა მის ხმაში.

დუმილს რეპროდუქტორის ჟღრიალი არღვევდა.

— დედამ, ჩვენ მაინც შეგვიბრალოსო! — თქვა და მოქანცული ნაბიჯებით გასწია.

კაცის ფეხის ხმას ყური რომ ვერ მოჰკრა, გოგონა შედგა. მამა ცოცხალმკვდარივით ერთ ადგილზე გახირულიყო.

— იჩქარე, დედა ისევ ცუდადაა! — ათრთოლებული ხმით თქვა გოგონამ.

— მერედა, მარტო დატოვე?!

— თქვენს მოსვლამდე არ მივატოვებო, შემპირდნენ მეზობლები!

კაცმა სახლის მიმართულებით გაიხედა, მერე გოგონას ხელი ჩაავლო და ადგილს მოსწყდა.

... კოლონიის გახსნამდე იგი მეურნეობაში აგრონომად მუშაობდა. მეურნეობა კოლონიას რომ დაუქვემდებარეს, დირექტორის მოადგილედ დანიშნეს.

გულისხმიერი კაცი იყო. ჭაბუკობაში გამომუშავებულმა შრომისმოყვარეობამ თავის დროზე ბევრი წინააღმდეგობა გადაალახვინა, მაგრამ მის სიმტკიცეს დროთა ვითარებაში ბზარი გაუჩნდა.

ქალი დაუსრულებლად ჩასჩიჩინებდა, თანამშრომლები თვალსა და ხელს შუა გაცურებენო. კაცს ეს არ ესმოდა, სხვისი ცუღლუტობის დაჯერება უჭირდა. თანამშრომლები მის ზურგს უკან საქმეებს აჭახრაკებდნენ, მის სახელს ამოფარებულნი ცოტ-ცოტას, ქრთამსაც იღებდნენ. შაბათ-კვირაობით პატიმრებს დასახლებიდან გასვლის უფლებას რთავდნენ და ყოველი მათგანისათვის გადასახადის თავისებური ნიხრი ჰქონდათ დაწესებული.

სულ სხვა იყო, როცა პატიმრებს გასათავისუფლებლად წარადგენდნენ. აქ, ცალკე გარკვეულ თანხას ართმევდნენ, ხოლო შემდეგ, ქეიფსაც აკისრებინებდნენ. ეს, ყადაღად იყო დაწესებული. პატიმრებს „პირშავად“ წასვლა ეკრძალებოდათ.

კაცმა ამ ამბავს რამდენიმეჯერ მოჰკრა ყური და როცა დირექტორთან მათ მოქმედებაზე აშკარად ილაპარაკა, გააბითურეს. მერე, ახლად დანიშნულმა დირექტორმა იმდენი მოახერხა, უბნის აგრონომად ჩამოაქვეითა.

მოგვიანებით თვითონ მიხვდა ბევრ რამეს, მაგრამ საქმეში ჩახედვისა და გამოფხიზლების მაგივრად, რაც დრო გადიოდა, ყველაფერზე გული უცრუვდებოდა. სასმელს ეტანებოდა. თანდათან სამუშაო საათებშიაც დაიწყო ჩუმ-ჩუმად სმა.

დირექტორს ყოველ მის ასავალ-დასავალს უკაკლავდნენ. იმან კიდევ არ დააყოვნა და რამდენიმეჯერ ფაქტზე დაიჭირა. დაიბარა, „სერიოზულად“ მოეთათბირა, საქმე დაავალა, თან ემუქრებოდა, თუ

დროზე არ შეგისრულებია, სამუშაოდან მოგხსნიო. დავალებას რომ შეასრულებდა, უმიზეზოდ მოსდებდა შარს, მერე ცოდვებსაც გაუხსენებდა.

ჯერ საყვედური გამოუცხადეს, მერე მკაცრად გააფრთხილეს, ხელფასი დაუკავეს, ჩამოაქვეითეს და იძულებულს ხდიდნენ, სხვაგან ეძებნა ადგილი.

ასე იქცა იგი მათ ხელში სათამაშოდ. დირექტორი თავის დამქაშებთან ოხუნჯობდა, ასეთი უგერგილო კაცის მნახველი არა ვარო...

როგორც თეონას დედა ამბობდა, კაცი სმით ცოტას სვამდა, მაგრამ ესეც ბოლოს უღებდა. ღამით სადმე რომ შეაგვიანდებოდა, თეონა დაეძებდა. კითხვა-კითხვით მიაკვლევდა, დაუდგებოდა წინ და ნაბიჯს არ გადადგამდა, სანამ სახლში არ გაჰყვებოდა.

გზაზე კაცი თავის ხელმოცარულ ცხოვრებაზე ყვებოდა. გოგონა ბევრ რამეს ვერ იგებდა. ანგარებაზე და დაუნდობლობაზე ჩიოდა მამა, და როცა კითხავდა, როგორ ფიქრობ, მართალი ვარ თუ არაო, არ იცოდა, რა ეპასუხა, მაგრამ თანხმობის ნიშნად თავს მაინც უქნევდა.

მაშინ კაცი ქებად იღვრებოდა. გაიძახოდა: აი, ნახავ, ყველაფერი გაირკვევა და გავმართლდებიო. თეონა უიმედოდ ფიქრობდა: „ვინ უნდა გაამართლოს მამა, ნეტა ვიცოდე, ვის წინაშე მიუძღვის ისეთი დანაშაული, რომ თვეობით ვერ ფხიზლდება...“ ბავშვს ოჯახში ჩამოვარდნილი უთანხმოებები გულთან მიჰქონდა. გამუდმებით ესმოდა დედის წუწუნი, რომლის კისერზეც გადადიოდა კაცისა და ქალის საქმე, ცდილობდა როგორმე შეემსუბუქებინა მისთვის ეს მძიმე ტვირთი, მაგრამ ხედავდა, ამით უფრო ადარდიანებდა.

თეონას დედის ძმა, თვითონ სხვაზე დამოკიდებული, მედღეხვალიე ახალგაზრდა, გამოუსწორებელ ლოთს ეძახდა სიძეს. ბიძას ეს პირველად რომ წამოსცდა, მამა გაფითრდა, დაულეწავი არაფერი დარჩენია. ბიძას მათსა სიარული აუკრძალა, მაგრამ იგი ყველაფერთან ერთად, უტიფარიც იყო და ყოველი სტუმრობისას ლანძღვას არ აკლებდა.

კაცი მის სიტყვებს თანდათან უყურადღებოდ ეკიდებოდა. როცა

საყვედურობდნენ, სადღაც უაზროდ იცქირებოდა. სახეზე ნაკვთიც კი არ შეერხეოდა, თითქოს ამ ქვეყნის არ ყოფილიყო და ხელი ჰქონოდა ყველაფერზე ჩაქნეული. ხშირად, ისეთ ადგილზე რჩებოდა, სადაც ვერ მიაგნებდნენ. გვიან ღამით ქურდულად შედიოდა სახლში, წვებოდა შუშაბანდში და ასევე უჩუმრად იპარებოდა უთენიაზე.

კვირა დღის დადგომას ნატრობდა თეონა. ეს, სახლიდან გაქცევას ჰგავდა. დღის შუქით განათებული სახელოსნოსა და აჩოჩქოლებული ქუჩების შემდეგ დედასთან ერთად სოფელში რომ ბრუნდებოდა, — დასახლებისთვის თვალის შევლება უჭირდა.

დაჟინებით აკვირდებოდა მოლივლივე პურის ყანას, ყურძნის მტევნებით დახუნძლულ ზვრებს და ცდილობდა, ისევე ცხადად განეცადა მათი მიმზიდველობა, რასაც სტუდიაში მიყვანამდე გრძნობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

•

ქალი მთელი კვირა შვილის გამოფენაზე ლაპარაკობდა. ხუთი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც თეონა პირველად მიიყვანეს სტუდიაში. მამა ხშირად ხედავდა გოგონას ეზოში მჯდომს, ფანქრითა და ქაღალდით ხელში. ყაყაჩოებითა და გვირილებით აბრიალებულ ველზეც ბევრჯერ მოუკრავს თვალი, როგორ იდგა მოლბერტთან და როგორ ავლებდა ხაზებს ფუნჯით. უხაროდა, რომ გოგონა აგრერიგად იყო ხატვით გართული. სიფხიზლეში ბევრჯერ უცდია მისთვის გამამხნევებელი სიტყვის თქმა, მაგრამ ეჩოთირებოდა, რადგან ეგონა, შვილს ისეთ ვერაფერს ეტყოდა, რაც სწორ გზაზე დააყენებდა, ან მაგალითად გამოადგებოდა, არადა, მშობლის უპირველეს მოვალეობად ეს მიაჩნდა და გოგონას აფორიაქებას, გაჩუმებას არჩევდა. მისი დუმილი კი ცოლს გულგრილობად ეჩვენებოდა.

ქალი მშობლის მოვალეობაზე ნართაული სიტყვებით მიანიშნებდა. ყველა მამა ხომ მამა არაა, ეუბნებოდა ვიღაცას ჭიშკართან. შემდეგ ყვებოდა, მშობლები თეონას ამხანაგებს როგორ მიაცილებდნენ სტუ-

დიაში, როგორ ზრუნავდნენ მათზე, ხოლო თეონას, ერთხელაც არ ხლებია მამა.

როგორ არ უნდოდა კაცს ამ სიტყვების მოსმენა, მაგრამ ვერსად გაექცა.

...კაცი ქალაქის ქუჩებში დაეხეტებოდა დილიდან. სახელოსნოში უნდოდა შეხედვა. უკან ეწეოდა რაღაც ძალა. ვერ გარკვეულიყო, რით იყო ეს ნაკარნახევი, ხუთი წლის შემდეგ პირველად რომ უნდა შესულიყო იქ და მისი ვინაობა უნდა გამქღავნებულიყო, თუ შვილის წარუმატებლობის შიშით.

რამდენჯერმე კრძალვით ჩაუარა სტუდიის შენობას. ხეტიალით რომ დაიქანცა, შესასვლელის შორიახლოს დადგა და ხალხის ნაკადის შემცირებას უცდიდა. დიდხანს იწრიალა. ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა და სტუდიისკენ მიმავალ სამ ქალს მიჰყვა.

კარებში არავის შეუჩერებია. წინ მიმავალთ საშუალო ტანის, პირმსუქანი კაცი შეეგება, ხალისით მიესალმა და შიდა კიბით მეორე სართულისკენ აუძღვა. ქალები გაცხოველებით ესაუბრებოდნენ, მაგრამ პირმსუქანმა დრო იხელთა და მისთვის თვალის შევლება მოასწრო. მერე ისევ მოსაუბრეთ მიუტრიალდა.

დარბაზში უამრავი ნამუშევარი იყო გამოფენილი. ტილოებს ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა. თეონას ნახატს თვალი ვერსად მოჰკრა. მეორედ დაუყვა ისევ, ამჯერად, ყოველი ნამუშევრის წინ საგულდაგულოდ ჩერდებოდა.

დარბაზის ბოლოს, სადაც როიალი იდგა, ტილოდან ვიღაცის ნაცნობი სახე შემოჰყურებდა.

ახალგაზრდა კაცი იყო. შავი თმა ჰქონდა, სწორი ცხვირი, ოდნავ გრძელი, თხელი სახე და წამობურცული, მშვიდი თვალები.

იდგა და პორტრეტს თვალს ვერ აცილებდა. ეს სახე რომელიღაც დიდი ხნის უნახავ ახლობელს აგონებდა. ერთმანეთში აერია აწმყო და წარსული. ფიქრში ხან რას გადასწვდა, ხან რას.

ფიქრს თავი რომ დააღწია, პორტრეტის თვალებმა მიიზიდა. რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. გამოუცდელი ხელით შესრულებული

ტილოდან ნიშნისმოგებით შემოსცქეროდნენ თვალები. მერე, უეცრად მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა. თითქოს ათასსანთლიანი იუპიტერები ჩაერთოთო, განათდა ირგვლივ და ტილოს ქვემოთ მიმაგრებულმა წარწერამ წამოიწია წინ.

ქალალდის ნაჭერზე მისი გვარი ეწერა და — „მამა“.

... „მამა...“, „მამა...“ — სასოებით დაიჩურჩულა. ისევ ახედა ნახატს. სახე უსაზღვრო სითბოს გამოსცემდა. ეს სითბო თეონას მისთვის მოეძღვნა.

„შეხედე ერთი!“ — გაიფიქრა და შვიდი-რვა წლის წინანდელი დღეები გაახსენდა. თეონა, დედის წინააღმდეგობის მიუხედავად, ბეკასთან ერთად, სათევზაოდ მიმავალს რომ აედევნებოდა.

კაცი მხარზე შეისვამდა გოგონას და მეგობრებს შორის მხიარული მასლაათით მიაბიჯებდა. წინ ყეფითა და ლაქუცით მიუძღოდათ ბეკა, რომელსაც ეგონა, სანადიროდ მივყევარო, მაგრამ მდინარეს რომ მიაღწევენენ, იმედგაცრუებული მიჩუმდებოდა.

თეონა თვალს ადევნებდა ანკესს, კაცების ხმადაბალ საუბარს უსმენდა. მის გვერდით დასკუპებული ბეკა ნაღვლიანი სახით გაჰყურებდა შორ მარჩხაფონს, რომლის მილმა სანახევროდ გაჩეხილი კოპიტნარი ილანდებოდა. ხოლო, როცა ვინმეს ანკესზე თევზი ასხმარტალდებოდა, გოგონას სიფრთხილე ავიწყდებოდა — მისი სიხარულის ყიჟინას ბეკას ხმამაღალი ყეფა უერთდებოდა.

შემდეგ გოგონა მდინარის პირას დარბოდა. ბეკა დასდევდა, მიეწეოდა, ზურგზე შეახტებოდა, მოულოდნელი შეხებით დამფრთხალი, თუ გახარებული, ხმამაღლა კიოდა. ძაღლი მის შეკივლებაზე უკან გაქანდებოდა, სილაზე გაკოტრიალდებოდა, წამოვარდებოდა და ისევ გაედევნებოდა.

კაცი გოგონასა და ბეკას თამაშს აღტაცებით თვალს ადევნებდა. ანკესს გადააგდებდა და თვითონაც აჰყვებოდა მათ.

მერე ველურ ყვავილებს კრეფდნენ. გოგონა ჭრელაჭრელა ყვავილებით მოირთვებოდა და შინისკენ მიმავალ გზას დაადგებოდნენ. თე-

ონა წვრილი, ნაზი ხმით მღეროდა. კაცი ხმადაბლა ეხმიანებოდა. ძალლი ანცურად დახტოდა მათ ირგვლივ და ჩირგვნარიდან შემთხვევით წამოფრთხიალებულ ფრინველებს ედიდგულებოდა.

„შეხედე ერთი!“ — გაიფიქრა კვლავ და ის პირმსუქანი კაციც დაიძრა მისკენ, რომელიც კარგა ხანს აკვირდებოდა უხეიროდ ჩაცმულ, მაღალ კაცს. რამდენიმეჯერ შენიშნა, როგორ შეეხო ტილოს და რა მონუსხულივით შეჰყურებდა, ახლა კი იღიმება, გაძვალტყავებულ ხელებს იქნევს და თავისთვის ლაპარაკობს.

„უნდა მივიდე და შევახსენო, ეს მუზეუმი არაა, მაგრამ ბავშვების ნახატებსაც სჭირდება გაფრთხილება!..“ — ფიქრობდა იგი.

ტილოსთან მდგომი ფეხის ხმაზე მიბრუნდა. პირმსუქანი შედგა და ყურადღებით შეათვალიერა. მოულოდნელობისგან გაშრა. სად იყო ის კაცი, რომელიც დარბაზში შემოსვლისას დუნედ ადგამდა ნაბიჯებს და ყოველ შემხვედრს თვალს არიდებდა. მის წინ სულ სხვა პიროვნება იდგა თხემით — ტერფამდე.

ძალაუნებურად, მზერა თეონას ნახატისკენ გაექცა. მერე ისევ ტილოსთან მდგომს დააცქერდა. პორტრეტზე გამოსახული ახალგაზრდის თვალებსა და მის გამოხედვაში დაუჯერებელ მსგავსებას წააწყდა.

რაღაცის თქმა დააპირა, ოღონდ ისე დაიბნა, არ უწყოდა, რა იქნებოდა ეს — გაოცების სიტყვა, ქათინაური თუ უბრალოდ, მისალმება. ტილოსთან მდგომმა გონს მოსვლა არ დააცალა, გაბრწყინებული თვალები შეანათა, გაუღიმა, შეტრიალდა და ფართო ნაბიჯებით გასასვლელისკენ გაემართა.

პირმსუქანმა ისევ ახედა ტილოს და გაოცებულს, მიმავალის ლაღი მიმოხვრა და აღგზნებული მზერა წარმოუდგა.

გადანახულება

— ვითომ სხვაგან იყავით და შემთხვევით შემოგვიარეთ, შეავლე იმ გოგოს თვალი, თუ მოგეწონება, ჩემზე იყოს, თუ არა და ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — ეპუტუნებოდა ცალთვალა ისიდორე შეფიქრიანებულ ვალიკოს.

— ვინ დაგიჯერებს, შე კაცო, მაგას, რავა ყრუობა კი აღარაა ახლა, იმას იქით მამალი არ ყივის და აბა, სად მამიჩემის მამასთან მიდიოდით, თუ ჩემთან არაო, არ იფიქრებენ? — ყოყმანობდა ვალიკო.

— კაცო, ჩემი საქმე მე ვიცი, მთავარია თქვენ ჩამოპრძანდეთ, ისე მოვაწყობ ყველაფერს, გაგეხარდებათ, — არ ეშვებოდა ისიდორე.

— ვეცდები, — თქვა ბევრი ფიქრის შემდეგ ვალიკომ.

— საცდელი და საჭოჭმანო რა არის აქ?! წამოიყვანე, ვინც შენ გაგეხარდება, ფეხი არ დაგისველდება ახლა, ისეთი გზა მოდის ჩვენამდე.

— ოღონდ, იცოდე, მხოლოდ შენს ოჯახში, — როგორც იქნა, დაყაბულდა ვალიკო, — ისე შემომიჩნდა, ნამდვილად დამღუპავს ეს ოჯახაშენებულიო, — გაიფიქრა და წასასვლელად მომზადებული, კმაყოფილი ისიდორე ერთხელ კიდევ გააფრთხილა: — თუ ძმა ხარ, არავინ გაიგოს, თავი მომეჭრება. რაღა დროს ჩემი ქალის თხოვაა.

— ნუ გეფიქრება, შენ-თქვა, გითხარი წეღან, მაგისანები მეშლება მეე? შაბათს გელით, — ხელი ჩამოართვა ისიდორემ გაორჭოფებულ ვალიკოს, მერე, ვითომ თვალს ჩავუკრავო, ის მეორეც მოხუჭა და ფეხზე მძინარს დაემსგავსა.

●

— წავუქეიფოთ ერთი, შაქროია, ამ შაბათს, სოფელში, — გადაუჩურჩულა პროფკავშირების კრებაზე ვალიკომ მეგობარს.

— შაბათს ვანიჩქას მამის დაკრძალვაზე უნდა ვიყო მე, — ცივი უარი სტკიცა შაქროიამ.

— არ მეუდროება, იქედან გავიაროთ, ქეიფი საღამოსაა კარგი, — შეაგულიანა ვალიკომ.

— კვირას რომ წავსულიყავით, ვითომ რა იქნებოდა? — გაიკვირვა შაქროიამ.

— კვირას რა გვინდა, შე კაცო.

— დაპატიჟებული ხარ?

— არა, ისე... ნათესავები მყავს, გაეხარდებათ.

— ვითომ მაინცდამაინც შაბათს გაეხარდებათ და კვირას ეწყინებათ? — გაიკვირვა შაქროიამ. მერე პროფკავშირების თავმჯდომარის გადმოძახილი, — ემანდ, რა ხმაურიაო, — ერთი ყურიდან მეორეში გაატარა და ჩურჩულითვე დაეთანხმა: —კაი, მაშინ, რაღაი შენ გინდა...

●

ეკლის ბურდზე ატოტინებული თხა მანქანის სიგნალმა დააფრთხო, იშვირა ფეხი, ისკუპა, ბურდს გადაევლო და პეტელით აიკლო შუკა.

მანქანიდან გადმოლაგებულ, ტანსაცმელდაჭმუჭვნილ სტუმრებს ლიმილით მიეგება ისიდორე, — აქეთ, აქეთ მობრძანდითო, — შეიპატიჟა მწვანე მოლით ახასხასებულ ეზოში.

თუ კაცი ხარ, არ დაგვაღალატო, თორმეტ საათზე მოგვაკითხე, — ურიგდებოდა შაქროია „პობედის“ მძღოლს, ჯიბეში ხელი ჩავყო და ყოყმანობდა, ბე რომ მივცე, შეიძლება კი დაეზაროს ამ დასაკარგავში ამობრუნება და უყარე მერე კაკალიო.

მძღოლი — ჩაკურატკბული, ლოყებლაჟღაჟა ბიჭი, არ ჩქარობდა მანქანიდან გადმოსულიყო, ირგვლივ უვლიდა, საბურავებს ფეხის მირტყმით ამოწმებდა და იპურჭყებოდა.

— დარჩეს მაგ კაი დედმამიშვილი ჩვენთან, რა უნდა იშოვოს ახლა იმდენი, რომ... — ჩაეჭრა საუბარში ისიდორე.

მძღოლი ერთგულად განაგრძობდა თავის საქმეს.

— თუ გვიკადრებ, ბატონო, სხვისას არაფერზე გევიქცევი, — მიეხალისა ისიდორე.

მძღოლმა საბარგული ახადა მანქანას, შეათვალიერა და ხმაურით დახურა ისევ.

— სიმართლე გითხრათ, კი მეზარება ამ ყიამეთში იქედან მარტო სიარული, — განაცხადა იაშამ და ოქროს კბილებით ნათელი მოჰფინა იქაურობას.

— აგაშენა ღმერთმა, — გაეხარდა ყველას.

— აბა, ნულარ ვცდებით, დანარჩენზე იქ ვისაუბროთ, — ჭიშკარში შეუძღვა სტუმრებს ისიდორე.

— რავა გადასხვაფერებულა ყველაფერი, ისიდორე ბიძია, შენ ხის აივნიანი სახლი არ გედგა? — გაიკვირვა ვალიკომ, როცა ვეება, თეთრი ქვით ნაშენები, ვერანდებით დამშვენებულ სასახლეს შეავლო თვალი. ისიდორემ, ვითომ ვერ გავიგონეო, წაუყრუა, კისერი წაიგრძელა და რიხით გასძახა ვიღაცას: — გამოგვხედეთ, ბატონო, თუ შეიძლებოდეს, მოიცალეთ ჩვენთვის!

ვერანდაზე პიჟამოში გამოწყობილი ჭარმაგი მამაკაცი გადმოდგა, შუბლი მოიჩრდილა, — მობრძანდით, სტუმარი ღვთისაააო! — დასჭექა და თავქვე დაეშვა.

— დეევიღუპე, ნამდვილად, სხვაგან მიმიყვანა ამ შეჩვენებულმა, — გაიფიქრა ვალიკომ, ფერმა გადაკრა, დაბნეული, მორცხვად მიესალმა აქლოშინებულ მასპინძელს.

— დიმიტრი, ბატონო! — ხელი მაგრად ჩამოართვა ჭარმაგმა კაცმა. გამოეფინა ჯალაბი, მოიკითხეს ერთმანეთი, ვერანდაზე მიიწვია

დიმიტრიმ სტუმრები, ნარდი გამოახრიგინა მეზობლის თავხოტორა ბიჭმა, ცოტა ხანს თავი შეიქციეთ და მალე ყველაფერი იქნებაო, — დაიმედა სტუმრები თავსაფარწაყლონჭილმა დიასახლისმა და გაუჩინარდა.

კმაყოფილი იყო შაქროია, — ა, კაცო, თუ ხარ, ასე უნდა იყო. სოფელში ხარ? სოფელში იყავი და კაცურად, ქალაქში გნებავს? ფხა გამოიჩინე.

— გაჩერდი ერთი, თუ კაცი ხარ, გლახა არსად არ ვარგა, — ქირქილებდა ისიდორე.

— იმ საწნახელს შეხედე შენ და დანარჩენზე მერე მელაპარაკე, ახლა იქით მიიხედე, ხედავ, კაცო? ფუტკარიც ყოლიათ და მერე რამდენი. — აღფრთოვანებას ვეღარ მალავდა იაშა, თან ცალი თვალი „პობედისკენ" ეჭირა, ბავშვებმა სარკეები არ მომიხსნანო.

— ეგ ჩემი თანაკურსელია, ჩვენ ერთად ვმუშაობთ, ესენი მეზობლებია და კარგი ხალხი, — გააცნო ვალიკომ, უკვე მოშინაურებული სტუმრები, ჯოხზე დაყრდნობილ ოჯახის პაპას.

— კაია, შვილო, კაი, რომ გაგვახარეთ, გეიღვიძა კედელ-ყურემ, ასე უნდა, აბა, — აჩიფჩიფდა მოხუცი, თან აკანკალებული ხელებით ჩიბუხს დაუწყო გაწყობა.

როგორც იქნა, დაიხელთა ვალიკომ ისიდორე; იქვე, მოფარებულში გაიყვანა და — მეც შენისთანა ვარ, რომ დაგიჯერეო, — ებუზღუნებოდა.

— კარგი ახლა, კაცო, კარგი, თუ არა... — გაბრაზდა ამდენი ლანძღვა-გინების შემდეგ ისიდორე.

— თუ არა, რაი, ვითომ? — შეაგება წამოჭარხალებულმა ვალიკომ.

— რაი და გადაგიყვან შენი სტუმრებიანად ჩემსას და პრასის მწნილზე და ორი წლის გადაუღებელ ღვინოზე გამღერებ დილამდი ვარიგარალეს.

— ასე არ ჯობდა მერე? რა ვქნა ახლა მე. მარტოხელა კაცი ვარ-

თქო, ვიტყოდი, მოხმარებას ვინ დაგამადლიდა, დოუქახებდი იმ გოგოს და... — ჭუჭყუნებდა ვალიკო.

—ჩვენს შორის სასიძო რომელია, იმას მაინც ნუ გაამხელ, — შეეხვეწა ბოლოს ისიდორეს.

— კარგი, ბატონო, თავად თუ ეგრე გსურს... — ჩაიღურღულა ხასიათმოჟამულმა ისიდორემ.

მეექვსე ხელ ნარდს იგებდა იაშა, ყურებჩამოყრილ შაქროიას, — კარი მაინც აიღეო, — ასწავლიდა და დანარჩენებს თვალს უკრავდა, ამასაც მალე მოგიჯენთ გვერდითო.

— ფულზე ვითამაშოთ და მაშინ ვნახოთ, — წაიტრაბახა ვალიკომ, ჯიბიდან ხუთმანეთიანების დასტა ამოიღო და თვალებგაბრწყინებულ იაშას ცხვირწინ აუფრიალა.

— ნაძლევზე და ფულზე ყოველთვის ვაგებ, — გაინაზა იაშა. მერე, ვითომ იხტიბარი არ გაიტეხა, რაც არის, არისო, თავისი დაჭმუჭვნილი ხუთმანეთიანი ვალიკოსას ამოუდო და გაახურეს.

— აღარ შეიწვა ამდენ ხანს ი ი გოჭი? — გადაუჩურჩულა ცოტა ხნის შემდეგ ნირწამხდარმა ვალიკომ შაქროიას, როცა იაშამ მისი უკანასკნელი გროშებიც მიითვალა, თან თვალით ისიდორეს დაუწყო ძებნა.

ისიდორე ოთახში მასპინძლებს შორის ჩამდგარიყო, ტუჩზე თითი მიედო და ჩურჩულებდა:

— ვითომ არაფერი იცოდით, ისე, შემთხვევით მოხდა ყველაფერი, გაშლილი სუფრა რომ დაგვეხვედრებია, ყველაფერს მიგვიხვდებოდნენ. ასე სჯობია, ახლა სულ სხვაფრივ იფიქრებენ, ის გალიგვებული გოჭიც შეაცხელე, დანარჩენი მე ვიცი.

— კი, ბატონო, როგორც შენ იტყვი, — თავს უკატუნებდა დიმიტრი.

— მაგი მეშლება ამ დროულ კაცს? ვინცობისაა, რომ რამე მოხდეს, ან აქედან, ან იქედან, ვერ შევეწყოთ, რატომ უნდა გავაგებიოთ სხვას ჩვენი სიგლახე, მე შენ გეტყვი და...

უკვე წამოშლილიყვნენ სტუმრები. დიმიტრის ქალიშვილი წყლია-

ნი თუნგით ეზოში იდგა და იაშას ხელებს აბანიებდა. იაშა რაღაცას ეკურკურებოდა გოგოს. ისიც თავჩაღუნული, მორცხვად იღიმოდა. მერე იაშამ ხელსახოცი ჩამოართვა და თავი დაუკრა.

●

ჩიტის რძე არ აკლდა სუფრას. ცოტა რომ წაიხემსეს, თამადა ავირჩიოთო, — განაცხადა მოხუცმა.

— ოჯახის უფროსი, ბატონო, მაგას ძებნა უნდა? — დააყარეს აქეთ-იქიდან.

— ჩემი თავი შემოგევლოთ, მაგრამ წნევა მიწევს, — მოუბოდიშა დიმიტრიმ, სავსე ჭიქა აიღო, — შენ უნდა გვცე პატივიო, — ბესარიონს ჩაუღიმილა.

— გადაირია ჩემი მტერი? — გაცხარდა ბესარიონი. — ქვეყანა ჩალითაა დახურული თუ რაი, სტუმრებმა თქვენ და ჩვენ გევიგონებთ.

შაქროიამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ერთი შვიდი ჭიქა იქაც გადავხუხე გასვენებაში, ბოლოს მიწევსო. დანარჩენებმა, — ოჯახში პირველად ვართ და რავა ვიკადრებთო. ვალიკო ბეჭებში აიწურა, რა ექნა, აღარ იცოდა. იაშამ იხსნა — ჯანდაბას ჩემი თავი! — განაცხადა და პირდაპირ შეუდგა საქმეს.

— ა, ბატონო, კაცი, — შეათამამა იაშა მოხუცმა.

— მთლად უცხვირპირო არ ყოფილა ეს ოჯახდაქცეული? — ჩურჩულებდნენ სტუმრები.

ტანდაბალი გოგო იყო საპატარძლო, ლოყაწითელი, აბრიალებდა შავ თვალებს, შემოქონდა ცხელი ხაჭაპურები და — უკაცრავად, ცოტა უნდა შეგაწუხოთო, — ხან ერთს მოუხდიდა ბოდიშს, ხან მეორეს.

— „შეგვაწუხე, გენაცვალე, შეგვაწუხე“, — თვალებით ესიყვარულებოდა იაშა.

„სიდაბლე ჯანდაბას, არც მე ვარ ყარამან ყანთელი, მაგრამ ერთწლიანი საბუღალტრო მაინც ქონდეს დამთავრებული“, — წონიდა თავის საქმეს ვალიკო.

— ბედნიერი ფეხი მაქვს მე და ბედნიერება შემომეტანოს ამ გადახურულში, — თაფლად იღვრებოდა ეშხში შესული თამადა, თან თვალი კარისკენ გაურბოდა — „ის“ როდის შემოაქრიალდებაო.

— დავრჩენილვართ ამაღამ წაუსვლელი და ისაა, — ვეღარ მოითმინა მეტი ვალიკოს მეზობელმა — უშვილძიროდ დაბერებულმა მინაგომ, როცა იაშამ განსხვავებული სასმისი მოითხოვა.

— ცხენი გაჭენდება ჩვენს ოთახებში, რავა კადრულობ, ბატონო, მაგას, — დაანამუსა ოჯახის დიასახლისმა.

— ბურჭულაძეები ვართ, ბატონო, ჩვენ, — ფეხზე წამოდგა მოხუცი, — გვარით მაინცდამაინც კი ვერ დავიტრაბახებთ, მაგრამ გემახსოვრებათ, ალბათ, იპოლიტე ბურჭულაძე, ექვსი კაცი რომ გააგორა წყალტუბოში.

სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს, ასეთი არავინ გაგვიგონიაო.

— ვინ იყო, ბიძიკო, ამნაირი დევგმირი, — მიუბრუნდა იაშა მოხუცს, თან თავისთვის გაიფიქრა, — კამეჩი ყოფილა ეს უპატრონოო.

— ძმისშვილი იყო ჩემი, ეგერაა მაგის სურათი.

ხის ჩარჩოში ჩაკირულ, გაყვითლებულ სურათიდან, ერთი ჩვეულებრივი, ღიღატუა ბიჭი უღიმოდათ.

— ეს ყველაფერი მკლავით მოახერხა? — დაინტერესდა ვალიკო.

— თვითმცლელზე იჯდა, იმ დღეს ცოტა გადაუკრავს და...

— მაშასადამე, მანქანით... დაღუპულა... — შეიცოდა შაქროიამ.

— ძნელი პროფესია გვაქვს, ამავე დროს ვაკაცური, — თავი მოიწონა იაშამ.

— ეშმაკის მოგონილია მაგ ოხერი, რომ ჩაჯდები, სხვანაირი სიამაყით გიცემს გული. მე რომ მე ვარ, ხომ ამ ხნის მოვიყარე, მაგრამ სულ სხვა გრძნობა მეუფლება, შიგ რომ ჩამასკუპებენ, — თავისი ხასიათი გაამჟღავნა მოხუცმა.

— ზიხარ შენთვის, მოინდომებ, სტამბოლში ჩახვალ, — წამოეხმარა შაქროია.

— ამაღამ თუ წავალთ, სტამბოლის რა მოგახსენო და საიქიო გა-

ნაღდებული გვაქვს, — გადაიხარხარა მინაგომ, თან საათზე დაიხედა, მთქნარებით უდროობა დაამოწმა და ინდაურის ბარკალი დაითრია.

თამადამ სიმღერა წამოიწყო, სხვებიც აჰყვნენ. ვალიკო იკავებდა თავს, რა ვქნაო, ფიქრობდა. ვერ გადაეწყვიტა, „ჰო“ ენიშნებინა, თუ „არა“. თვალებში მოციცინებულ ისიდორესათვის. ამასობაში თამადამ ცეკვა გააჩაღა, კოტიტა ხელები ჰერისაკენ შემართა. აბა, ტაშიო, — იქუხა და საპატარძლო გამოიცეკვა.

„ცეკვა გვარიანი ცოდნია, წიგნისთვისაც რომ მოეცალა ცოტა და რაიმე პროფესია მიეღო“... — ფიქრობდა ვალიკო, სახეაფოროეებულ გოგოს მუშტრის თვალით ათვალიერებდა, თან იბოღმებოდა, ეს შარახვეტია შოფერი რას გადამეკიდა, რა ცეკვა-თამაში აუტყდაო.

— ლხინისთვის გაუჩენიხარ უფალს, — შეაქო იაშა მოხუცმა, როცა აქლოშინებულმა, დაცვარული შუბლი, ჭრელი ცხვირსახოცით მოიწმინდა და ყანწი მოითხოვა.

— ამით ჩვენს ოჯახში, პირველად სამშობლოს სადღეგრძელო ისმება, — განაცხადა ოჯახის უფროსმა და წყვილად ჯიხვის რქა თამადას ჩააბარა.

— შევეწირებით, ბატონო! — იყვირა ყანწის სიდიდით შეშინებულმა შაქროიამ.

— უნდა შევეწიროთ სამშობლოს, აბა, რავა გინდათ თქვენ?! — გაიბერა იაშა. კართან ატუზულ საპატარძლოს გამარჯვებული კაცის იერით გახედა და მერე ყანწი ვალიკოს გაუგზავნა, — აბა, მიხედეო.

ცოტა ხნის შემდეგ ბრძოლის ველს დაემსგავსა იქაურობა. ოჯახის უფროსმა დიასახლისი იხმო, სველი პირსახოცი მოიტანეს და საცივიან თეფშში ცხვირ-პირ ჩამხობილ ვალიკოს სახე მოუმშრალეს. შაქროიას ჩეჩმაში ჩასძინებოდა. მინაგოს და მის ძმას თავები მიეტყუპებინათ და გემრიელად ფშვინავდნენ. მარტო იაშა აკვროდა კედელს უჯაროდ დარჩენილ გენერალივით, — რა დროს მიღალატესო, — ქირქილებდა და მაგიდაზე ჩამოძინებულ ისიდორეს უჯლიქვებდა.

შაქროიაც რომ დაბან-დარეცხეს და ჯახირით წაასვენეს, იაშამ

ოჯახის უფროსი დაიმარტოხელა, გვერდით ოთახში გაიხმო და დიდ-ხანს იყვნენ შეკეტილები.

— კი, ჩემო ბატონო, მაგრამ დედასაც ხომ უნდა ვკითხოთ, — ბოლოს როგორც იქნა დაეთანხმა იაშას დიმიტრი. — ბაბუცა! მოდი ცოტა ხანს, შე ქალო, — გასძახა ცოლს და ახლა იმათ იპუტუნეს დიდ-ხანს თავისთვის.

„შეიძლება თვალმა გიღალატოს, ერთი შეხედვით კი მოტყვილდე კაცი, კიდევ გადავხედავ საქმეს, შორიდან გევიკითხავ, დავუკვირდე-ბი, თუ გადავწყვიტე, დედაჩემსაც შევუთვლი, იმ თვეში შვებულებას ავიღებ და...“ — ფიქრობდა გაორჭოფებული ვალიკო მანქანაში.

შაქროიას კისერი მოეღრიცა, რომელიღაც უხამს ანეკდოტს მონ-დომებით ყვებოდა, დანარჩენები სიცილით იგუდებოდნენ. მარტო იაშა გამოთიშოდა ყველაფერს, რაც შეეძლო გაზის პედალს აწვებოდა, ერთი სული ჰქონდა როდის ჩააღწევდა ქალაქამდე.

●

კვირა დილით ლურჯი „პობედა“ მიადგა ბურჭულაძეების ჭიშ-კარს. საგანგებოდ გამოწკეპილმა იაშამ, ხომ არ ამომცვენიაო, კიდევ ერთხელ მოისინჯა ჯიბეებში სანიშნედ წამოღებული ბეჭდები, მან-ქანის სარკეში ჩაიხედა და თავისი მოკლე ფეხებით მარდად შეკვინ-ტრიშდა მწვანედ ახასხასებულ ეზოში.

სასჯელი

შუაღამე გადასული იყო, როცა ინდიკო საკანდელიძე და მისი ცოლი ზარის გაბმულმა წკრიალმა გამოაღვიძა.

ორივენი საწოლზე წამოჯდნენ და მწუხარე სახით ერთმანეთს კარგა ხანს შესცქეროდნენ.

— ენახავ ერთი, ვინაა, — ინდიკო ხალათს დაწვდა და ფეხებით ფლოსტებს დაუწყო ძებნა.

— რა ნახვა უნდა, ელდარი იქნება. ზარზე ეტყობა, მთვრალია, გახეთქილი. რა ვქნათ? — ცოლს გაბზარული, ათრთოლებული ხმა ჰქონდა. ინდიკო მალე მობრუნდა, საწოლზე დაეშვა, კისერი მოიფხანა და დაამთქნარა.

— ელდარია. რა ვქნათ?

— ხომ გითხარი, აწი მაგას ვერ მოვიშორებთ-მეთქი. მაინც ყველაფერი უნაირო იცი. ლოთის შემოჩვევა შენ პატარა საქმე გგონია? რომ დაუჯდები და „ჩემო ელდარ, ჩემო ელდარო“ სადღეგრძელოებს გაუბამ, ე, უგე ახლა პასუხი.

— ნუ გააბი, ქალო, ჭრიჭინასავით. რა ვქნათ, მითხარი!

ზარი არ ცხრებოდა. სტუმარს ღილაკისთვის თითი მიეჭირებინა და ვინ იცის, იქნებ თვლემდა კიდეც.

— გავალ მე და ვეტყვი, შინ არ არის-მეთქი, — გამოსავალი იპოვა ცოლმა.

— მოიცა, ქალო, აბა, სად ვიქნები ამ შუაღამისას. უხერხულია.

— უხერხულობა რომ ესმოდეს მაგას, ღამის სამ საათზე ხალხის შეწუხება არ გამიგია მე! — ქალი უკვე ჰოლში მიაბიჯებდა.

— ვინ ბრძანდებით?

— ელდარი ვარ, ქიქოძე, — უპასუხა გვარიანად შეზარხოშებული კაცის ჩახრინწულმა ხმამ.

— რაშია, ელდარ, საქმე? — ინდიკოს მეუღლე კარის გაღებას არ აპირებდა.

— გამიღეთ ერთ წუთას. საქმე მაქვს.

ინდიკომ გასაღების ხმა რომ გაიგონა, გული შეუქანდა და საბანი თავზე წაიფარა.

— ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, ასე გვიან შეწუხებისათვის, მთვრალი ვარ. ინდიკო მინდოდა, ჩემი ძმაკაცი! — ეს უკანასკნელი სიტყვა ელდარ ქიქოძემ ლოთისთვის დამახასიათებელი სილბოთი და სიყვარულით წარმოთქვა.

— რა დროს ინდიკოა ამ შუაღამეზე, ელდარ ბატონო? — ცოლი ღია კარში იდგა და სტუმრის შეპატიჟებას არც კი აპირებდა.

— არ გეწყინოთ, ქალბატონო. ლუკმა არაფერი მინდა. ცოტა შევთვერი და ინდიკოსთან ლაპარაკი მომენატრა, ჩემს ძმაკაცთან.

— არაა ინდიკო სახლში, — ინდიკოს მეუღლეს ცივი, კატეგორიული ხმა ჰქონდა.

— აუჰ, — ელდარი კედელს მიეყრდნო და ნუშისფრად აღუებულ შუბლ-ცხვირზე ხელი მძიმედ, საფუძვლიანად ჩამოისვა.

— მივლინებაში აფრინეს სასწრაფოდ. ამ თვეში არ იქნება.

— ეს რა მითხარი?! — სტუმარმა ისე შეიცხადა „ძმაკაცის მივლინებაში წასვლა", თითქოს რაღაც დიდი უბედურება დაატყდაო თავს, — არაფერი დაუბარებია?

— რაზე?

— ჩემზე არაფერი უთქვამს?

— არაფერი? გინდოდათ რამე? — შეწუხდა ქალი.

— არა, ისე, ხომ არაფერი დაუბარებია-თქვა. წავალ აბა, კარგად... სულ კარგად...

ელდარი ისეთი მთვრალი გახლდათ, რომ ლიფტის ღილაკს სამჯერ ააცილა ცერა თითი.

— წავიდა? — შეთქმულის ხმით ჰკითხა ქმარმა ცოლს.

ქალმა თავი დაუქნია, ხალათი სკამზე გადაკიდა და საწოლზე ზურგით დაეშვა.

— შემეცოდა, ხომ იცი, საწყალი. ფეხზე ძლივს იდგა.

— ასე არ უნდა დათვრეს ადამიანისშვილი.

— გაუბედურდა. მაინც ნამეტანი წავიდა ხელიდან.

— სად წავა. ვის მიადგება ამაღამ ნეტავი კარზე?

— იხეტიალებს ქუჩაში, ალბათ. თემქაში წამსვლელი ეგ არ არის ამაღამ.

— თემქაში რა უნდა? — ქმარმა საბანი გვერდებში ამოიგო და ჭერს მიაჩერდა.

— თემქაში ცხოვრობსო, ასე არ თქვი?

— თემქაში მაგისი ცოლ-შვილი ცხოვრობს. იმ ამბის მერე ცოლი შინ უშვებს კი არა, ბავშვებს თვალით არ ანახვებს. გაფრთხილებული ჰყავს თურმე სკოლა, რომ გამოჩნდეს ელდარი და ბავშვების ნახვა მოიწადინოს, იმ წუთშივე მილიციას აცნობეთო.

— ისე, თავის მხრივ, მართალია ის ქალიც.

— ელდარს ვკითხე და, — ინდიკოს გაეცინა, — მოიგონეს მტრებმაო. რა ჩანგალი, რისი ჩანგალი. ასე მიცნობ შენო? რა ვიცი. იქნებ მართლა მოუგონეს.

— რა მტერი ჰყავს ელდარს ამისთანა?

— ცოლმა მოუგონაო, ამბობენ.

— ასეა თუ ისე, საცოდავი კია და...

— საცოდავი როგორ არ არის. ასე უპატრონობით და მოუვლელობით სულ წავა ადამიანისშვილი ხელიდან.

მოკლედ რომ ვთქვათ, ცოლ-ქმარი საკანდელიძეები კარგა ხანს საუბრობდნენ. იმათ ასაკში გატეხილი ძილის გაგრძელება იოლი საქმე როდი გახლავთ.

უდროო დროს, დაუპატიჟებლად მოსვლას იმერეთში წაყუდებას ეძახიან. ელდარის პირველი წაყუდება რომ ყოფილიყო, მასპინძელთა

საქციელს საძრახისად ჩავთვლიდით, მაგრამ ქიქოძე ამ კვირაში მეოთხედ აწუხებდა საკანდელიძეებს და თანაც ნაშუაღამევს. ძალიან უნდა გიყვარდეს კაცი, რომ ნაშუაღამევს მთვრალს კარი გაუღო და მისი გაუთავებელი ლუღლუღი ისმინო უძილობით გაბურბუსალებულმა. ელდარ ქიქოძემ კი, ღმერთო შეგცოდე და, არც სიფხიზლეში იცოდა მაინცდამაინც დაწყობილი ლაპარაკი.

მეორე დღეს სამსახურში მიმავალ ინდიკოს ნელი სინაურიძე წამოეწია და მკლავზე წააფრინდა.

— აქ ხარ, თბილისში ხარ, შენ, ინდიკო?

ნელი მარტოხელა დედა გახლდათ. თავისი ერთადერთი თორმეტი წლის გოგონათი ინდიკოს მეზობლად ცხოვრობდა. მის ქმარს დასასვენებელ სახლში გაეცნო ქალი, შეყვარებოდა და ომსკში გაყოლოდა. ნელი რომელიღაც სკოლაში ბიბლიოთეკარად მუშაობდა. სულ ეს იყო, რაც ინდიკომ სინაურიძის ქალზე იცოდა და არცთუ დიდი მიმოსვლა და მეზობლობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ამიტომაც, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა კიდეც ქალბატონი ნელის ასეთი წათამამება.

— აბა, სად უნდა ვიყო? — კითხვა შეუბრუნა ინდიკომ.

— წუხელის შინ გეძინა? — ნელი ეშმაკურად იღიმებოდა.

— კი? რავა, რა იყო?

— აგაშენა ღმერთმა. შენ სახლში ხარ და შენი სტუმრები ჩემთან ათევენ ღამეს? — ნელიმ გულიანად რომ გადაიკისკისა, ინდიკომ უკვე იცოდა ვის ეხებოდა საუბარი, მაგრამ დროის მოსაგებად მაინც იუცხოვა.

— რა სტუმარი, ვინ სტუმარი?

— წუხელის, ასე სამი იქნებოდა, დამიკაკუნა ვიღაცამ, — სხაპასხუპით გააბა ნელიმ, — წამოვცვივდით მე და ჩემი გოგო გულგახეთქილები. ხომ იცით, უკაცო ოჯახი. ხანდახან ჩიტის ფრთხიალიც გვაშინებს. გავიჭვრიტე. ვიღაცა, ასე თქვენი ხნის, ორმოცამდე იქნება, სიმპათიური მამაკაცი დგას კართან. ეტყობა მთვრალია, ვინ გნებავთ მეთქი, კარის გაუღებლად ვკითხე. არასოდეს დამავიწყდება მისი მუ-

დარით სავსე ხმა — ქალბატონო, ინდიკო საკანდელიძის მეგობარი ვარ, არ ვარ ცუდი კაცი, მთვრალი ვარ, შორს ვცხოვრობ აქედან, ინდიკოსანები შინ არ არიან, გავიყინე სიცივით, ქენით მადლი და გამიღეთ კარიო. თქვენი სახელი რომ მიხსენა და თანაც ვხედავ, მთვრალია აშკარად, კარს როგორ არ გავუღებდი. კარგი შინაურივით პლაში გაიხადა, ხელი დაიბანა, სარკეში თმა დაივარცხნა და მერე ჩამოგვართვა დედა-შვილს ხელი. გამოვუტანე, რაც მქონდა. რა მექნებოდა ახლა მე. უკაცო ოჯახი ხომ იცით. რა კაცი, რა ადამიანი, ინდიკო ბატონო. თქვენ ცუდი მეგობარი როგორ გეყოლებოდათ, მაგრამ ეგ ელდარი, რა გვარი ვარო? ქიქოძე, ხო ქიქოძე. ნამდვილად ღვთის კაციო რომ იტყვიან, ის არის. რა სიტყვები გვითხრა, რა სადღეგრძელოები. რა ამბები მოგვიყვა. ამნაირი სუფთა გულის კაცი მე არ მინახავს. წარამარა ბოდიშს იხდიდა, მთვრალი ვარ და გაწუხებთო, მაგრამ რა ჰქონდა საბოდიშო? ბოდიში ჩვენ გვეკუთვნოდა, ისე რომ ვერ დავუხვდით, როგორც ეკადრებოდა. დედა-შვილი პირდაღებული ვუსმენდით მთელი ღამე. ისე შემოგვათენდა, არ გაგვიგია. ახლა წავიდა ა, ერთი საათიც არ იქნება. გვიამბო ყველაფერი თავისი გასაჭირი. აბა, ამნაირ კაცს რომ ვერ გაუგებს და პატივს არ სცემს, ქალია იის? როგორი გულდაწყვეტილი, როგორი დანაღვლიანებულია თავისი მდგომარეობის გამო. ღვინო კი არ მიყვარს, მაგრამ დარდის გამო ვსვამო. რანაირად გინდა გულჯავრიანმა გაათენო ამხელა ღამეო. ჩემი სიავის არ იყოს, მაგას ადამიანი არ უნდა შეხვედროდა ცხოვრებაში? ან რა სადღეგრძელოები სცოდნია. მე შენ გეტყვი, შეეშალა რამე, კაცი რომ გადაეჭარბებს ხანდახან. თვალებს რომ დაგიწყობს და ღლიცინს რომ დაგიწყებს. უბატონოდ ერთი სიტყვა. სულ თქვენობით და ბოდიშობით გველაპარაკებოდა. მერე რანაირი დახვეწილი მანერები, რა ღირსეულად ეჭირა თავი. თქვენც რანაირად ყვარებიხართ. ხომ იცნობთ ინდიკოსო. როგორ არ ვიცნობ-მეთქი. ინდიკო არ იცით თქვენ რა კაციაო. კაცი კი არა, ანგელოსია ნამდვილიო. ინდიკოს ფასი მისმა ცოლმაც კი არ იცისო. მაგის მეტი კაცი პატრონი არ

მყავს ამ ქვეყანაზეო. ინდიკო რომ არ მიმართავდეს ხელს, სულ დავიკარგებოდიო. მშიერი კი არავინ კვდება დღეს, მაგრამ ინდიკოსთან საუბარი მამშვიდებს და შალამაზებსო. მთელი დღე წელგამართული დავდივარ მერე და ამ ქვეყანას სხვა თვალით ვუყურებო. აფერუმ, თქვენს ვაჟკაცობას, ბატონო ინდიკო; ასე უნდა აბა რა. ორჯერ გაიმეორა წუხელის თქვენი და თქვენი ოჯახის სადღეგრძელო.

ინდიკო ყურადღებით უსმენდა სინაურიძის ქალს და როგორც კი დრო იხელთა, შეშფოთებულმა გააწყვეტინა.

— საით წავიდა? არაფერი დაუბარებია?

— რაზე?

— ჩემზე არაფერი უთქვამს? სად მივდივარო? წუხელის ნათლიმამასთან ვიყავით სტუმრად და ღამე, როგორც იღბლად, იქ დავრჩით. რომ მცოდნოდა მოვიდოდა, ფეხს გადავადგამდი სადმე? როდის მოვალო, ხომ არ უთქვამს?

— არაფერი დაუბარებია, — ნელი ქუჩას გასცქეროდა და ცდილობდა ზუსტად აღედგინა ღამეული სტუმრის გაცილების სურათი, — დილით ცხელი ჩაი გამოვუწყვე. არ დალია, ჩაი არ მიყვარსო. არც კონიაკს დააკარა პირი. სახეზე ცივი წყალი შეისხა და კიდევ ერთხელ მოგვიხადა ბოდიში. კიბეზე რომ ჩადიოდა, ისეთი თვალებით შემოგვხედა, რომ გული დამემდურა. შევატყვე, აშკარად არ უნდოდა წასვლა. დაბარებით, არაფერი დაუბარებია.

ინდიკოს გულში რაღაც ჩაწყდა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ამ ქალმა შესანიშნავად იცოდა, რომ წუხელის ელდარ ქიქოძეს ინდიკო საკანდელიძე დაემალა. იცოდა და განგებ არ ეუბნებოდა, რომ ამით უფრო შეერცხვინა და თავის სინდისთან მარტო დაეტოვებინა. ინდიკოს ეგონა, რომ ახლა მთელმა ქალაქმა იცოდა წუხანდელი ამბავი. თავი ჩაღუნა, გმადლობთ, ჩემო ნელი, დიდი მადლობელი ვარ, ჩაილუღლუღა და წელმოწყვეტილივით გააბიჯა.

ამ ამბის შემდეგ სამი დღეც არ გასულა და ელდარ ქიქოძე ისევ გამოჩნდა საკანდელიძეების ეზო-ყურეში.

ზარის ხმაზე ინდიკომ და მისმა ცოლმა ერთმანეთს შეხედეს, მაგრამ ქმარმა უსიტყვოდ მოიხურა ხალათი და კარისაკენ წავიდა.

ნელის გოგო შერჩა ხელთ.

— ინდიკო ბიძია, ჩვენთან სტუმარია და თქვენს ნახვას თხოულობსო.

— თქვენი სტუმარი? რა ჰქვია?

— ელდარი.

— მერე ჩემთან ვერ მოვიდა? ელდარი რა თქვენი სტუმარია?! — ინდიკო ქუდს ეძებდა, მაგრამ ამასობაში გოგონამ კიბე ჩაირბინა და მერე ინდიკომ თვითონვე დაასკვნა, რომ თორმეტი წლის გოგონასათვის ძალიან რთულ კითხვებს აძლევდა.

...გაშლილ სუფრასთან ელდარი იჯდა. ხელში ჭიქა ეჭირა და არაფერ უჩვეულოს არ ამბობდა. — ზღვაში გასული მეზღვაურების სადღეგრძელოს სვამდა.

მის წინ დაბალ სკამზე ნელი სინაურიძე იჯდა და სტუმარს მონუსხულივით შესცქეროდა.

ინდიკოს შემოსვლა მაშინ გაიგეს, როცა მეზობელმა განგებ ჩაახველა, აქაოდა მოვედი, ყურადღება მომაქციეთო.

ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘ

მინდოდა ეს ნოველა ასე დამეწყო:

„სექტემბერი იწურებოდა“.

მაგრამ მაშინვე ვიგრძენი, რომ „სექტემბერი იწურებოდა“ ვერაფერი ორიგინალური დასაწყისია.

თუ დაკვირვებიხართ, კლასიკოსები თხზულებას ხშირად ამ სიტყვებით იწყებენ:

„გაზაფხული ჯერ კიდევ შორს იყო“.

როგორც ლიტერატურის ისტორიამ დაამტკიცა, ამგვარი დასაწყისი ამართლებს, ვიდრე უპრეტენზიო და უფერული — „სექტემბერი იწურებოდა“.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის დიდი ნაწილი გახურებულ რთველს მოეცვა, ქალაქ ბეოლიაურის ქუჩებში მწიფე ყურძნის სუნი არტრიალებდა. ბეოლიაურსა და მის მოსაზღვრე სოფლებში, ამ კუთხის გეოგრაფიული იღბლის გამო, ყურძენი თუ დამწიფდა საერთოდ, ნოემბრის პირველ რიცხვებში შემოდის.

მაგრამ ბეოლიაურის მიმართ სიბრალულით ნუ განეწყობა პატივცემული მკითხველი. ეს ქალაქი მსოფლიოს ყველა ქვეყნის ენციკლოპედიაში მოიხსენიება, როგორც დინოზავრების სამშობლო და მეზოზოური ერიდან ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნემდე მსოფლიოს ერთ-ერთი ცნობილი ნავსადგური — ფრიად მოხერხებული განსაკუთრებით ბერძნებისა და მათი მონათესავე ტომებისათვის.

ექვსი საათი რომ შესრულდა, ელგუჯა ერეხელმა კვირისტავი დაიზილა, ერთ-ორჯერ ჩაბუქნა-გაიმართა და რაკი შეატყო, რომ მუხლი სიარულში ხელს არ შეუშლიდა, გასაღები იატაკის ხალიჩაში შეჩურთა და კიბეზე დაეშვა.

დღიური შრომით ნამეტანი დაღლილი იყო-მეთქი რომ დაგიწყოთ მტკიცება, არ ვიქნები მართალი. მთელი დღე „ბათა ქექიას“ კითხულობდა. ტელეფონიც არ გარაწკუნებულა. „სხვაგან მოხვედრილსაც“ არ შეუწუხებია.

ელგუჯა ხალხური დასარტყმელი ინსტრუმენტების შემსწავლელი ლაბორატორიის გამგედ მუშაობდა. ლაბორატორია მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა, რაკიღა მთელს ამ ნახევრადმეცნიერულ დაწესებულებას ჯერჯერობით მხოლოდ ერთი კაცი — გამგე წარმოადგენდა. შარშან ლაბორატორიის შექმნისთანავე დაშვებული დანარჩენი შვიდი შტატი სხვადასხვა უწყებებმა დაიტაცეს და არც არავითარი იმედი ჩანდა, რომ ისინი მიტაცებულ შტატებს უკან დააბრუნებდნენ.

გამგე კი ჯერჯერობით მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ კვარტალში ერთხელ განცხადება-საჩივარს სწერდა და თვეში ორჯერ თავის მოკრძალებულ ხელფასს იღებდა. დასარტყმელი ინსტრუმენტები არც დიპლომისმიერი სპეციალობა გახლდათ ერეხელისა და არც, ღმერთო შეგცოდე, სიყრმითვე ჩანერგილი მოწოდება. ჰიდრომეტეოროლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა და ამ რვა წლის განმავლობაში სად აღარ ეუშაობდა — კომუნალური მეურნეობის საქვაბე კანტორის სტაჟიორად, საბავშვო სახლში აღმზრდელ ორგანიზატორად, კულტურის სასახლეში სამნეო ნაწილის უფროსად, ხოლო ბოლო თანამდებობა მოგეხსენებათ. ქალაქის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური თანამშრომელთა ნაკლებობას არ განიცდიდა და მაინცდამაინც არც ელგუჯა ამტვრევდა სამმართველოს კარს; გინდათ თუ არა ჩემი პროფილით მამუშავეთო. ამასწინათ, როგორც იქნა, საბინაო აღრიცხვაზე აიყვანეს და უახლოეს ათ წელიწადში ახალ, ოროთახიან ბინასაც დაჰპირდნენ. ამ და სხვა მიზეზთა გამო აღმასკომთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდა.

სახინკლესთან ნაბიჯს აუჩქარა. ლუდი არ უყვარდა და ე, მანდ ნაცნობმა არავინ შემამჩნიოსო.

— შენც მოდი, შენც! არ გესმის?! შენ გეუბნები, ხომ იცი, ვერ გამასწრებ! — ისე ხმამაღლა და კატეგორიულად დაიძახა ზურგსუკან ვიღაცამ, რომ ერეხელი შეჩერდა და მოიხედა.

მისგან ათიოდე ნაბიჯზე მილიციის სპეცსამსახურის, ცისფრადგადაღებილი მანქანა (ქალაქის ბიჭები რომ მოფერებით „შავ ყვავს“ ეძახიან), იდგა. მანქანის უკანა ღია კართან დოინჯშემოყრილი, საკინძშეხსნილი უქუდო ახმახი მილიციელი აღმართულიყო და ელგუჯას უხმობდა.

— მეე? — გულზე ხელი მიიდო ელგუჯამ, მიიხედ-მოიხედა და რაკი ახლომახლო სხვა ვერავინ დალანდა, გაკვირვებული სახით წამოვიდა მანქანისკენ.

— ჩქარა ცოტა, არ გვცალია ამდენი, რო მოიწმაწნები ჯღადოიანი კატასავით!

— რაშია საქმე?

ახსნა-განმარტებისთვის, წესრიგის დამცველს, აშკარად ჩანდა, არ ეცალა. ქიმუნჯი წაჰკრა ელგუჯას, მანქანაში შეაგდო, კარი გარედან გადაკეტა, თვითონ შოფრის გვერდით მოკალათდა და ამოიხვნეშა.

— წავედით. თავი შისკდება, რა დაგვაძლევინა წუხელის ჭიჭია უბედურმა. კაცად რომ ვარგოდეს გელანტია, ჩემი მუშაობა შეიძლება დღეს?

მძღოლს არაფერი უთქვამს. ნელა, რწევა-რწევით დაძრა მანქანა.

კაბინისაგან რკინის ბადით გამოყოფილ სალონში ელგუჯას გარდა ორნი ისხდნენ. ორივენი მთვრალები ჩანდნენ, მაგრამ არც ისე მთვრალები, ელგუჯასთვის ზრდილობიანად ხელი არ გაეწოდებინათ, ჯანმრთელობა და გუნება-განწყობილება არ ეკითხათ და მერე თავიანთ ბუნდოვან (ელგუჯას ასე მოეჩვენა) საუბარს არ ჩაღრმავებოდნენ.

— სად მივყავართ? — ცოტა არ იყოს, მიამიტი კითხვა დასვა ერეხელმა.

— გამოსაფხიზლებელში, — ერთდროულად უპასუხეს თანამგზავრებმა და ლაბორატორიის გამგეს ერთხელ კიდევ ახედ-დახედეს, მართლა არ იცის, სად მივყავართ, თუ თავს ისულელებსო.

— რატომ? — უფრო შორს გაიწია ელგუჯას ბავშვურმა ცნობისმოყვარეობამ.

შეზარხოშებულებმა თავს ნებას მისცეს ერეხელის ამ შეკითხვაზე არ ეპასუხნათ.

მანქანა რომ გაჩერდა, ახმახმა წესრიგის გუშაგმა კარი გააღო და ერთგული მასპინძელივით დაიძახა:

— გადმობრძანდით!

არცთუ დიდი სურვილით „გადმობრძანებული“ სტუმრები წინ თხებივით გაირეკა და მაღალჭერიან ფართო ოთახში შეიყვანა.

— წავედი ახლა მე და დევიძინე, გეყოფათ, მეტის მომყვანი აღარ ვარ, დღეს, — მარჯვენა მხარეს მჯდომ ყურჭიტა სერჟანტს ჩაულაპა-

რაკა ახმახმა, როცა ელგუჯა და მისი თანამგზავრები გრძელ ფიზკულტურულ სკამს დაუმატა.

— მე რას მეკითხები, — სერჟანტმა გვერდით მჯდომისაკენ ნიკაპით ანიშნა.

წარბებიანად ქერა უმცროსმა ლეიტენანტმა დავთრებს თვალი გამოარიდა; კარგა ხანს მდუმარედ უყურა ახმახს და ბოლოს თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— წადი.

მკითხველს თავს არ შევაწყენ სარეგისტრაციო დიალოგის დაწვრილებითი აღწერით. სხვათა დაკითხვებიდან ელგუჯამ შეიტყო, რომ უმცროსი ლეიტენანტი და მისი თანაშემწე განსაკუთრებული სიმკაცრით იმ მოქალაქეებს ექცეოდნენ, ვინც ენერგიულად ამტკიცებდა, მთვრალი სრულიადაც არა ვარ და აქ გაუგებრობის ნიადაგზე მოვხვდიო. მასპინძელთა დუმილის პასუხად გულმიცემულნი მუქარაზეც რომ გადადიოდნენ, „ამ პრავაკაციის გულისთვის პასუხს გაგებინებთო“, გამოსაფხიზლებლის მესვეურნი მშვიდად უსმენდნენ მათ, მერე სერჟანტი გვერდითი ოთახიდან მუყაოს ყუთს გამოიტანდა, „შემთხვევით მოხვედრილს“ წინ დაუდგამდა და უბრძანებდა, გაიხადეო. ორიოდე წუთში დედიშობილა მოქალაქე ცივი შხაპის ქვეშ იდგა და სიცივისაგან კბილებს აკრაჭუნებდა. ელგუჯამ მაშინვე აუღო ალღო, ჟურნალისტების ენით რომ ვთქვათ, „შექმნილ სიტუაციას“ და როცა მაგიდასთან უხმეს, თვალდაუხამხამებლად ჩამომარცვლა: ესა და ეს კაცი ვარ, დასარტყმელი ინსტრუმენტების ლაბორატორიის გამგედ ვმუშაობ, რა ვქნა, მომივიდა შეცდომა, დავლიე. თუ მაპატიებთ და შინ გამიშვებთ, ძალიან დაგიმადლებთ, თუ არადა თქვენი საქმე თქვენ იცითო. ჟურნალში გაატარეს, ზედმეტი სიტყვაც არ უთქვამთ, სერჟანტმა გრძელ დერეფანში გაიყვანა. ახლავე გაგიშვებდით, მაგრამ რომ შეგვამოწმონ, პასუხს გვაგებინებენო. დილამდე აქ იქნები, დილით გაგანთავისუფლებთო. ჯარიმად სამი თუმანი გადაახდევინა, ვიწრო კიბით მაღლა ავიდნენ. სერჟანტმა მეექვსე პალატის კარი გაუღო

და ზრდილობიანად სთხოვა: შებრძანდით და თავისუფალ კოიკაზე დაიძინეთო.

საკანში ოყრალუა ბალახის მძაფრი სუნი იდგა.

რა ცოტა სჭირდება კაცს ბედნიერებისათვის. ელგუჯა კმაყოფილი იყო, რომ სახალხოდ ტანზე გახდას და ცივ შხაპს გადაურჩა. ზრდილობიან სერჟანტს მადლობა გადაუხადა და მარტო დარჩენილს ხვრინვა რომ არ გაეგონა, ალბათ წაიღიღინებდა კიდეც.

დაახლოებით საათ-ნახევარში ყურჭიტა სერჟანტმა კარი ბრახუნით გააღო და გამოაცხადა, — ლექციაზე ჩამობრძანდითო.

ელგუჯა ნარზე ჩამოჯდა და საათზე დაიხედა.

ცხრას აღარაფერი აკლდა.

გვერდითა ნარს ორი ფეხი გადმოეკიდა და ჩახრინწულმა ხმამ კარში მდგომს ჰკითხა:

— კინო არ იქნება?

— კინო გუშინ იყო, დღეს ლექციაა.

— გიგი, შენს გაზრდას, ნუ ჩამიყვან, შეუძლოდ ვგრძნობ თავს, გამოვიძინებ, ვაჟკაცურად გთხოვ.

— აბრძანდი, აბრძანდი, ვერ დაგტოვებ, სიას კითხულობენ. საინტერესო ლექციაა.

— რაზე? — ელგუჯამ იგრძნო, რომ კითხვა ჩაუვარდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, რაზე იყო ლექციაზ.

— გიგანტურ ხვლიკებზე, — არ დააყოვნა პასუხი ყურჭიტამ.

— გიგი, შე ღმერთგამწყრალო, რაც ლექციაა მსოფლიოში, ყველა მოსმენილი მაქვს. ხვლიკები მინდა ახლა მეე? — ლოთი ნარიდან ჩამოხტა და ერეხელს ხელი გაუწოდა.

ლექცია, რა თქმა უნდა, ალკოჰოლის მავნებლობაზე იყო. ახალგაზრდა თმახუჭუჭა ლექტორი მომხიბვლელად ლაპარაკობდა. ლექციაში ანდაზებსა და ანეკდოტებსაც კი ურთავდა.

ლოთები მწუხარე სახეებით, დინჯად და ყურადღებით უსმენდნენ.

შეკითხვების დრო რომ დადგა, აუდიტორია კარგა ხანს სდუმდა,

ბოლოს ელგუჯას თანამესაკნემ აღმართა ხელი.

— თქვენ თუ სვამთ? — ჰკითხა მან ლექტორს.

— არა, — არ დააყოვნა პასუხი ლექტორმა.

ლოთებს მეტი შეკითხვა არ დაუსვამთ.

როცა მეექვსე პალატისაკენ მიაბიჯებდნენ, ელგუჯამ სერჟანტს სთხოვა, თუ შეიძლება, ტელეფონთან მიმიშვით, ცოლ-შვილს გავაფრთხილებ, შეეშინდებათო.

— სამწუხაროდ, ტელეფონი არა გვაქვს. ისე კი უნდა იყოს. დაწერეთ თქვენ, ამოიღეთ ხმა და დაგვიდგამენ. როგორ შეიძლება ამხელა გამოსაფხიზლებელი უტელეფონოდ, — ყურჭიტა აღშფოთებული ჩანდა.

საკანში დილამდე ორნი ისხდნენ.

სარკმლიდან სუსტი ცისფერი ციაგი კრთოდა.

ელგუჯამ ერთხელ კიდევ მოისმინა სუეცის არხის გმირის გრძელი სევდიანი თავგადასავალი და ათის თხუთმეტ წუთზე გასაღების სანატრელი რაჩხუნიც მოისმა.

— დილა მშვიდობისა, ხომ არ მოიწყინეთ, თქვენ რა გიჭირთ, ჩვენ მთელი ღამე არ გვეძინა, — იადონივით გააბა გიგიმ.

— რამ შეგიშალათ ხელი? — ბიძინა ჩამოხტა და ქვედა ნარზე მოკალათდა.

— არ იცი ვითომ, რაცხა წესრიგის დაცვის ორთვიური გამოიგონეს, ყოველ საათში გვამოწმებენ.

— როდის თავდება? დაჯექ, — ლოთმა ნარს ხელი გაუტყაპუნა.

— ჯერ სადაა, ათ სექტემბერს დაიწყო.

— აბა, გადავყოლიეთ ამ ორთვიურს ჩვენც და თქვენც. გიგი ბიძია, ერთ ცალ მჟავე კიტრს რომ გამიჩენდე, თავშენახული ბიჭი ხარ, შენთვის მოვკვდები.

— ეგებ კვაწიაში მოხარშული ლობიო გესიამოვნოთ, ბიძინა ბატონო, — გაეცინა გიგის, — ვინ გაგიჩერებს მჟავე კიტრს, ყოველ ჩემს მორიგეობაზე, — ელგუჯას მიუბრუნდა, — თითო ბანკა მომაქვს, სად

დამალავ, თვითონ ჩვენი თანამშრომლები შემოგაფცქვნიან ხელში. ხომ არაფერი გრჩებათ?

ელგუჯას სითბოდ ეღვრებოდა სულში ყურადღებიანი გიგის ყოველი სიტყვა და ცდილობდა გაეხსენებინა, კიდევ სად ენახა ასე თავაზიანი მილიციის სერჟანტი.

ქუჩაში გამოსვლისას პირდაპირ ტელეფონის ჯიხურს ეცა, ჯიბეები გულმოდგინედ მოიქექა და როგორც იქნა, ორკაპიკიანიც იპოვა, მაგრამ ტელეფონ-ავტომატი არ მუშაობდა.

აღარც ახსოვს, როგორ აირბინა ორმოცდაცხრა საფეხურიანი კიბე (საფეხურების დათვლა ელგუჯას ჩვეულებად ჰქონდა). თავისი კაბინეტის კარი ღია დახვდა, ცარიელ კარადასთან დამლაგებელი ქალი ფუსფუსებდა.

— გულიკო, შენა ხარ? არ შეგეშინდეს, წუხელი შევყოვნდი პატარა, გოდოგანში მომიწია წასვლამ. რამ გადაგრიათ, ვინ მომკლავდა. ტელეფონი არ იყო არსად. მოვდიოდი, მარა გვიანაა და არ გამომიშვეს. ბავშვები გაუშვი სკოლაში? ჩემს ლოგინთან რომ ტილოს შარვალი ჰკიდია, იმის ჯიბეში, ამოიღე რაცაა, მანეთიანი ჩატოვე, მე სამსახურში ვარ!

ტელეფონი დადო და შვებით ამოისუნთქა.

ყველაფერი რიგზე იყო.

— ქალბატონო პაშა, რას ეძახით თქვენ ბედნიერებას?

დამლაგებელს ჰკითხა, მაგრამ ტექნიკურმა თანამშრომელმა არ უპასუხა, მოვრჩიო, ჩაილაპარაკა. თავმიშვებული ცოცხი ბენზინიანი ნახერხით სავსე ვედროს დაადო და გავიდა.

მთელი დღე ხალისიან გუნებაზე იდგა. მოზღვავებულ ენერგიას გრძნობდა. ლაბორატორიის კვარტალური გეგმა შეადგინა და „ბათა ქექიას“ ბოლო გვერდებიღა ჰქონდა დარჩენილი, სამუშაო დღე რომ ამოიწურა.

თეთრ ხიდს ქვემოთ ცისფრად დაწურული რიონი მიკარგულიყო.

„ალბათ ჰესმა გადაკეტა“, — გაიფიქრა ელგუჯამ, ასე ანკარა და ასე დალეული რიონი ლაბორატორიის გამგეს, არც ენახა.

მარჯვნივ ლურჯი მორევის თავზე ნუშისფრად შეღებილი კაბინა უკიდა. ეტყობოდა, უქიმერიონის საბაგირო არ მუშაობდა.

სახინკლეს რომ მიუახლოვდა, გაახსენდა, რომ მთელი დღე პირში არაფერი ჩასვლოდა. საოცრად მოუნდა ხინკალი და ლუდი. კუთხეში მიდგა და ლუდს რომ წრუპავდა, თან დარბაზს ათვალიერებდა. სალუდეში ქვეყნის ხალხი ირეოდა, მაგრამ ნაცნობი ვერავინ დალანდა და ესიამოვნა. ლუდი საერთოდ არ უყვარდა-მეთქი, ზემოთ მოგახსენეთ, მაგრამ ახლა ისე გაუტკბა, რომ კინაღამ მეორე კათხაც მოითხოვა.

გარეთ გამოსვლისას აფთიაქის აბრაზე მიხატულ ჭიქასშემოხვეულ გველს შეავლო თვალი, საყელო აიწია და ათიოდე ნაბიჯიც არ ექნებოდა მარცხნივ, ნინოშვილის ქუჩისკენ გადადგმული, რომ მოესმა:

— შენ გეუბნები!

მოიხედა.

სპეცდანიშნულების ცისფერ მანქანასთან უხმობდნენ. ღია კართან ორნი იდგნენ. ელგუჯას მათთვის სახეზეც კი არ შეუხედავს. იცოდა, ამჯერად წესრიგის დამცველებთან ურთიერთობის გარკვევას აზრი აღარ ჰქონდა, მოტრიალდა და მორჩილად დურთა თავი „შავი ყვავის“ ხახაში.

კაცი, რომელსაც ღვინო არ უყვარდა
ერთი კვირის შვიდი დღე

იყო და არა იყო რა. ერთ ცაფირუზხმელეთზურმუხტოვან ქვეყანაში ერთი ქალაქი იყო, ამ ქალაქს ბჟოლიეთი ერქვა და შიგ პურ-მარილისა და ტრადიციების მოყვარული მოქალაქეები ცხოვრობდნენ.

პურ-მარილის ხსენებაზე ზოგიერთმა, შეიძლება, მარტო ლოთიშფოთი ხალხი წარმოიდგინოს და ძალიანაც შეეშალოს.

სუფრაზე სამსახურის გარდა, ბჟოლიეთის მკვიდრნი დაუსწრებლად მუშაობდნენ საწარმოო-დაწესებულებებში, აკეთებდნენ ფინანსურ რევიზიებსა და შაქრიან ღვინოს.

სწორედ ბჟოლიეთის ერთ ლამაზ ქუჩაზე მდებარე აგურის სახლში წუთისოფლის დინებას შეძლებისდაგვარად მიუყვებოდა ჩვენი მოთხრობის გმირი არქიფო ქაფიანიძე. როგორც სახელიდან მიხვდებით, იგი ორმოცდაათ წელს გადაცილებული, საკმაოდ თმაგაცვენილი და გამხდარი კაცი იყო, ყოველ შემთხვევაში, სიტყვა „გმირი" მისი პიროვნული ღირსებების წარმოსაჩენად არ გამოგვადგება და მხოლოდ ლიტერატურული ტერმინი უნდა ვიგულისხმოთ.

იმ კვირა დილით, ჩვენ რომ მოთხრობას ვიწყებთ, არქიფო ქაფიანიძე აივანზე გამოსულიყო, ტანთ ადგილობრივ ფაბრიკაში შეკერილი ჯინსის კოსტუმი ემოსა და იმპორტული პირსახოცით წაკრულ თავს ზღვის მაცოცხლებელი ნიავით იგრილებდა.

ზაფხული უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ბჟოლიეთში, სადაც იყო, შემოდგომაც მოაკაკუნებდა კარზე. წელიწადის ეს დრო არქიფოს ყოველთვის სევდიან მოგონებებს აღუძრავდა, ვინ იცის, იქნებ თავისი ქორწილის დღე აგონდებოდა, ან კიდევ მოახლოებული სიბერე აშინებდა.

ქაფიანიძის კარის მეზობელი ტარასი ბურძგლა კი არქიფოს ამ-
გვარ უგუნებობას სიმთვრალის ნიადაგზე ჯანმრთელობის გაუარესე-
ბით ხსნიდა და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არცთუ უსაფუძვლოდ.

— დალიე ხომ წუხელის? — ჩვეულებისამებრ ჰკითხა არქიფოს ნაგვის ჩასატანად გამოსულმა ტარასიმ.

არქიფომ შეჭაღარავებულ მკერდზე ხელი გადაისვა.

— წუხელის კი დავლიე, მაგრამ დღეს გული ხელით მიჭირავს.

— ჭიქა რომ გეჭირა ხელში, მაგაზე მაშინ უნდა გეფიქრა. — ჩაიქირქილა ტარასიმ. თვითონ სპირტიან სასმელებზე ცოტა მწყრალად გახლდათ და, ექიმები რომ ამბობდნენ, ალკოჰოლი ჯანმრთელობის მტერიაო, ასპროცენტიანი სიმართლე ეგონა.

— ტყუილად დამცინი, ჩემო ტარასი, ლოთი და გაფუჭებული არ ვარ მე, ღვინის დანახვა რიბიჟირივით მეზარება, — არქიფომ პირსახოცი მოიხსნა და ბეჭებზე ღვედივით გადაიჭირა, — ახია ჩემზე. ამისთანა გულჩვილი რატომ გამაჩინა ღმერთმა!

— ღმერთს რას ერჩი, კაცო?

— კვირაში რომ შვიდი დღეა, ღმერთმა ხომ დააწესა მაგი?

ტარასიმ შეატყო, ნაგვის გადაყრაზე მნიშვნელოვანი ამბავი უნდა მითხრას ჩემმა მეზობელმაო, და ფეხმოყრეულ საზიარო სკამზე ჩამოჯდა.

— კი, არქიფო, მამაზეციერმა ასე დაიბარა, ხუთი დღე იმუშავე და შაბათ-კვირას დაისვენეო.

— მე რომ ერთ დღესაც არ მასვენებს, სად წავიდე და ვისთან ვუჩივლო? — არქიფოს ხმა გაებზარა, — აღარ შემიძლია, ბიჭო, ამდენი სმა!

„ბიჭოში“ იმხელა გრძნობა ჩააქსოვა არქიფომ, რომ ტარასისაც გული აუჩვილდა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— თუ არ შეგიძლია, შეეშვი, მაგაზე ადვილი რაა.

ტარასიმ ხელები გაშალა.

— ადვილიო, შენ ამბობ? შერე კუთხე-მეზობლობას როგორ და-

ვენახვო. რას იტყვის ხალხი!.. აგერ, გასულ ორშაბათს, გოგია ბილიხოძის სახლის ხურვაზე ვიყავი...

გოგია ბილიხოძე მეზობელ უბანში ცხოვრობდა, ბჟოლიეთის სასტუმროზე დიდი სახლი წამოჭიმა და კუთხე-მეზობლობა რომ არ მიშველებოდა, საკუთარი ჯამაგირით რისი გამკეთებელი იყო, კარგად მოგეხსენებათ! ნაცნობი და უცნობი არავინ დარჩენია დაუპატიჟებელი, არქიფოს და ტარასის ორივეს სთხოვა სიხარულის გაზიარება, მაგრამ წასვლით მარტო არქიფო წავიდა. ტარასი შინ დარჩა, ფულიც გადაარჩინა და ჯანმრთელობაც.

— გოგიას სახლი კი გადავხურე, მაგრამ ჩემსას გადავაძვრე სახურავი, — არქიფომ მარცხენა ხელის თითები ჩამოკეცა (მარჯვენაზე ნეკი აკლდა. ახალგაზრდობაში დინამიტი აუფეთქდა), ხუთი თუმანი ჩავაბარე. ცოტა ხომ არაა?

— ჩემი ნახევარი თვის ხელფასია — უთხრა ტარასიმ.

არქიფომ განაგრძო.

— სამშაბათს ძლივს გამოვიფხიზლე სამსახურში, მაგრამ საღამოს ისევ ბანკეტი გვქონდა — კალმახელიძეების ბიჭი გავაცილეთ ჯარში.

— სადგურში გახვედი?

— სკამზე გავედი, სადღეგრძელოებს ისე ვსვამდი. დიდებული კამპანია იყო, თითო კაცი სამი თუმანი დაჯდა... ოთხშაბათს კიდევ ჭოლა ნაცვლიშვილის „ეიგული“ დავასველეთ, ესე იგი, ძმაკაცებმა ფული შევუგროვეთ... შენ რომ ხუთი თუმანი გამოგართვი, ხომ გახსოვს?

შეშინებული ტარასი სკამიდან წამოიწია.

— დამავიწყდებოდა, ვითომ?

— ნუ გეშინია, ხელფასზე დაგიბრუნებ, — დააწყნარა არქიფომ, — ამასობაში რამდენი დღე ჩამოვთვალე?.. ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი...

— ხუთშაბათს სადმე ქეიფში იქნებოდი.

— ტირილში ვიყავი, სამი თუმანი დავწერე, არ დაგავიწყდეს მაგი.

— შენ მართლა დაგქცევია ოჯახი, — შეწუხდა ტარასი.

— რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულიაო, ხომ გაგიგონია სკოლაში? ყველაფერი სესხი და ვალია, მეც ხომ მომიტანენ ფულს, ჩემს ოჯახსაც ხომ ექნება ერთ დღეს ტირილი!

ტარასიმ თვალები გადმოქაჩა.

— გაგიჟდი, ხომ!

— სიტყვა წამექცა... ტირილი კი არა, ქორწილი იქნება, ბიჭი მყავს ცოლმოსაყვანი... ღმერთო, შენ ამოაგდე ყველა, ვინც მე ასეთ დღეში ჩამაგდო!

არქიფომ ისევ შეიკრა თავი პირსახოცით, ალბათ, იმიტომ, აზრები რომ ეფანტებოდა და, შეიძლება, წეღანდელზე უარესიც წამოცდენოდა.

ტარასის ნაგავი აღარ ახსოვდა, მეზობელთან მივიდა და თანაგრძნობის ნიშნად ხელი მაგრად ჩამოართვა. არქიფოს გამხმარი მარჯვენა ბაზრის ლოთივით უკანკალებდა.

— დაწყნარდი, კაცო, რა მოგივიდა? — დაუყვავა ტარასიმ.

— ის მომივიდა, რომ პარასკევს ამბროსი ბიკენტიჩი გავაცილეთ პენსიაში, — არქიფომ სევდიანი თვალებით ჰორიზონტს გახედა, მაგრამ ჰორიზონტი სად იყო, ბეოლიეთის ცათამბჯენებს თვალსაწიერი დაეფარათ, — მეც მალე წავალ პენსიაში, მეტი აღარ შემიძლია.

— როგორ თუ წახვალ, ხალხი რას იტყვის? — გაიკვირვა ტარასიმ.

— მაგ ხალხმა დამღუპა და ამომაგდო მე. გესტაპო არ უშვებოდა ტყვეებს, რასაც მაგენი სუფრაზე მიშვებიან.

— რას გიშვებიან მაინც ამისთანას?

— მიგჩიხავენ სიკვდილმისჯილივით სუფრის ბოლოში, მოგაყუდებენ ორლიტრიან ყანწს ავტომატივით და უმტკიცე მერე, ორას ოცი წნევა მაქვსო.

— დაუმტკიცო უნდა, აბა!

— მე რომ ვინმე დამიჯერებდეს, ხაჭაპურის ნატეხი, გოჭის პოჭოკი და ერთი ბოთლი ლიმონათი მეყოფა, მაგრამ ორასი კაცი რომ შემოგაყვირებს, დალიე, და დალიეო, უარი არ გამოვა, ტრადიციებს პატივი უნდა სცე.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ტარასი ბურძგლა ღვინის სმაში არ იყო მაგარი, თორემ ქეიფისა და დროსტარების საწინააღმდეგო დებულებები ხუთი თითივით იცოდა.

— სუფრაზე გაილეშე და ოჯახი დააქციეო, მაგას უძახი შენ ტრადიციას? — ხმას აუწია ტარასიმ, — ტრადიციები, იცოცხლე, შესანიშნავი გვაქვს, მაგრამ აუკუღმართებს ზოგიერთი და თავს გვჭრის... იცი შენ, წინათ ჩვენში ლოთი კაცი ისეთი სამარცხვინო იყო, როგორც ქურდი და ავაზაკი?

— რავა ახლა, გიორგი სააკაძე ღვინოს არ სვამდა? — დაეჭვდა არქიფო.

— გიორგი სააკაძე ხმალსაც იქნევდა.

— ერთი შენ ხმალი მომეცი და ნახავ, ჩემს მტრებს რა დღეს წავკიდებ.

— მტრები, იცოცხლე ბევრი გყავს...

— ჯერ „საეროს“ ბოთლებს მივადგები, თხლაშ და თხლუშ! დაექცა ოჯახი, ვინც მაგისთანა ღვინოს „საერო“ დაარქვა! მერე შაქრიანი ადესის ბოცოებს გამოვუდენ სისხლს... ჰო, მართლა, რომელ დღეზე შევჩერდი?

— გათენდა ამასობაში შაბათი.

— გუშინ იყო მაგი, ქორწილში ვიყავი და ყველაზე მეტი სწორედ მაქ დამემართა. ოჯახის უფროსმა მაყრების ლიკვიდაცია დამავალა და თავი არ შემირცხვენია, ვასახელე ჩვენი ქალაქი. — არქიფომ ისევ მოიხსნა პირსახოცი და სახეზე მომდგარი სიმწრის ოფლი შეიმშრალა. — მეყო, ბატონო, აღარ მინდა მეტი! ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ერთხელ მაინც გადმომხედე წყალობის თვალით, ერთ დღეს

მაინც დამასვენე ჩემს ოჯახში, დაპატიჟების ქაღალდს ნუ გამომიგზავნი... საცივი და ჩახოხბილი არ მინდა, ნიგვზიანი ლობიო მაჭამე, მონატრებული მაქვს... არც ღვინო მინდა... ნუ დამალევინებ დღეს ღვინოს, რა იქნება!

კაცი ბჭობდა და ეშმაკი იცინოდაო, არ ისმინა მამაზეციერმა არქიფოს ვედრება. ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, ჩანთაგადაკიდებული ნიკიფორე დამტარებელი მიუვლინა ეზოში.

ნიკიფორე რომ ჭიშკარს მიადგა, აივანზე არც არქიფო იყო და არც მისი მეზობელი.

— მაინძელო, მაინძელო-მეთქი! — ჭიშკარში თავი გაყო დამტარებელმა, ტანის გაყოფას ვერ ბედავდა, ძაღლმა არ მიკბინოსო, მაგრამ არც ძაღლი ჩანდა და არც მისი პატრონი, — ხალხო, გამოიხედეთ გარეთ, კარგი ამბავი უნდა შეგატყობინოთ, სოჩიკის გასასინჯად არ მოვსულვარ.

ძახილზე ტარასიმ გამოიხედა.

— ვინ გნებავთ, ბატონო?

— განთიადის ქუჩა ხომაა აგი? — კითხვა დაუბრუნა ნიკიფორემ.

— კი, ბატონო, ოცდახუთი ნომერია.

ნიკიფორე დამტარებელმა ჩანთიდან ქაღალდები ამოიღო.

— ჰოდა, თუ ეს ოცდახუთი ნომერია, არქიფო ქაფიანიძე ამ სახლში უნდა ცხოვრობდეს.

— ეგერ, ბატონო, იმ სახლში ცხოვრობს. — უჩვენა ტარასიმ.

— კეთილი და პატიოსანი, მაშასადამე, ეს ლამაზი ბარათი არქიფო ქაფიანიძეს საკუთარ ხელში მიერთვას.

— მშვიდობა ხომაა?

ნიკიფორე უკვე კიბეზე ადიოდა.

— ომი არ იქნება, მაგრამ ხუთთუმნიანი ბომბი კი გასკდება დღეს ქაფიანიძეების ოჯახში.

ტარასი წინ გადაუდგა.

— რა ბომბზე ლაპარაკობ, თუ კაცი ხარ?

— მაგას ამ წუთში დაინახავ... გზა გამინთავისუფლე, მე სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებ!

დამტარებელმა არქიფოს კარი შეაღო.

— მაინძელო, შეიძლება?

— მობრძანდით! — შეიპატიჟა ქალის ხმამ, ეს ხმა არქიფოს კანონიერ მეუღლეს კატუშას ეკუთვნოდა.

აივანზე მარტოდ დარჩენილი ტარასი რატომღაც კატასტროფის მოლოდინმა შეიპყრო და ეს წინათგრძნობა წამსვე აუხდა.

— მიშველეთ! — ღია ფანჯრიდან კატუშას კივილი გამოიჭრა და ქუჩაში მოძრაობა გააჩერა.

ტარასი ტყვიანაკრავივით შევარდა მეზობლის ოთახში.

— მოგვეხმარეთ, დაგვექცა ოჯახი! — მოთქვამდა კატუშა.

— მამა, მამიკო! — თავში მუშტებს იშენდა არქიფოს მოსწრებული შვილი ბონდო

ხალხი საშველად უკვე აივანზე მირბოდა, მაგრამ პირველი დახმარება ყველას ტარასიმ დაასწრო, გულწასულ არქიფოს ჯერ საფეთქლები დაუზილა, შემდეგ პროტეზიანი კბილები გაუხსნა და ჩაცივებული „ბორჯომი“ დაალევინა.

უკვდავების წყალმა მალე გაახელინა არქიფოს თვალები და მეტყველების უნარიც დაუბრუნა.

— აგერ, ამ ქაღალდმა კინაღამ წამაღებინა წერილი. — ნიკიფორეს კონვერტი უჩვენა. ტარასიმ კონვერტი გახსნა და ხმამაღლა წაიკითხა.

არქიფო ქაფიანიძის ოჯახს!
კვირას გვაქვს ჩვენი ვაჟიშვილის დღეობა.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
გთხოვთ გაგვახაროთ.
ანდუყაფარ ნიკურაძის ოჯახი.

ანდუყაფარ კახაბეროვიჩ ნიკურაძე რაიონული მასშტაბის ავტორიტეტული პიროვნება გახლდათ, ყოველ შემთხვევაში, ბჟოლიეთის შეგნებულ მოსახლეობას ასე სჯეროდა. თვითონ განსაჯეთ, ღმერთს ყველაფერი კარგი გაემეტებინა მისთვის: სისქე და სიმაღლე, სამსახური და ოჯახი. ერთი სიტყვით, არაფერი აკლდა ანდუყაფარ ნიკურაძეს, ცხენის გარდა. რომ მოენდომებინა, ცხენსაც გააჩენდა, მაგრამ რაში უნდა მოეხმარა — უცხოური ავეჯით მორთულ ოთახებში თუ გააჭენებდა და მეტი არაფერი! ამ ოთახებში, ჯერჯერობით, კახაბეროვიჩის ერთადერთი მემკვიდრე, ყაფლანი, დარბოდა კვიცივით და მისი ჭიხვინი მშობლების გულს კანონიერი სიამაყის გრძნობით აღავსებდა.

შვილის დღეობას ანდუყაფარი, როგორც წესი, სადარბაზო ოთახში ანუ „ზალაში" იხდიდა. ამ სადარბაზოს კედლებს წინაპრების პორტრეტებთან ერთად ამშვენებდა თოფები, ხმლები, ჯიხვის რქები, დათვის ტყავი და კიდევ ათასი რამე.

სტუმრების მოსვლამდე ანდუყაფარ ნიკურაძე ხორაგით გატენილ სუფრას სარდალივით გაჰყურებდა. მისი ბრძოლის ველი ეს იყო, გამოჩენილიყო რაიმე და ბჟოლიეთელების სალაპარაკოდ გაუხდებოდა საქმე. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ გოჭის ადგილმდებარეობა არ მოეწონა და თავისი მეორე ნახევრის, ქალბატონ დინარას დახმარებით სტრატეგიულად უფრო ხელსაყრელ ადგილას გადაიტანა.

ზარის ხმამ ანდუყაფარი დროებით მოწყვიტა სამუშაოს. ფოსტალიონი იყო, დეპეშა მოეტანა.

— მშვიდობა ხომაა? — იკითხა დინარამ.

ანდუყაფარმა დეპეშა უჩვენა.

— რა მამყოფებს მშვიდად ამის წამკითხავს: „ვიზიარებთ ყაფლა-

ნის დღეობას, მივლინების გამო, ვწუხვართ, ვერ ვესწრებით. სოლომონ სირბილაძე“.

ქალბატონმა დინარამ წყენა არ შეიმჩნია, რა მოხდა მერე, სოლომონ დაგლახებული თუ არ დაგვესწრებაო.

ანდუყაფარმა მაგიდას სკამი გამოაკლო და კუთხეში დადგა.

— რა მოხდა და, ჩვენს ყაფლანს ერთი საჩუქარი დააკლდა. ეთქვა, ბატონო, დროზე და ადგილს არ გავაფუჭებდი, მადლობა ღმერთს, ბევრი ნატრობს ჩვენი ოჯახის სტუმრობას... ქალო, ბაჟი სად უნდა ჩადგა, არ იცი შენ? აქეთ მოიტანე.

— ხომ ხედავ, მანდ არ ეტევა.

— არ ეტევა და ჩავტენოთ! შენ ყველაფერი გამოიტანე, დაყარე სუფრაზე ხორაგი, ჩანგლის ადგილიც არსად დატოვო.

— ვინ შეჭამს მერე ამდენს? — გულწრფელად შეწუხდა დინარა.

— რაც მორჩება, გადავყაროთ, ოღონდ ხალხმა თქვას, ჩიტის რძეც არ აკლდა ანდუყაფარ ნიკურაძის სუფრასო... აბა, რა გგონია შენ, ყველაფერი მაქვს და რატომ დავმალო!

პირველი ნახევრისაგან განსხვავებით მეორე ნახევარი უფრო ფრთხილი იყო და მეუღლის ოპტიმიზმი არ გაუზიარებია.

— ზოგი რამ უნდა დამალო, ყველაფრის გამოჩენა არ შეიძლება, ხომ იცი, ახლა რა დროა, არ გეშინია?

— არ მეშინია, — გული გაიმაგრა ანდუყაფარმა. — ყველაფერს გამოვაჩენ!

— რა ვიცი, ხანდახან ძილში ისეთ რამეს წამოიყვირებ...

— ჰოდა, ჩაწერე შენ მაგნიტოფონზე და მეზობლებს მოასმენინე, ო, რას გაიხარებენ! — ანდუყაფარი კედელზე ჩამოკიდებულ ჩოხიანი ბერიკაცის სურათთან მივიდა, — ასეა, ბატონო კახაბერ, ჩემი საქმე აწყობილი და გაკვირვებული ნუ მიყურებ მაქედან... საკუთარი სურათის მეტი რომ არაფერი დაგიტოვებია, ხომ ხედავ, რა ოჯახი მაქვს, რა პურ-მარილი გავშალე. გაჯობა შვილმა, მაგრამ მაგი ნუ გეწყინება შენ, მამულს ასე სჭირდება. ჩემმა შვილმა კიდევ მე უნდა მაჯობოს.

— „ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასაო“, — დინარამ მეუღლეს ლექსი შეაშველა. მართალია, პოეტური ნიჭით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ პრაქტიკულად გამოსადეგი აფორიზმები ზეპირად იცოდა.

— მტერია მაგის მეტი, ჩემმა შვილმა მე ვერ მაჯობოს, — ანდუყაფარმა ხელი ჩაიქნია და მეორე ოთახში გასძახა, — ყაფლან, ბიჭო, სად დაიკარგე!

საგანგებოდ თეთრ ჩოხაში გამოწყობილი ყაფლანი შურდულივით შემოვარდა „ზალაში“ და მშობლების წინ ცერებზე დაერჭო (ზოგიერთებივით ვიოლინოს კი არ უკრავდა, არამედ ქორეოგრაფიულ წრეში მეცადინეობდა და საზღვარგარეთ გასტროლებისათვის ემზადებოდა).

— გისმენ, მამი! — ქარქაშიდან ხანჯალი ამოაძრო ყაფლანმა. უცხო კაცს რომ ენახა, იფიქრებდა, მშობლების დახოცვას აპირებსო. ამ მრისხანე ჟესტის მიუხედავად, იმისთანა ლამაზი იყო ნიკურაძეების გვარის გამგრძელებელი, რომ დედას სიხარულის ცრემლი მოადგა თვალზე, მამამ კი, როგორც ვაჟკაცს შეეფერის, გრძნობა გულში ჩაიკლა და შვილს მკაცრად ჰკითხა:

— ხომ არ დაგავიწყდა, რა ამბები გელის წინ, რა ბედნიერი დღე გათენდა შენს ცხოვრებაში?

ყაფლანმა ხანჯალი ისევ ქარქაშში ჩააგო.

— ო, ნუ გამიჭირვეთ საქმე!

— გვითხარი, შვილო, — შეეხვეწა დინარა.

ყაფლანმა დეკლამატორივით გაშალა ხელები და სხაპასხუპით დაიწყო.

— დღეს მე ათი წლის გავხდი, მამაჩემი და დედაჩემი დღეობას მიხდიან. დღეობაზე სულ მათი ამხანაგები იქნებიან და ღვინოს დალევენ. ჩემი ამხანაგები ხვალ მოვლენ და ლიმონათს დალევენ.

ანდუყაფარმა წარბი შეიკრა.

— აბა, აბა, მასეთები არ იყოს!

— ტყუილია, თუ? კიდევ სტუმრები მოვლენ და საჩუქრებს მოგვიტანენ.

დინარამ შვილს ხელი გადახვია და მაგიდასთან მიიყვანა, სტუმრებს საჩუქრებს რომ გამოართმევ, მადლობა უთხარი და ყველაფერი აქ დააწყვეო.

— ვიცი, ვიცი. — დაამშვიდა ყაფლანმა. ახლა მამის დარიგებები უნდა მოესმინა.

— ის თუ გახსოვს, მე რომ ტაშს ერთხელ შემოვკრავ, შენ რა უნდა გააკეთო? — არ დააყოვნა ანდუყაფარმა.

— კი, მახსოვს.

კახაბეროვიჩმა ხმას აუწია.

— ხოლო, მე რომ ტაშს ორჯერ შემოვკრავ...

— მაგიც ვიცი.

— ლექსი რომ უნდა თქვა სუფრაზე, ხომ არ დაგავიწყდა?

ყაფლანი სკამზე შეხტა.

მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი,
და განცხრომით სხვაგან ყოფნას
ქართლ-კახეთი, იმერეთი...

— დაგასხი თავსლაფი! — მიაწყევლა ანდუყაფარმა.

— რას იგინები, რას, შენი დღეობა ხომ არაა?

მამა-შვილის კონფლიქტში დედა ჩაერია.

— ნუ ჩქარობ, შვილო, და არ შეგეშლება.

მართლაც, ყაფლანს მეტი აღარ შეშლია.

და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი.

შერიგების ნიშნად ანდუყაფარმა შვილს ქოჩორი აუწეწა.

— ე, მასე, შე კაცო... მე კი შემაშინე და... სტუმრების მისასალ-

შებელი ლექსიც ხომ გახსოვს?

— მაგას ყველა სუფრაზე ვიმეორებ და რა დამავიწყებს.

კახაბეროვიჩს საბოლოოდ გამოუკეთდა გუნება.

— გენაცვალე მაგ ჩოხა-ახალუხში, ათი წლის რომ ასეთი კარგი ხარ, ოცის რომ გახდები, მაშინ რას იზამ?

— ცოლს მოვიყვან.

— ყაფლან, შვილო, ასე როგორ შეიძლება! — გაბრაზდა დინარა.

— თვითონ მასწავლა და რა ჩემი ბრალია!.. კარგი, ბატონო, არ მოვიყვან ცოლს, შოფერი ვიქნები, ნაგვის მანქანაზე დავჯდები და ყოველ დილით ზარს ავაწკრიალებ.

ანდუყაფარმა გულზე იტაცა ხელი.

— გადაუხადე ახლა ამას დღეობა, ბაწარში რომ ვყოფდე თავს, კი ჯობია!

ზარის ხმამ სტუმრების მობრძანება აუწყა მასპინძლებს. საშუალო და საშუალოზე დიდი მასშტაბის პიროვნებები იყვნენ. საჩუქრებიც თავიანთი ზომის მიხედვით მოიტანეს. ანდუყაფარმა და დინარამ ერთი ამბავი ატეხეს, რატომ წუხდებოდით, რა საჭირო იყო. სტუმრებიც ბოდიშს სტანდარტულად უბრუნდებოდნენ, როგორ გეკადრებათ, რა შეწუხებაა, და ყაფლანსაც სტანდარტულად შუბლზე კოცნიდნენ.

მაგიდაზე საჩუქრებმა იმატა, ყაფლანმა წითელი ბაფთებით შეკრული ფუთის გახსნა დააპირა, აინტერესებდა, რა მომიტანესო, მაგრამ მამის მუჯლუგუნი დაიმსახურა და მეტი აღარ უცდია.

ტელეფონმა დარეკა, ყურმილი კახაბეროვიჩმა აიღო.

— ანდუყაფარ ნიკურაძე გისმენთ... ლადიკო ხარ შენ?.. გასაგებია... მობრძანდები ხვალ სამსახურში და მერე ვილაპარაკოთ. — ანდუყაფარმა ცოლს გადახედა — განთავისუფლდა ქალო მეორე სკამიც.

— არ გაგიგონოს ვინმემ, სირცხვილია — შეწუხდა დინარა.

— ო, მე მაგის!..

— რას იზამ, მამიკო, გალახავ? — დაინტერესდა ყაფლანი.

— ჯერ შენ გაგლახავ, ენა რომ წაგიგრძელებია!..

— ხუმრობს ბავშვი, რა მოგივიდა! — უსაყვედურა დინარამ, სტუმრების დასანახავად კი სახეზე ღიმილი არ მოუშორებია.

— ყელში ამომივიდა მაგის ხუმრობა, მასლოკინებს, ბატონო!..

— წყალი დალიე და აღარ დაგასლოკინებს! — ურჩია ყაფლანმა. გალახვა არ აცდებოდა, მაგრამ ზარის ხმამ იხსნა.

კარებში არქიფო და კატუშა იდგნენ, დინარამ არქიფოს ხელი ჩამოართვა, მის მეუღლეს კი ლოყაზე ეამბორა. კატუშამ კოცნა დაუბრუნა და შემდეგ ყაფლანს მიესიყვარულა.

— დედა, შვილო, რამხელა გაზრდილხარ

ყაფლანი თითის წვერებზე წამოიწია.

— ჩქარა მაკოცე, ვერ ხედავ, ბიძია რიგშია.

არქიფომ აღტაცება ვეღარ დამალა,

— რა ენამოსწრებული შვილი გეზრდებათ, კახაბეროვიჩ.

— ენა, იცოცხლე, შამფურივით აქვს.

— კვიცი გვარზე ხტისო, ტყუილად კი არ ამბობენ, — არქიფომ ყაფლანს დიდი ყუთი მიაწოდა, — სულ ბედნიერებასა და სიხარულში, ჩემო ბიძიკო.

— ამხელა ყუთით რა მომიტანეთ?

— ყაფო, შვილო, არა გრცხვენია! — დატუქსა დინარამ.

— ყაფო კიარა, ყაფლანი ვარ მე და ეს საჩუქარიც დავდე აგერ შაგიდაზე!

კატუშამ ხელი შეაშველა, ფრთხილად, არ გატყდესო, მერე კი სხვების გასაგონად ამაყად განაცხადა, გერმანული სერვიზია, ამისთანას ბჟოლიეთში ვერსად ნახავთო. აბა, იმას არ იტყოდა, ნასესხები ფულით მაქვს ნაყიდი სპეკულიანტისაგანო. ქაფიანიძეები თავმომწონე ხალხი გახლდათ და ზოგიერთივით „ვეფხისტყაოსანს“ ხომ არ მიიტანდნენ საჩუქრად ოჯახში.

დინარამ ცნობისმოყვარეობა ვეღარ დამალა და ყუთი გახსნა.

— ნახე, ანდუ, რა ლამაზია..

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო არქიფო! — შეაქო ანდუყაფარმა.

—ნამდვილად შესანიშნავია, — დაუმოწმა დინარამ, რის გამოც ყაფლანის შენიშვნა დაიმსახურა, თუ ასე მოგეწონა, შენი იყოს, მე მხოლოდ ბურთი მინდა და სხვა არაფერიო.

— ბურთი რა სათქმელია, შვილო. — შეწუხდა დინარა.

— ბურთი მინდა მე. ჭიქებსა და თეფშებს, იცოდეთ, ყველას დავამტვრევ!

— ყაფო!

— ყაფლანი ვარ მე, ყაფლანი!

— დედა, რა ჭკვიანი ბავშვია, — ჩაილაპარაკა ერთმა სტუმარმა, ვითომ კროსვორდს რომ ავსებდა, სინამდვილეში კი არც ერთი სიტყვა არ დარჩენია მოუსმენელი.

— აბა, აბა! — კვერი დაუკრა მეორემ და ისიც დაუმატა, — როგორ ატყობ, სუფრაზე აღარ დაგვიძახებენ?

თითქოს მის სიტყვებს უცდიდაო, ანდუყაფარმა საზეიმოდ გამოაცხადა — მეგობრებო და კეთილებო, უმორჩილესად გთხოვთ, მობრძანდით!

ბატიჟით თავი არავის გამოუდვია, მაგიდას შემოუსხდნენ და ყბები აამუშავეს. კახაბეროვიჩმა მათ ხაჭაპურის ჭამა აცალა, მაგრამ კუჭმაჭზე რომ გადავიდნენ, სტუმრები ხელის აწევით შეაჩერა, შვილს კი ანიშნა, მოემზადეო.

— მზად ვარ, მამიკო! — მკვირცხლად უპასუხა ყაფლანმა.

ანდუყაფარმა ტაში შემოჰკრა, ყაფლანმა სკამი დაიდგა და კედლიდან ორი ყანწი ჩამოიღო. დიდი ჯიხვის რქა მამას გადააწოდა, თავისთვის მოზვერის რქა დაიტოვა. სტუმრები ერთხანს პირდაღებული შესცქეროდნენ, შემდეგ კი ტაში დასცხეს.

— აი, მესმის!

—ყოჩაღ, ყაფლან!

— ბიჭი ვარო, შენ უნდა თქვა!

— სიწყნარე, ბატონებო! — ბრძანა ანდუყაფარმა და პატარა ყა-

ნწში ღვინო შეავსო, — ყაფლანმა ძვირფას სტუმრებს სიტყვით უნდა მიმართოს.

მამამ რომ ტაში ორჯერ შემოჰკრა, შვილმა ყანწი მაღლა ასწია.

გაუმარჯოს კამპანიას,
გესალმებათ ყაფლანია!

აღტაცების შეძახილებსა და ტაშის გრიალში ყაფლანმა სულმოუთქმელად დასცალა სასმისი. ანდუყაფარმა შვილს ნაღვინევ ტუჩებში აკოცა.

— ღირსეულ შვილს უზრდიით, ანდუყაფარ კახაბეროვიჩ, ქვეყანას! — წამოდგა არქიფო.

— ყაფლან, ბიძიკო, დიდ ყანწზე როდის გადახვალ? — იკითხა ერთმა.

— მაგის დალევა მამაჩემსაც უჭირს.

— მოვა დრო და ამ ყანწსაც დაგალევინებ, შვილო, — დააიმედა ანდუყაფარმა. — შენ ახლა ღვინო ჩამომისხი.

ყაფლანი ისევ სკამზე შედგა და დოქიდან ჯიხვის რქაში ღვინის დასხმა დაიწყო.

არქიფოს ტანმა რაღაც ცუდი უაზრა.

— ქვევრი ხომ არაა, ავსებას რომ საშველი არ დაადგა!

ანდუყაფარმა ღვინო შეაქო, საკუთარი მოსავალია, შამპანურივით შუშხუნებს, შაქარივით ტკბილიაო

— კი, შაქარი ბევრი ვუქენით, — დაემოწმა ყაფლანი.

ანდუყაფარს მისთვის აღარ ეცალა, სტუმრებს მიმართა.

— ძვირფასო მეგობრებო, ამ სასიხარულო სუფრას ხელმძღვანელი სჭირდება, ყაფლანის დავალებით თამადად ვასახელებ...

უზარმაზარი ყანწით ანდუყაფარ ნიკურაძე მოპირდაპირე მხარეს დაიძრა. ძალიან მრისხანე შესახედავი უნდა ყოფილიყო, სუფრა რომ თვალს ვერ უსწორებდა. ზოგიერთი, ალბათ, მაგიდის ქვეშ შეძრომაზეც არ იტყოდა უარს.

— ვის ღუპავს, ნეტავ? — იკითხა უსინათლოთა კომბინატის მთა-

ვარმა ეკონომისტმა, რომელსაც ღვინის სმის დიდი სტაჟი ჰქონდა, მაგრამ ნიკურაძეების ჯიხვის რქამ საგონებელში ჩააგდო.

— აქეთ გამოიწი, შენ არ დაგასახელოს! — მოქაჩა ცოლმა, მაგრამ ტყუილად შიშობდა, ბედმა სხვას უმუხთლა. კახაბეროვიჩი არქიფოს დაადგა თავზე.

— დიახ, თამადად ვასახელებ...

— არ თქვა მაგი, იცოდე! — წამოხტა არქიფო, მაგრამ მარცხენა ხელით ანდუყაფარმა ისევ ადგილზე დასვა (მარჯვენაში ყანწი ეჭირა).

— თამადად ვასახელებ ჩემი ოჯახის შესანიშნავ მეგობარს და ჩვენი დაწესებულების სიამაყეს არქიფო ქაფიანიძეს!

— ცოდვა ვარ, კახაბეროვიჩ, ნუ დამღუპავ! — იყვირა ოჯახის მეგობარმა, მაგრამ მისმა ვედრებამ სუფრაზე მხოლოდ სიცილი გამოიწვია. სხვას რა ეწალღლებოდა. მხოლოდ არქიფოს არ ჰქონდა საქმე სასაცილოდ.

როგორც უკვე გითხარით, კატუშა ქაფიანიძე თავმომწონე ქალი გახლდათ და საზოგადოებაში შერცხვენას როგორ მოითმენდა!

— ამდენს რატომ ახვეწინებ, გამოართვი, კაცო, ხალხი გიყურებს, სირცხვილია! — უბრძანა ქმარს.

— მეუღლეც რომ შენი წინააღმდეგია, სხვა ვინ დაგიჭერს მხარს, — არქიფომ ნაცემი ძაღლივით მოავლო სუფრას თვალი და ოჯახის უფროსს სასმისი ჩამოართვა, — მაჩვენეთ, კახაბეროვიჩ, მაგი ყანწი, ეტყობა, ძალიან მძიმეა, ხელი დაგეღალათ.

ანდუყაფარმა შვებით ამოისუნთქა.

— გენაცვალე, არქიფო, ნამდვილი ვაჟკაცი ხარ.

— ჯერ ნუ მაქებ... აგი დასალევია, ხომ?

ბოლოს და ბოლოს, ოჯახის უფროსსაც ნერვები ჰქონდა

— კაცო, შენ პირველად ხომ არ ხარ სუფრაზე!

— მგონი, უკანასკნელად ვიქნები... ნუ გეწყინება, ჩემო კახაბეროვიჩ, მაგრამ მე თუ თამადად ამირჩიეთ და მე თუ სიტყვა დამეჯერება, ამხელა ყანწით სუფრას ვერ წავიყვან,

— რას ჰქვია, ვერ წაიყვან!

— აგე, ამ პატარა სასმისით მოვილხინოთ, — ჩაის ჭიქებზე უჩვენა არქიფომ.

უმრავლესობამ მხარი დაუჭირა.

— სწორია!

— აგაშენა ღმერთმა!

ანდუყაფარმა წელზე დოინჯი შემოიდგა.

— თქვენ აქ ადგილკომის სხდომა ხომ არ გგონიათ? იქნებ კენჭი ვუყაროთ: აბა, ვინ დალევს. აბა, ვინ ვერ დალევს... აბა, თავი ვის სტკივა...

— თავი მე მტკივა და ამხელა ყანწსაც ვერ მოვერევი, — უკან არ იხევდა არქიფო.

— მაშასადამე, ვერ დალევ, ხომ?

— პატარა სასმისით კი.

—აბა, ახლა მე მიყურე, — გაბრაზდა ანდუყაფარი, — ყაფლან, მოემზადე!

— მზად ვარ, მამიკო!

ანდუყაფარმა ტაში სამჯერ შემოჰკრა და ყაფლანმა კედლიდან ორლულიანი თოფი ჩამოიღო.

სუფრა განაჩენის მოლოდინში გაინაბა.

ანდუყაფარ ნიკურაძემ არქიფო ქაფიანიძისაკენ კოტიტა თითი გაიშვირა.

— შვილო, ყაფლან, ეს ბიძია თამადა შენს სადღეგრძელოს ყანწით არ სვამს. რა ეკუთვნის ახლა მაგას?

ყაფლანს არაფერი უთქვამს, არქიფოს ისე გაუსწორა შუბლში თოფი.

სიტყვა ვერც არქიფომ თქვა, მხოლოდ ყანწი აიფარა სახეზე ინსტინქტურად.

კატუშას ნერვებმა უმტყუნა.

— დალიე, არქიფო, არ მომჭრა თავი!

თითქოს მის კივილს ელოდაო, სუფრა ახმაურდა.

— დალიე, ვაჟკაცი არა ხარ!

— ბავშვს ნუ უყადრებ თავს, ცოდვა არ დაატრიალოს!

არქიფომ თვალი ჭერში აღაპყრო, მაგრამ იქ ღმერთის ნაცვლად ჩეხური ბროლის ჭაღი ეკიდა.

— რა ეშველება ჩემს დაობლებულ ცოლ-შვილს!.. ბიჭის დაქორწინება მაინც მომესწრო. — იმ სიტყვების შემდეგ ყაფლანს მიუბრუნდა — მოაცილე, ბიძიკო, შაგი დასაწვავი, თორემ ყანწი გამივარდება.

— ხომ დალევ?

— დავლევ, აბა, სხვა რა გზა მაქვს.

ყაფლანმა თოფი ისევ კედელზე დაჰკიდა. თამადამ მისი სადღეგრძელო დაიწყო.

— ამ პატარა ყანწითა და დიდი სიყვარულით მე შენს სადღეგრძელოს ვსვამ, ჩემო ყაფლან და ჩემო ბიჭიკო, შენ იცოცხლე და გაიხარე, როგორც მე გამახარე და შენი ბედნიერი დედ-მამა გაახარე!

— აბა, აბა, შაყირი არ გინდა! — გააფრთხილა ყაფლანმა.

— არც ამ ყანწის დალევა მინდა, მაგრამ ვინ გიჯერებს.

— ჩამოვიღო კიდევ თოფი?

— ჯობია, პირდაპირ ყუმბარა მესროლო... გაგიმარჯოს შენ და მშვიდობით, მეგობრებო!

არქიფო ნელ-ნელა შეუდგა სმას. ყველანი დაძაბული მიჩერებოდნენ, ვიღაცამ მოიფიქრა და გამხნევება დაუწყო.

მერე სხვებმაც შეაწიეს ხმა.

— აბა, ჰო!

— ცოტა გაუძელი და გადარჩენილი ხარ!

— შაიბუ, შაიბუ!

ხუთი წუთიც არ იქნებოდა გასული, მაგრამ არქიფოსათვის ხუთი საუკუნე იყო. ბოლო ყლუპი რომ დასცალა, როგორც იქნა, ყანწი მოიცილა და სუფრას გაოგნებული მიაჩერდა.

— დიდი მადლობელი ვარ, ჩემო არქიფო, — თავი მოწიწებით დაბარა ანდუყაფარმა, — ახლა დააყოლე რამე.

— რა მოგართვათ? — ალერსიანად ჰკითხა დინარამ.

— ტაშტი! — კბილებში გამოსცრა არქიფომ.

კახაბეროვიჩმა იფიქრა, ტაშის დაკვრას გვთხოვსო და უარს ხომ არ ეტყოდა.

— აბა, ტაში, არქიფოს, ტაში!

— ტაში კი არა, ტა-შტი! — სლოკინით დამარცვლა არქიფომ და ამღვრეული თვალებით მასპინძელს მიაჩერდა.

მარცხი გარდაუვალი იყო. ანდუყაფარი ვერც ტაშტის გამოტანას მოასწრებდა და ვერც არქიფოს გაყვანას. სუფრა აირია, ვინ სად გარბოდა, არავინ იცოდა.

— ტაშტი, ტაშტი! — უკანასკნელად იყვირა არქიფომ.

გაბირვებულ კაცს ქვა ალმართზე ფიენდა

დაღამდა. მოშიებულმა ხალხმა ივახშმა და მოსასვენებლად ლოგინებს მიაშურა. ამასობაში მთვარემაც მოათავა ვახშმობა და ბეოლიეთის დაღლილ მოქალაქეებს ფერად-ფერადი სიზმრები მოუვლინა. ერთადერთი კაცი, რომელსაც არც საჭმელი ეჭამა და არც დაძინებას ფიქრობდა, ნიკიფორე დამტარებელი იყო. იჯდა არქიფოს სახლის კიბეზე და გაჩენის საათს იწყევლიდა, მე რომ ბედი მქონებოდა, გაწყობილ სუფრაზე დამსვამდა ამაღამ და არა ამ ეზოშიო.. მოვკვდი ამდენი ლოდინით. თვითონ რა ენაღვლებათ. ჭამენ ახლა ღომს და სულგუნს ლამაზად, მშიერმა ნიკიფორემ კი უნდა იყურყუტოს ამ ბნელ ღამეში!.. რომ არ ჩავაბარო, არ იქნება, თანაც, საკუთარ ხელ-

შიო, გამაფრთხილეს, ფოსტალიონივით სხვას არ დაუტოვოო.. არა, მეტი აღარ შემიძლია. მეც კაცი ვარ და კუჭი მეცა მაქვს, რაც არის, არის, ავდგები და მეზობელს დასტოვებ.

ნიკიფორე წამოდგა და ტარასის ფანჯრებს გაუსწორდა.

— მაინძელო. მაინძელო, უუ! არც თქვენ გეყურებათ არაფერი?

ჩაბნელებულ სახლში სინათლე აინთო და ფანჯარაში ტარასის თავი გამოჩნდა.

— რა გაყვირებს, კაცო, ამ შუაღამისას? — სიბნელეში გასძახა შეშინებულმა ტარასიმ. თუმცა ტყუილად შიშობდა. არავისთვის არაფერი დაეშავებინა და ტერორს რატომ დაუნიშნავდნენ.

— გაჭირვება მაყვირებს. — დაუბრუნეს სიბნელიდან პასუხი.

ტარასიმ „ბესეტკაშიც" აანთო სინათლე და ღამეული სტუმარი იცნო.

— ნიკიფორე დამტარებელი ხარ შენ? ჩემთან არ იქნები მოსულხ.

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა, თუ კაცი ხარ, ეს ქაღალდი გამომართვი.

— ვისია, კაცო, აგი? — ჯიბეში სათვალეს დაუწყო ძებნა ტარასიმ, მაგრამ დროზე გაახსენდა, რომ ნიფხავ-პერანგზე ჯიბე არ ჰქონდა.

— თქვენი მეზობლის, არქიფო ქაფიანიძის ქაღალდია. — აუხსნა ნიკიფორემ.

უწყინარი კაცი იყო ტარასი ბურძგლა, მაგრამ კვარტალში ერთხელ გაბრაზება იმასაც შეეძლო.

— შენ მე სულელი ხომ არ გგონივარ!

— როგორ გეკადრებათ.

— აბა, შენ როგორ გეკადრება, ამ შუაღამეზე რომ მაღვიძებ და აუტკინელი თავი გინდა ამატკინო.

— რა მოხდა ასეთი, ამ ერთ განაწერა ქაღალდს მეზობელს ვერ გადასცემ?

— დილას რომ იძახდი, ბომბიაო? — გაახსენდა ტარასის, — ტყუი-

ლად მალაპარაკებ ახლა. ფულს მაგისთვის გაძლევენ შენ და საკუთრად უნდა გადასცე.

— როგორ გადავცე, დაიკარგნენ ეს ოჯახაშენებულები, ბოლოს და ბოლოს მეც ადამიანი ვარ და...

ტარასიმ ხელი ასწია. ერთი წუთით შემიჩერდით, და სმენად გადაიქცა.

— ნუ გეშინია, მოდიან აგერ! — დააწყნარა ნიკიფორე.

ღამის სიჩუმეში რაღაც არეული ხმები ისმოდა, როგორც შემდეგ გამოირკვა, თურმე არქიფო ქაფიანიძე მღეროდა. თავის ჭკუაზე რომ ყოფილიყო, სასიმღეროდ არ ექნებოდა საქმე, მაგრამ ახლა ვინ დააჯერებდა, მთვრალი ხარ და ტაშტიც მოითხოვე სუფრაზეო.

ნიკიფორე ბოძს ამოეფარა. მაგი ოფოფებს ააფრენს და როყიოდ მისვლა არ ივარგებსო.

არქიფო მეფაიტონის სიმღერით შემოვიდა ეზოში. კატუშა სახლში ექაჩებოდა, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, სანამ სიმღერას არ დავამთავრებ, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო.

— სიკვდილი შენი და არგადარჩენა! — მიაწყევლა კატუშამ და სახლში შევიდა.

არქიფო შემოქმედებითი ძალების მოზღვავებას გრძნობდა,

ძველი თბილისი ლოთებს იგონებს,
გულზე მაწვება დარდი,
ერთ დროს პირველი მეფაიტონე,
ახლა ქუჩაში დავდი... ვარ.

არც სიტყვები იცოდა, არც სმენა ჰქონდა, მაგრამ მაინც მღეროდა.

ტარასიმ ვეღარ მოითმინა

— რა იყო, არქიფო, რა გატირებს?

— ამას ვის ვხედავ, გამარჯობა შენი, მეზობელო! — ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა ქვემოდან ტარასის.

— ბევრი დალიე?

— კი დავლიე, მაგრამ ჩიტივით ვარ, ჩიტივით!
— გეტყობა... წადი ახლა და დაიძინე.
— არ დავიძინებ!
— აბა, მე დამაძინე.
როგორც კი ტარასიმ ფანჯარა დახურა, ნიკიფორე საფარიდან გამოვიდა.
— გამარჯობა, არქიფო!
— რომელი ხარ, კაცო, შენ!
— ასე რამ შეგაშინა, გამოვალ აგერ სინათლეზე.
— შემაშინე, თორემ ფული არ მინახო ერთბაშად! — არქიფომ ჯიბეები გადმოაბრუნა, — ა, ბატონო, გახვრეტილი შაურიანიც არაა შიგ.
ნიკიფორე ახლოს მივიდა და დაუყვავა.
— ხომ მიცანი, ნიკიფორე ვარ მე, დამტარებელი.
არქიფომ იცნო.
— მღუპავ, ხომ?
— ჯერ ეს გამომართვი — აბი მიაწოდა ნიკიფორემ.
— საწამლავს მაძლევ?
— ვალიდოლია. ჯერ მაგი გადაყლაპე და მერე ეს ბარათიც ჩაიბარე.
არქიფომ ხელი თავში შემოირტყა.
— მომკალი, ხომ, ნიკიფორე შეჩვენებულო, დამიქციე ოჯახი!
— ჯერ წაიკითხე, კაცო, ყვირილს მერეც მოასწრებ.
არქიფომ წაიკითხა:

სერაპიონ ქარცივაძის გაუბედურებული ოჯახი
აცნობებს არქიფო ქაფიანიძის ოჯახს, რომ
99 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა
ეპრაქსი სიიტოს ასული ქარცივაძე.
კანაშვიდი ყოველდღე.
დაკრძალვა და ქელეხი ყვირას ხუთ საათზე.
ავტობუსი ნომერი 16.

ქარცივაძეების გლოვა ბეოლიეთში ყველამ გაიზიარა, ბუნების გარდა. მხოლოდ ბუნებას არ ჰქონდა სატირლად საქმე. ეპრაქსის დაკრძალვის დღეს მშვენიერი მზიანი დარი იდგა, არც ცხელოდა და არც გრილოდა.

საათის ისრები სამს მიუახლოვდა თუ არა, 16 ნომერი ავტობუსით, ტაქსებით, კერძო მანქანებით თუ ფეხით ხალხი სერაპიონ ქარცივაძის სამოსახლოსაკენ დაიძრა.

როგორც მწუხარების დღეს შეეფერება, ყველაფერი მასშტაბურად გაეკეთებინათ. უზარმაზარი, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სახლის ფასადზე შავი არშია გაეკრათ და ზედ თეთრი ასოებით დაეწერათ: „დავსტირით უდროოდ დაკარგულ ეპრაქსის“, აივანზე შავებში გამოწყობილი ჭირისუფალი იდგა. ეზო ჭიანჭველების ბუღეს გავდა. ვინ სად მიდიოდა და ვინ რას აკეთებდა, . გამოუცდელი თვალით ძნელი იყო დადგენა, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებოდით, შეამჩნევდით, რომ ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით ხდებოდა, ამ წესრიგს კი სპეციალურად გამოყოფილი პიროვნებები — დამპატიჟებელი, ფულის შემგროვებელი და ამნაირი პროფესიის ხალხი იცავდა. ერთი მათგანი ოპერატიულ ცნობებს მიკროფონით გადასცემდა და რადიოში გაძლიერებული მისი ხმა ეზოს ყველა კუთხეში ისმოდა.

— ყურადღება, მესამე სეფაში ახალი კიტრი და პამიდორი.

— ჭირისუფალი მოემზადოს, მოტირლები მოდიან!

— ორკესტრმა „გაფრინდი შავო მერცხალო“ დაუკრას.

ამ ბრძანების გარეშეც ხალხური საკრავების ორკესტრი თავის საქმეს მაინც გააკეთებდა, მაგრამ შეხსენება პასუხისმგებლობის გრძნობას აძლიერებდა.

— რა ლობიო აუთავდება ამდენ ხალხს.

— თითო კაცზე პორცია სამი თუმანი ჯდება.

დამპატიჟებელი კი ხალხის ყოველ მოსვლაზე ფულის შემგროვებელს ერთსა და იმავეს ეკითხებოდა.

— რამდენი შეგროვდა ჯერჯერობით?

— ნუ გეშინია, მიცვალებულსაც დამარხავს და სახლსაც გადახურავს.

— ქალი ვარო, ეპრაქსიმ უნდა თქვას.

— შენ შეეწიე ეპრაქსის!

— ერთბაშად ასი მანეთი არ დაწერო ჩემს ტირილში.

ამ ლაპარაკში რადიომ გამოაცხადა, ყურადღებით იყავით, ქაფიანიძეების ოჯახი მოვიდაო.

არქიფოს და კატუშას დამკვრელები „დაისის" უვერტიურით შეეგებნენ. მუსიკა რომ დამთავრდა, არქიფომ ცოლს ხელი წაკრა, მიდი, ახლა შენი ჯერიაო.

— სახელი რა ჰქვიოდა, დამავიწყდა, — შეწუხდა კატუშა.

არქიფომ შავი არშია დაანახვა, ამხელა წარწერას ვერ ხედავ შენო!

კატუშას თმა არ გაუშლია, მაგრამ მოთქმა ენერგიულად დაიწყო:

— ეპრაქსი, ბებია ეპრაქსი!

— ბებია ეგებ არ ესიამოვნოს ჭირისუფალს.

— ეპრაქსი, დეიდა ეპრაქსი!

— დეიდა ძალიან ახალგაზრდა იქნება.

კატუშამ გადაწყვიტა, ნათესაური კავშირი სულ არ ეხსენებინა:

— ეპრაქსი, ეპრაქსი, შენ რომ საქმის გაკეთება იცოდი, ეპრაქსი!

— სვეტიცხოველი ხომ არ აუშენებია?.. — არც ახლა მოეშვა არქიფო.

— შენ რომ ხაჭაპურის გამოცხობა იცოდი!

— არ მიჭამია მე მაგის გამომცხვარი ხაჭაპური!

გაბრაზებულმა კატუშამ უკან მოიხედა.

— რა ვთქვა, აბა, არქიფო! არქიფო, არქიფო!

— ეპრაქსია, ქალო, მკვდარი, ჩემთან რა გინდა!

— ეპრაქსი, ეპრაქსი!

როგორც იქნა აივანზე ავიდნენ და ჭირისუფალს მიუსამძიმრეს:

— ო, რა უბედური ვართ, რა უბედური! — მოთქვამდა კატუშა.

— კარგი ახლა, ნუ ჩაყვები სამარეში! — არქიფოს ერთი სული ჰქონდა, ოთახიდან როდის გავალო. ცნობისმოყვარე ხალხის მზერას ვერ იტანდა.

— ნახვამდის, ეპრაქსი, ნახვამდის, მეტს ველარ გნახავ ვერასოდეს! — დაემშვიდობა კატუშა.

— ერთბაშად თამარ დედოფალს ვერ ნახავდე!

როგორც იქნა, ეზოში ჩავიდნენ და არქიფომ თავისუფლად ამოისუნთქა.

დამპატიჟებელმა კატუშა სეფაში მიიპატიჟა. არქიფოს კი მანამდე ფულის შემგროვებელი უნდა ენახა, ლეღვის ძირში იჯდა, პატარა მაგიდასთან, მაგიდაზე რვეული, ქიმიური ფანქარი, საანგარიშო, ღვინის სურა და პატარა ჭიქა ედგა.

— თქვენი, გვარი? — ჰკითხა შემგროვებელმა და როცა ვინაობა გაიგო, ფანქარი მოიმარჯვა, — მაშასადამე არქიფო ქაფიანიძე... რა თანხით შეეწევით გაუბედურებულ ოჯახს?

არქიფომ ოფლი მოიწმინდა (ცხელოდა).

— ბოდიში, მაგრამ სხვა რამდენით შეეწია?

— თანხას რა მნიშვნელობა აქვს, ჩემო ბატონო, — ზრდილობიანად შეახსენა შემგროვებელმა, — მთავარია დაფასება და პატივისცემა.

— სამხედრო საიდუმლოებაა?

— გეტყვი ახლა, მაგაზე გაწყენინებ! — შემგროვებელმა რვეული გადაშალა — სამ თუმანზე ნაკლები არც ერთს არ დაუწერია. ანდუყაფარ ნიკურაძე ორმოცდაათი მანეთით დაეხმარა ობლებს.

— ანდუყაფარ ნიკურაძე კი დაეხმარებოდა.

— რა ბრძანეთ?

არქიფომ გულის ჯიბე შეიხსნა.

— ჩამიწერე მეც სამი თუმანი.

შემგროვებელმა ფანქარი ენის წვერით დაასველა.

— ესე იგი, არქიფო ქაფიანიძის სამი თუმანი... აღარ ეტევა რვეულში ამდენი გვარი. — საანგარიშოს რგოლები ჩამოყარა, მაშასადამე, ოთხი ათას, ცხრაას ორმოცდაათი მანეთი. კიდევ ხუთი თუმანი და გახდა ხუთასი თუმანი! ნიჩავო, ეპრაქსი, უყიდის შვილიშვილს შანქანას!

— მე თავისუფალი ვარ? — შეახსენა არქიფომ.

შემგროვებელმა ღვინო დაუსხა, ამ პატარა ჭიქით მიცვალებულის შესანდობარი დამილიეო, მაგრამ დამპატიჟებელმა არ დაანება, შესანდობარს სხვაგან დალევს აგი პატიოსანი კაციო, ხელი გამოსდო და სეფისაკენ წაიყვანა.

— როგორ გეკადრებათ! — თავი გამოიდო არქიფომ.

— დროზე დაიმშვენეთ ხელი, გადამთიელი ხომ არა ხართ, ამდენს რომ მახვეწნინებთ! — დამპატიჟებელი სეფაში შეუძღვა, — სუფრის თავში დაბრძანდით, პატივცემულო.

— კარგი, დავჯდები, მაგრამ ცოლი დამებნა სადღაც. — გაახსენდა არქიფოს.

— თქვენი მეუღლე თევზს მიირთმევს უკვე... თქვენც უნდა დაუჩქაროთ პატარა.

არქიფომ ლობიო გადმოიღო.

— ვიცით რაღაც უცნაური, რა საჭიროა დღეს ქელეხი, შია ვინმეს?

— აბა, აბა! ზოგიერთმა უხიზილალოდ დაიწყო ქელეხის გადახდა. მერე, ალბათ, ფლავსაც აღარ გამოიტანენ სუფრაზე, — დამპატიჟებელმა გათლილი ჭიქა შეავსო, — ოჯახის განკარგულებით ამ მაგიდის ხელმძღვანელად ვასახელებ არქიფო ქაფიანიძეს.

— მე ღვინოს არ ვსვამ, გული მტკივა. — წამოდგომა დააპირა არქიფომ.

— გული დღეს ყველას ტკივა, იმისთანა ადამიანს ვდებთ მიწაში.

არქიფო არ დანებდა.

— წნევა მაქვს, ხელი მიკანკალებს.

— თქვენ გამოთქვით და, რამდენიც გაგიხარდებათ, იმდენი დალიეთ. — ოღონდ არ დაგავიწყდეთ, 19 ჭიქა დაიბარა მიცვალებულმა.

დრო არ იცდიდა. სანამ არქიფო მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდა, ოჯახის ნათესავებისა და ახლობლების სია მიუტანეს. სადღეგრძელოები თითო ჭიქით დაიწყეს, მაგრამ შვილებზე რომ მიდგა ჯერი, თეფშზე ხუთი სასმისი ჩაუმწკრივეს.

— ხუთი ერთბაშად?

— კი,' ბატონო, ხუთი ვაჟკაცი გაუზარდა სამშობლოს ეპრაქსიმ.

ხუთ შვილს ათი შვილიშვილის სადღეგრძელო მოჰყვა და არქიფოს სათვალავი აერია.

სეფაში დამპატიჟებელმა შემოჰყო თავი.

— დაუჩქარეთ, დეპეშების წაკითხვა იწყება!

ახლა უკვე ფეხზე ამდგარი სვამდნენ.

— გაუმარჯოს შვილიშვილებს!

— სიცოცხლე და ბედნიერება ბადიშებს!

— პატივცემულო საზოგადოებავ, — ტელევიზიის დიქტორს ბაძავდა ვიღაცის ბარიტონი, — ეპრაქსი ქარცივაძის გარდაცვალებისაღმი მიძღვნილ მიტინგს გახსნილად ვაცხადებ... სამგლოვიარო კომისიის სახელზე შემოსულია დეპეშები სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონული ცენტრებიდან...

კატუშამ, როგორც იქნა, მოახერხა ქმართან მისვლა.

— აღარ ადგები აწი ზედ, გაასვენეს მიცვალებული!

— მივეწევით, ბატონო, მივეწევით!

— შენი სიკვდილი და არგადარჩენა, როგორც შენ გალოთდი და ბოლო მოგეღო!

გარედან კი სხვანაირი შეძახილი ისმოდა.

— ე, ბიჭო, შეუდექი კუბოს!

— თუ არ შეგეძლო, ამდენს რატომ სვამდი?

— ეპრაქსი, ეპრაქსი, სად მიხვალ, ეპრაქსი!

— ეპრაქსი კი მიაგნებს საფლავს, მაგრამ მე სად უნდა წავიდე? — ბოლო წინადადება არქიფო ქაფიანიძეს ეკუთვნოდა.

ნიკიფორე დამტარებელი არქიფო ქაფიანიძის კიბეს აუყვა.

ორშაბათი იყო. 16 საათი და 30 წუთი. შემოდგომის მწუხარე ციდან სევდიანად იყურებოდა დაღლილი მზე.

— ბეოლიეთში ტირილსა და კამპანიებს რა გამოლევს, — გულწრფელად წუხდა ნიკიფორე — დაექცა ოჯახი, ვინც ჩემი პროფესია მოიგონა!.. რა ვქნა ახლა, რა პირით შევხედო არქიფოს, ტყვია რომ მესროლოს, ახია ჩემზე!

ნიკიფორეს სახლში შესვლა და კივილის ატეხა ერთი იყო.

— გვიშველეთ!

— მოგვეხმარეთ!

— დავიღუპეთ!

ასეთ შეცხადებას მეზობლები შეჩვეულნი იყვნენ და ამბის გასაგებად არავინ გამოსულა. ტარასი ბურძგლა იმას დარდობდა, არქიფო რომ ფულის სასესხებლად მომადგება, უარი როგორ ვუთხრაო.

ნიკიფორე დამტარებელი რომ უკან გამობრუნდა, ხელში შავარშიაშემოვლებული ქაღალდი ეჭირა და, ვინ იცის, მერამდენედ კითხულობდა:

მეუღლე კატუშა,
შვილი ბონდო
იუწყებიან, რომ...

ძობანა

თოვს ფშავის მთებში.

მთის ფერდობზე, თოვლში გაკვერილ სამარხილე გზაზე მთვრალი ფშაველი ჩამოდის ბარბაცით. უკან ძაღლი მოსდევს. ძაღლს ძობანა ჰქვია.

კუდის ქნევით მოჰყვება ძობანა პატრონს.

ცივა.

არაყსა და სიცივეს ისედაც მწითური ფშაველი უფრო წამოუწითლებია. მობარბაცებს. ხან სად გადავარდება გზის ძირ, ხან სად.

ძობანა უკანა ფეხებზე ჩამოცუცქდება და ელოდება.

ფშაველი გზაზე ამობობღდება, ტანსაცმელს ჩაიბერტყავს და წავა ბარბაცით. ცოტას რომ გაივლის, კიდევ გადავარდება გზის ქვემოთ.

ძობანა ისევ უკანა ფეხებზე ჩამოცუცქდება და ჩაჰყურებს პატრონს. ძაღლს ჭკვიანი, ერთგულებით სავსე თვალები აქვს.

მერე ფშაველი ისევ გზაზე ამოვა.

ძობანა უკან გაჰყვება კუდის ქნევით.

ფშაველი ერთსაც წაიბარბაცებს და გზიდან გადავარდება,

თოვლი დიდია და ქვები არ ჩანს.

გზისაკენ მიბობღავს ფშაველი. ახლა მას სულმთლად წითელი სახე აქვს.

ძობანა უკანა ფეხებზე ჩამომჯდარა და გადმოჰყურებს. თვალებში ირონია უციმციმებს.

ფშაველი თოვლში მიბობღავს.

ძობანას თითქოს ეღიმება, ხან იქით გადაიქნევს თავს, ხან აქეთ.

ფშაველი ძაღლს შეხედავს, უყურებს, უყურებს და შეუმღერებს:

ნელა იარე ძობანავ,
ცუდი გზებია ზოგანა.

ძობანა ეტყვის:

რაღა ჩვენდ არის ცუდ გზები,
სუ ესე დადის ქვეყანა.

ძაღლს უსაზღვროდ კეთილი და ირონიით სავსე თვალები აქვს.
მერე ფშაველი ისევ გზაზე ამოვა და ბარბაცით წავა.
ძობანა უკან მიჰყვება.
ორივენი მთვრალები არიან, ფშაველი არყით, ძაღლი კი პატრონის სიყვარულით.
თოვს.
თეთრი ფანტელები მობარბაცებენ ციდან.
თითქოს ისინიც მთვრალები იყვნენ.
თოვს...

როლანდ ჯალაღანია

ოჰ, ეს ტელეფონი!

ბოლო ჰიქამ წერტილი დაუსვა ჩემს მიკიბულ-მოკიბულ სადღეგრძელოებს. უკანასკნელი, რაც იმ ღამეს დავიმახსოვრე, თამადის სიტყვები იყო, ჩემს მეუღლეს რომ ეუბნებოდა:

— რა ვქნა, ჩემო დაიკო, შენი ქმარი არც სუფრაზე ვარგებულა მოადგილედ! ეჰ, ეგ ჩემი სიძე არ იყოს და მოგიკვდეთ ტარიელ მარიფათიძე, თუ ან აქ, ან სამსახურში მოადგილედ დამენიშნა!

მეორე დილით გაღვიძებას სიკვდილი მერჩია. თავზე თითქოს ტყვიის ჩაფხუტი მეხურა და, საერთოდ, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სხეულის თითოეული ნაწილი ცალ-ცალკე ეწყო ლოგინზე. ცალი თვალი ოთახს მოვავლე, ცალი ხელით ბორჯომის ბოთლს გადავწვდი, მეორეთი კი ტელეფონის აპარატი მოვძებნე.

— ალო! გამარჯობა შენი! — ძლივს ამოვილუღლუღე.

— გაგიმარჯოს! — ჩაიდანივით ათუხთუხდა წუხანდელი თამადა.

— არც შენ წასულხარ სამსახურში?

— გაგიჟდი?! სამსახურში წასვლა კი არა, საკუთარი სახელი და გვარი არ მასხოვს. შაქრიანი ღვინო გვასვა ალბათ, მაგ ოჯახდასაქ-ცევმა! — აბურტყუნდა ტარიელი.

— მაინც რა იყო, რომ გაგვჭყიპე შაქარწყლით?! — შევაგდე გუ-შინდელი თამადა სინდისზე.

— რომ მცოდნოდა ასეთი სუსტი იყავი, ჯერ დას არ გაგატანდი-ცოლად და მერე ჩემს მოადგილეობას არ გაღირსებდი!

— ჰო, ბიჭო! მოიშორე ყველა ნათესავი და ვინ დაგრჩება სამსა-ხურში იმასაც დაინახავ! თუმცა, როგორ არ დაგრჩება! მაინც სად გა-მოძებნე პირად მდივნად ასეთი გაპუტკუნებული გოგო, ა?!

— აბა, აბა! ეგეთები არ იყოს, თორემ ხელად მოვახსენებ ჩემს დაიკოს, ჩვენს ახალ ეკონომისტთან რომანი რომ გაქვს გაჩაღებული!

— როგორ, თინა ინჟინერი არ არის?

— რა თქმა უნდა, არა!

— ისე, არც შენი მამიდაშვილი ყოფილა დიდი მსმელი ვაჟკაცი, აი ის, უსაფრთხოების ინჟინრად რომ მუშაობს ჩვენთან! — შური ვიძიე მე.

— მამიდაშვილი კი არა, ბიძაშვილია! — კვლავ დაზუსტდა გენეა-ლოგიური თანმიმდევრობა.

ნამდვილად არ გამოფხიზლებულა ჯერ ბოლომდე ტარიელი. მთლად აურ-დაურია ყველაფერი. ჩვენი მთავარი ინჟინრის მოადგი-ლე მისი სიდედრის დისშვილია. მთავარი ინჟინერი კი სიდედრის ბიცოლას ძმისშვილი. ისე კი, მეცოდება. საწყალი ტარიელი — ამდე-ნი ნათესავის შემყურეს, იმის საშუალებაც კი არა აქვს, სამსახურ-ში თავის საოცრად ლამაზ და მიმზიდველ პირად მდივანს მოეფეროს. მიუგდებს რამდენიმე დაშიფრულ ფრაზას და იმის შიშით, ნათესავე-ბიდან ვინმემ არ ჩაუკაკლოს ჩემს მეუღლესო, გადაიკარგება ხოლმე საწყალი კაცი თავის მდივნიანად მთელი დღე. ეს არის საქმე?

ტელეფონის მავთულის მეორე ბოლოში კვლავ ათუხთუხდა ჩაიდანი:

— კარგი იყო ახლა „პახმელიაზე“ გამოვსულიყავით!

— ჰოდა, წავიდეთ, ჩემო ტარიელ, პანტიანში!

— შენ, გეტყობა მართლა მაგრად დამბალხარ გუშინ. როდის აქეთ ვამხადე ტარიელი, ორმოცი წელია თენგიზი ვარ!

— მართლა არ ვარგებულხარ ქარხნის დირექტორად, თუ ასე ცუდად იტან ღვინოს!

— კი მაგრამ, თქვენ ვისთან რეკავთ?

— როგორ თუ ვისთან?! რქისა და ჩლიქების გადამამუშავებელი ქარხნის დირექტორ ტარიელ მარიფათიძესთან, — გავაოფიციალურე ქილო.

— არა, გენაცვალე, შეგეშალათ! მე ბეწვეულის ფაბრიკის დირექტორი თენგიზ შნოიანი ვარ! — განმუხტეს სიტუაცია მავთულის ბოლოში.

— უჰ, ბოდიში!

ნატურალიზმის მსხვერპლი

ორშაბათ დილით განყოფილებაში მდივანი გოგონა შემოგოგმანდა.

— ბატონო ირაკლი, რედაქტორი გთხოვთ.

— აღარ არის საშველი ამ ლოთებისაგან! — კაბინეტში შესვლისთანავე მომახალა მთავარმა რედაქტორმა, — წარმოგიდგენია? გუშინ მე და ჩემი მეუღლე ჩაის სახლიდან ვბრუნდებოდით. კონგლომერატიული ტიპის ახალი ჩაის სახეობის დეგუსტაციაზე გახლდით სხვა ამხანაგებთან ერთად. მოვდივართ ჩვენთვის, ქუჩაში მოვსეირნობთ...

— როგორ, მანქანა გაგიფუჭდათ, ბატონო სვიმონ?

— არა, მანქანა იქვე იდგა. უბრალოდ, ჩაის სახლიდან მანქანისაკენ მივდიოდით და, ნუ გამახსენებთ... მოდიან ორნი, ფეხარევით, შეხე-

დავ, ინტელიგენტებს გვანან. მოკლედ, ერთმა მათგანმა ჩემს მეორე ნახევარს თვალი ჩაუკრა... ჩემო ირაკლი, ზოგადი სახის კრიტიკული წერილი უნდა მოამზადო ლოთობის პრობლემაზე. რაც შეიძლება ნატურალური და აქტუალური უნდა იყოს. ისეთი რომ, ფელეტონს ღვინის სუნი ასდიოდეს. მასალა, სამ დღეში, მაგიდაზე უნდა მედოს. ამასთან დაკავშირებით დღეს და ხვალ სამუშაოდან განთავისუფლებ. გაიარე ქალაქში, შედი რესტორნებში, სახინკლეებში და პროფესიონალი ლოთების ხშირი თავშეყრის სხვა ადგილებში. გამოსაფხიზლებელში ნუ წახვალ, იქ ლოთები შედარებით ჭკვიანად იქცევიან, განსაკუთრებით, თუ დაჯარიმება ელით. საფელეტონე მასალა რომ ზემოქმედების მომხდენი და ბუნებრივი გამოვიდეს, ნებას გაძლევ, რომ ამ შემოქმედებითი მივლინების მეტი წილი ბახუსის ტყვეობაში გაატარო. ლოთობისათვის გაწეულ ხარჯებს გაძლიერებული ჰონორარით აგინაზღაურებ!

მივიღე რა რედაქტორის საპატიო დავალება, რედაქციის ურთიერთდახმარების სალაროდან სამოცდაათამდე მანეთი გამოვიტანე სესხად და რესტორან „კულინარიის ღიმილისაკენ“ გავქანდი. გადავაბიჯე თუ არა რესტორნის ზღურბლს, წამსვე დავივიწყე (რაღა თქმა უნდა, საქმისათვის), რომ სოლიდური ჟურნალის რედაქციის განყოფილების გამგე ვიყავი და მთელი არსებით შევიჭერი გამოუსწორებელი ლოთის როლში. ოფიციანტს თითების ტკაცუნით მოვუხმე. სამი ბოთლი „წინანდალი“, გუდის ყველი, თონის პური, მწვანილი და მწნილეული მოვატანინე, სამზარეულოში კი ხბოს მწვადები შევუკვეთე. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ შეკვეთილი სასმელ-საჭმელი ოფიციანტმა მოხერხებულად დამილაგა მაგიდაზე, თან რაღაც საეჭვოდ მიყურებდა. ღვინის ბოთლები რომ გახსნა, მგლის მადა მისურვა, თვითონ კი რესტორნის მარჯვენა კუთხეში, ესტრადის ქვემოთ მიდგმულ მომცრო მაგიდასთან განცხრომით მჯდომ ადმინისტრატორს მიუახლოვდა და ყურში რაღაც წაუჩურჩულა, თან ჩემზე ანიშნებდა. გულში მიხაროდა, ყველაფერი ჩემს მიერ დეტალურად შემუშავებული გეგმის მიხედვით რომ მიდიოდა.

რესტორან „კულინარიის ღიმილში“ გვიანობამდე ვიჯექი, სანამ ადმინისტრატორმა და მორიგე რაზმელმა ძალით არ გამომიყვანეს. იმ ღამესვე შევეცადე დამეწერა ფელეტონი. სიტყვა საქმედ ვაქციე და მეორე დილით ფელეტონი რედაქტორს მაგიდაზე დავუდე.

— მდაა, მასალა მშრალია!

— მშრალი ღვინო ვსვი წუხელ და... — შევეცადე გახუმრება. იქვე შორიახლოს მდგარ ბორჯომის ბოთლს დაუკითხავად გადავწვდი.

— ამხანაგო ქართველიშვილიძე! ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენი წერილი პრობლემურია და ფრიად აქტუალურ საკითხს ეხება. დამატებით კიდევ ერთ დღეს გაძლევთ, ზეგ წერილი პირდაპირ სალინოტიპო საამქროში უნდა ჩაიგზავნოს!

ურთიერთდახმარების სალაროს, რედაქციის უკიდურესი საჭიროებისათვს, რა თქმა უნდა, კიდევ დავესესხე ორმაცდაათიოდე მანეთი და კვლავ რესტორან „კულინარიის ღიმილისაკენ“ გავეშურე. ფელეტონი რომ ზომაზე მეტად დამაჯერებელი გამომსვლოდა, ამჯერად ოთხი ბოთლი „წინანდალი“ დავუკვეთე ყოველგვარი დასაყოლებლის გარეშე. პირველი ორი ბოთლი მადიანად შევსვი, მესამე ბოთლზე მომეჩვენა, რომ რესტორნის დარბაზში მეტისმეტი მოწყენილობა იყო და ხმამაღლა გავეცი განკარგულება დამკვრელებს „ჩვენებური ლოთიანი“ დაეკრათ. ჩემს გამოსვლას დამკვრელებზე არავითარი რეაქცია არ მოუხდენია. ცოტა არ იყოს ვიწყინე ასეთი უყურადღებობა და ჩემი პროტესტი მაგიდაზე მუშტის დაბრახუნებით გამოვხატე, რის შედეგადაც „წინანდლით“ სავსე ბოთლი ახტა და იატაკზე დავარდა. ბოთლი, რაღა თქმა უნდა გატყდა, ვიღაცას ღვინო მიესხა, შემდეგ კი...

მეორე დილით, გადაკეთებული და მწვავე სათავგადასავლო სიტუაციებით გამდიდრებული რამდენიმე გვერდიანი ფელეტონი სათაურით „ლოთი საზოგადოების მავნე მტერია!“ რედაქტორს დავუდე მაგიდაზე. ბატონ სვიმონს ფელეტონისათვის ზედაც არ შეუხედავს, უჯრა გამოაღო, იქიდან რაღაც ბეჭდიანი ქაღალდი ამოიღო და ცხვირ-

წინ ამიფრიალა:

— რა არის ეს?! თავს სჭრი რედაქციას?! საჩივარი მოვიდა შენ-ზე რესტორან „კულინარიის ღიმილიდან", დაგილეწია იქაურობა წუ-ხელის. ადმინისტრატორისათვის ცხვირზე გიკბენია, საავადმყოფოში დაუწვენიათ, საწყალი. შენს საკითხს რედაქციის საერთო კრებაზე განვიხილავთ! ახლა კი, მიბრძანდით აქედან!

ფელეტონი ლოთობის შესახებ, რა თქმა უნდა, აღარ დაბეჭდილა...

რატომ გადავიფიქრე?

აბა, ის, რაც მე დამემართა, სხვა ვინმეს რომ დაემართოს, არ გა-დაიფიქრებს? გადაიფიქრებს კი არა, კაცი შეიძლება ჭკუაზე შეიშა-ლოს და ოჯახის წევრებს დაერიოს მოსაკლავად. ასეა, ბატონო, ასე! გაატანეთ კანალიზაციას სამასი მანეთი და თუ მოსაკლავად არ დაე-დევნებით დამნაშავეს, იმასაც დავინახავ!

ქართველი ვარ, ხალხნო, ქართული ოჯახის პატრონი! ამიტომ, მეც, ვწურავ ოჯახში საკუთარი წარმოების ღვინოს.

ყოველ შემოდგომაზე რქაწითელის ჯიშის ორას კილოგრამამდე ყურძენს ვყიდულობ კახელი გლეხებისაგან, რომლებიც რაღაც ხერ-ხებით მაინც ახერხებენ ქალაქში ქარვისფერი ყურძნის შემოტანას და მართალია, კილოგრამს მანეთნახევრად ჰყიდიან, მაგრამ, სამაგიეროდ, ადამიანს გული საგულეში გაქვს, რადგან იცი, რომ ოცლიტრიან ბო-ცებში სუფთა ყურძნის წვენი გისხია.

დადგა შემოდგომა და მეც ყურძნის საძებრად გავიქერი მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! რაღად გინდა ადამიანს ბაზრის კუთხეებში წანწალი და გლეხებთან ვაჭრობა, როცა რაიონიდან სატვირთო მანქანებით მოუზიდავთ ეს შესანიშნავი ყურძენი და მთელ მოედანზე ვაჭრობენ. მეც ეს მინდოდა, ერთ-ერთ მანქანასთან მივედი, ორასი კილოგრამი ყურძენი კალათებსა და ცელოფანის ტომრებში დამიტვირთეს და

შინ წავიღე. ერთი პრობლემა უკვე დიდი ხანია ვერ გადამეჭრა. საწნახელი არ მქონდა, რომ მქონოდა კიდეც, ვერსად შევინახავდი. ყურძენს კი უსაწნახელოდ მართლაც რა ფასი აქვს. ერთხელ, როცა მაღაზიებში საწნახელს ვეძებდი, ვიღაც ჩასუქებულმა გამყიდველმა ირონიულად მითხრა: „ცხოვრებას ჩამორჩენილხარ, ბიძაჩემო, საქართველოში აბა სად ნახავ იმხელა ხეს, რომ მისგან საწნახელი გამოვიდეს?“ გულზე მომხვდა მისი სიტყვები, მაგრამ ვერაფერი ვუპასუხე, რადგან მართალი იყო. ჰოდა, რახან საწნახელი არა გვაქვს, ჩემი მეუღლე აბაზანას საგულდაგულოდ გარეცხავს ხოლმე ცხელი წყლითა და სოდით, შემდეგ შიგ ყურძენს ჩავყრი და ვწურავ. უკეთეს გამოსავალს ალბათ ვერავინ მიაგნებს.

იმ დათარსულ დღესაც, როცა ყურძენი ტაქსიდან ჩამოვტვირთე და რის ვაი-ვაგლახით ავათრიე მეშვიდე სართულზე, ქალებს უკვე საგულდაგულოდ გაეხეხათ აბაზანა, ჩავყარე შიგ გარეცხილი ყურძენი, შევდექი ზედ საგანგებოდ დაბანილი ფეხებით და გიყვარდეთ, ისეთი ჩარფუზანა გავაჩაღე, პროფესიულ მოცეკვავეებსაც შეშურდებოდათ.

ქალები ყურძნის წვენის ჩასასხმელ ჭურჭელს ამზადებდნენ.

დავდივარ ენერგიული ნაბიჯით აბაზანაში, ხან ავუჩქარებ ნაბიჯს, ხან კი შევუნელებ, ყურძნის მარცვლები უხმოდ სკდებიან ტერფებს ქვეშ. მაგრამ ერთი გარემოებისაგან ვრჩები ფრიად გაკვირვებული — წელს ალბათ ძალიან გამოშრა ყურძენი და ამიტომაც წვენი ნაკლებად უდგება. დავწურე თითქმის ნახევარი აბაზანა ყურძენი და თქვენც არ მომიკვდეთ, სადღაა წვენი, აბაზანაში მხოლოდ დაწურული ჭაჭა ჰყრია!..

როცა მივხვდი, რაშიც იყო საქმე, კინაღამ ინფარქტმა დამარტყა, წნევამ ხომ უეჭველად ამიწია. მოსაკლავად გავიმეტებდი ცოლსა და სიდედრს, დროზე რომ არ გამოვარდნილიყვნენ აბაზანის ოთახიდან და გარედან არ გადაეკეტათ კარი.

არ იკითხავთ, რატომ? მეუღლეს აბაზანაში საცობის გაკეთება დავიწყებოდა და ყურძნის წვენი კანალიზაციაში მიედინებოდა.

სარჩევი

ნოდარ დუმბაძე — პირველი საუბარი ღმერთთან... 5
მეორე გასაუბრება ღმერთთან 10
ოთარ დემეტრაშვილი — ელისო . . 17
ელისო ზარიძე — თოჯინამ ლაპარაკი არ იცის 29
ზურაბ თორია — მიძღვნა... . 72
თეიმურაზ ლანჩავა — გადანახულება 83
რევაზ მიშველაძე — სასჯელი... 92
მსმელი... 98
ალექსანდრე სამსონია — კაცი, რომელსაც ღვინო არ უყვარდა... 107
გოდერძი ჩოხელი — ძობანა... 135
როლანდ ჯალაღანია — ოჰ, ეს ტელეფონი 136
ნატურალიზმის მსხვერპლი 138
რატომ გადავიფიქრე 141

ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЙ НЕ ЛЮБИЛ ВИНА
СБОРНИК

(На грузинском языке)
пр. Руставели, 42
Издательство «Мерани»
Тбилиси 1988

რედაქტორი რ. ლოლაძე
მხატვარი რ. კონდახსაზოვი
მხატვრული რედაქტორი ნ. ნარიმანიძე
ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე
კორექტორი რ. გოცირიძე
გამომშვები ნ. კვატაშიძე

ს. ბ. — 3730

ჩაბარდა წარმოებას 17.12.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.03.88. უე 06722. ფორმატი 60×70¹/₁₆. ქაღალდი საბეჭდი № 2. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,02. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 6,45. პირობითი საღებავგა-ტარება 7,02. ტირაჟი 20 000. შეკვ. № 21.

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის გამზ. 42, თბილისი 1988

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის № 1 სტამბა, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.